საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№05 (381)
8 - 14 თებერვალი, 2017

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru



## ჟეფს, მაგრამ ვერ კბენს — მაკკეინი უძლურია, ხელი შეუშალოს ტრამპს რუსეთის მიმართ ახალი პოლიტიკის გატარებაში 21



## საქართველოს ხელისუფლება ჯერ კვლავ ბარაკ ობამასა და ჰილარი კლინტონის პოლიტიკის ფარვატერში დგას 5

## ადეიშვილი-გვარამიას აუდიოჩანაწერი მოსამართლეთა მოსყიდვაზე 2



## ქართული პოლიტიკის მთავარი მოჩვენება 4

## «ერთხელ და სამუდამოდ ნამდვილი, ობიექტური სახალხო გამოკითხვით უნდა გადაწყდეს, გვინდა თუ არა ნატო» 2

მამა გიორგი (რაზმაძე):

## ქრისტიანული სწავლებით, ოჯახის თავი არის მამაკაცი და უნდათ, რომ ეს თავი წაართვან ოჯახს 3

## მსოფლიო აღარ იქნება პოლიტიკურად ერთპოლუსიანი 7



## ხუთიოდე წელიწადში ქართული რაგბი ქართული ფეხბურთივით გაფარჩაკდება 12



ტარას იჩქიტიძე: 9

## როგორც სნაიპერმა, სტალინგრადში 18 გერმანელი გავანადგურე, სულ კი დიდი სამამულო ომის პერიოდში — 59 ფაშისტი

## ქვეყნდება პირველად

16


Ц Е Н Т Р А Л Ь Н Ы Й   К О М И Т Е Т.

ეს არის იოსებ სტალინის მიერ 1924 წლის 20 აპრილს, ლენინის გარდაცვალებიდან 3 თვის შემდეგ, გამოცემული დადგენილება, რომელშიც ლაპარაკია ადგილობრივი სასამართლოებისთვის პოლიტიკურ საქმეებში სასჯელის უმაღლესი ზომის გამოყენების აკრძალვაზე, ანუ სტალინი მოსამართლეებს ავალდებულებდა, პოლიტიკურ საკითხებში ბრალდებულების მიმართ ჰუმანურობა გამოეჩინათ.

## რატომ არ არის წმინდანად შერაცხილი ქართლ-კახეთის დიდებული ხელმწიფე ერეკლე II 14







დამიანე

სოლომონ II

დემეტრე II თავდადებული

## «უცნაური ხალხი ვართ ქართველები. დალოცვილო, მეფე ერეკლე გყავდეს და წმინდანად სოლომონ მეორეს აღიარებდე, რა ლოგიკაა?! სად ერეკლე და სად... სოლომონი სუსტი მეფე იყო»

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჟივილ-ხივილი რომ ატეხეს ამ ვიზალიბერალიზაციის თემაზე, მოგვცეს და რა მერე? ვინმე ფიქრობს, რა მოჰყვება ამას?! ადამიანები 3500 ევროს იხდიდნენ შენგენის ვიზის მისაღებად და გარბოდნენ ქვეყნიდან, ახლა რომ გაუხსენი კარი, დარჩება ვინმე?! რა უნდათ ამათ და რა უხარიათ, გაუგებარია. გეგონება, აშენდა ქვეყანა და აწი პრობლემები არ გვექნება.**

# საქსტატი: იანვრის მონაცემებით, ინფლაციის დონე გაიზარდა ყველა მიმართულებით

**სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2017 წლის იანვარში საქართველოში ინფლაციის დონემ 2,9 პროცენტი შეადგინა. წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით სამომხმარებლო ფასების ინდექსი +3,9%-ია.**



საქსტატის ინფორმაციით, სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ფასები 4,2 პროცენტით გაიზარდა. ფასები გაიზარდა ბოსტნეულისა და ბაღჩეულის (22,4 პროცენტი), ხილისა და ყურძნის (8,9 პროცენტი), რძის, ყველისა და კვერცხის (3,1 პროცენტი), ზეთისა და ცხიმის (3,1 პროცენტი), თევზეულის (2,8 პროცენტი) და ხორცისა და ხორცის პროდუქტების (2,5 პროცენტი) ქვეჯგუფებზე.

ტრანსპორტის ჯგუფზე ფასები გაიზარდა 7,2 პროცენტით და ჯგუფის წვლილმა ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში 0,94 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ფასების მატება აღინიშნა პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (10,1 პროცენტი) და სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე (4,9 პროცენტი).

წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

**ტრანსპორტი:** ჯგუფში ფასები გაიზარდა 10,8 პროცენტით, რაც ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 1,35 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასების მატება აღინიშნა პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (16,0 პროცენტი).

**ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო:** ფასები გაიზარდა 18,9 პროცენტით და შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში 1,14 პროცენტული პუნქტი შეადგინა.

ფასები მნიშვნელოვნად გაიზარდა თამბაქოს ნაწარმის ქვეჯგუფზე (40,2 პროცენტი), მოცემულ პერიოდში ფასების 3,3 პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფზე, რაც 0,99 პროცენტული პუნქტით აისახა წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე.

ფასების ზრდა აღინიშნა ქვეჯგუფზე: შაქარი, ჯემი, თაფლი, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი (16,0 პროცენტი).

# ადეიშვილი-გვარამიას აუდიოჩანაწერი მოსამართლეთა მოსყიდვაზე

**უკრაინულმა ინტერნეტგამოცემამ „უკრაინული რევოლუცია“ გამოაქვეყნა სკანდალური აუდიოჩანაწერი, სადაც „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი ნიკოლოზ გვარამია და საქართველოს ყოფილი იუსტიციის მინისტრი ზურაბ ადეიშვილი „რუსთავის 2“-ის საქმის განმხილველ მოსამართლეთა მოსყიდვაზე საუბრობენ.**

**„ყველაზე გასაოცარი მიხეილ სააკაშვილსა და მის გარემოცვაში არის ის, რომ ისინი არასდროს წყვეტენ ჩვენს გაოცებას. ამჯერად მისი უახლოესი გარემოცვა მოსამართლეებს ქრთამს აძლევს, დასახელებულია კონკრეტული თანხა — 3 მილიონი დოლარი“, — წერს გამოცემა.**



**გვარამია:** — ალო.

**ადეიშვილი:** — ხო, ნიკა.

**გვარამია:** — რას შვრები?

**ადეიშვილი:** — რა ვიცი, ვარ!

**გვარამია:** — შენ არ გილაპარაკია, ვაფშე, მიშასთან?

**ადეიშვილი:** — ჯერ არ მინახავს და არ მილაპარაკია.

**გვარამია:** — მე დამირეკა თვითონ, აბა, მითხარი რა ხდებაო და რატოა ეგეთი რთული მდგომარეობაო და ველაპარაკე.

**ადეიშვილი:** — ძაან ნერვიულობენ, ძაან უნდათ, როგორც კი საშუალება მიეცემათ, გაკეთდება რა... აი, ცოტა ხანიც მოითმინე და რაღაცა გადაწყდება.

**გვარამია:** — მიდი რა გეხვეწები, მე არც ამასთან შემიძლია და არც იმასთან რა... შენ დაგელაპარაკები ხოლმე, რამენაირად ქენი, პროსტა, მართლა შენი გასაკეთებელია ეხლა.

**ადეიშვილი**: — ჰო, ეს ალავიძე და ის მეორე ცოდო არის, ამაზე ჯერჯერობით არც „იმასაშვრებიან“ ხო ამ ალავიძეს... ხო, მიშამ თქვა, რომ მან დაიწყო მუშაობა „ფუნდრაისინგთან“.

**გვარამია:** — თუ ეგრეა, მაშინ პროცესს მოვიგებთ...

**ადეიშვილი:** — ძაან დიდი ფასის გადახდა მოუწევს იმისთვის.

**გვარამია:** — და რა ფულზე ვლაპარაკობთ, ზურა, კარგი რა, სამ მილიონ დოლარზე „ვაფშე“ სალაპარაკოც არ უნდა იყოს ეს დედამო...ლი...

**ადეიშვილი:** — არა, ჩვენ გვინდა სერიოზული „ფუნდრაისინგი“.

**გვარამია:** — ახვლედიანმა მაგაზე მეტი ფასის სამუშაო შეასრულა, შენ რომ იცოდე.

**ადეიშვილი**: — ხო, გასაგებია.

**გვარამია:** — ხოდა, მე არაფერს არ ვითხოვ, ზურა, სწორად გამიგე რა. მინდა, რომ ეს გამოვიდეს და დამეხმაროთ, რითიც შეგიძლია და მგონია, რომ ეს „მაინორ შოუ“ არის და არა მგონია, რომ ისეთ რაღაცა Heavy-ს ვითხოვ, რომ შეუძლებელია. მგონია, რომ „მაინორ შოუ“ არის როცა, პრეტენზია გაქვს, რომ ქვეყანაში რაღაცას წარმოადგენდე.

**ადეიშვილი:** — მესმის ეგ ყველაფერი, რაღაცეები გადავწყვიტოთ ან ისე, ან ასე. შენ აქ უნდა ჩამოხვიდე.

**გვარამია**: — ჩამოვივლი მანდ, პროსტა, ყარამანიშვილთან ლაპარაკის თავი მე არა მაქვს. ვიღაც ყ...ა, ავადმყოფი და დედამ...ლი.

**ადეიშვილი**: — *(იცინის)* ეგ, ეგ, ეხლა აბსოლუტურად, რასაც ლაპარაკობ, მე მგონი, უადგილო არის, უადგილო.

**გვარამია:** — ზურაა, მისმინე კარგად, უადგილო რატო არის?

**ადეიშვილი:** — შენი პრობლემები არ არის მარტო ეგ, ყველას პრობლემებია.

## ვასილ ჭიჭინაძე:

# ერთხელ და სამუდამოდ ნამდვილი, ობიექტური სახალხო გამოკითხვით უნდა გადაწყდეს, გვინდა თუ არა ნატო



**დასავლეთში ძირეული პოლიტიკური გარდაქმნები დაიწყო, საქართველოს ხელისუფლება კი პროდასავლურ კურსს განუხრელად ინარჩუნებს — ნატოსა და ევროკავშირში შესვლა ისევ პირველ ამოცანად რჩება. არადა, სოციოლოგიური კვლევები ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს, რომ ხალხში დღითიდღე იზრდება ანტიდასავლური განწყობა. საზოგადოება ქვეყნის ევროატლანტიკურ პერსპექტივას სკეპტიკურად უყურებს და სახელმწიფოს მომავალს აღნიშნულ სტრუქტურებში ვერ ხედავს. უნდა შეიცვალოს თუ არა საქართველოს საგარეო პოლიტიკა, კონკრეტულად რა ცვლილებებია საჭირო და აუცილებელია თუ არა, ხელახალი საყოველთაო რეფერენდუმი ნატოში შესვლა-არშესვლაზე? — აღნიშნულ საკითხებზე „საქართველო და მსოფლიომ“ კომენტარი დიპლომატ ვასილ ჭიჭინაძეს სთხოვა.**

— იმ ცვლილებების ფონზე, რომლებიც დღეს დასავლეთში მიმდინარეობს, სულ უფრო ხშირად მესმის შეფასებები, რომ საქართველომაც ადეკვატურად უნდა შეცვალოს საგარეო ორიენტირები. მაკვირვებს მსგავსი შეფასებები. **სად აქვს საქართველოს ან საგარეო, ან საშინაო პოლიტიკა, ვინმე რამეს გვეკითხება?!** პრემიერი ვერაფერს წყვეტს და პარლამენტის თავმჯდომარე, პრეზიდენტი ხომ, საერთოდ, ფორმალურად გვყავს. ვინ რა უნდა შეცვალოს ამ ქვეყანაში?!

ეს ერთი და მეორე — **ჟივილ-ხივილი რომ ატეხეს ამ ვიზალიბერალიზაციის თემაზე, მოგვცეს და რა მერე? ვინმე ფიქრობს, რა მოჰყვება ამას?! ადამიანები 3500 ევროს იხდიდნენ შენგენის ვიზის მისაღებად და გარბოდნენ ქვეყნიდან, ახლა რომ გაუხსენი კარი, დარჩება ვინმე?! რა უნდათ ამათ და რა უხარიათ, გაუგებარია. გეგონება, აშენდა ქვეყანა და აწი პრობლემები არ გვექნება.**

**— რაც შეეხება ნატოს, დღეს ბევრი ფიქრობს, რომ ამ საკითხზე რეფერენდუმი უნდა ჩატარდეს და მოსახლეობამ გადაწყვიტოს, უნდა თუ არა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში შესვლა. თქვენი აზრით, აუცილებელია ეს რეფერენდუმი?**

— ის არჩევნები, რომლის პარალელურადაც თავის დროზე ნატოში შესვლა-არშესვლაზე რეფერენდუმი ჩატარდა, ყველაზე გაყალბებულ არჩევნებად შეფასდა. ამას ამბობდა მთელი მაშინდელი პოლიტიკური სპექტრი და მათ შორის ის სუბიექტებიც, რომლებიც დღეს ხელისუფლებაში არიან. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, ხელახალი რეფერენდუმი აუცილებელია და ერთხელ და სამუდამოდ ნამდვილი, ობიექტური სახალხო გამოკითხვით უნდა გადაწყდეს, გვინდა თუ არა ნატო. თუმცა ჩვენ იქ არავინ გვეპატიჟება და რა შედეგიც უნდა მივიღოთ, ეს ბევრს არაფერს შეცვლის. უბრალოდ, ჩვენთვის იქნება საბოლოოდ გარკვეული ეს საკითხი და ვიღაც-ვიღაცებს აღარ ექნებათ ამ თემით მანიპულირების საშუალება...

# ჰოლანდიელი დეპუტატი: საქართველო ევროპას პრობლემებს უქმნის

**ევროპის ქვეყნებს შორის ჰოლანდია ერთ-ერთი იყო, რომელმაც ევროპარლამენტის მიერ საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციაზე მიღებულ გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა. ჰოლანდიელი დეპუტატი ვიკი მაიერი თვლის, რომ საქართველო ევროპისთვის პრობლემებს ქმნის.**



როგორც მაიერმა პლენარულ სესიაზე საქართველოსთვის უვიზო მიმოსვლის მინიჭების საკითხის განხილვისას თავის სიტყვაში განაცხადა, მისი პარტია ვიზალიბერალიზაციის წინააღმდეგია.

„ვიზალიბერალიზაციის წინადადება, რომელიც ბრიუსელმა შესთავაზა ქვეყანას, პრობლემას უქმნის ევროპას. ჩვენ ახლა გავუხსნით გზას ორგანიზებულ დანაშაულს ამ ქვეყნიდან და არ გვჭირდება ეს გადაწყვეტილება მსგავს სიტუაციაში. ქართველი კრიმინალები გერმანიაში უფრო და უფრო დიდი რაოდენობით არიან წარმოდგენილნი. როდესაც ევროკავშირში ადამიანები ჩამოდიან, ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ამგვარი შესაძლებლობები, ჩემი პარტია მხარს უჭერს უსაფრთხოების საკითხს ევროკავშირში და ამიტომ საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის მინიჭების წინააღმდეგი ვარ“, — განაცხადა **ვიკი მაიერმა.**

მაიერის განცხადებით, 2016 წელს გერმანიაში 80 000 ქართველი იყო და ახლა უფრო მეტია, ამ ფონზე კი ვიზალიბერალიზაციის მინიჭება არ უნდა მოხდეს. დეპუტატი გულისხმობდა ქართველების ცუდ რეპუტაციას ევროპაში, გახმაურებულ დაკავებებს და ქურდული ავტორიტეტების მიერ ჩადენილ დანაშაულებს.

ნიდერლანდების გარდა, საქართველოს ვიზალიბერალიზაციის წინააღმდეგ გამოვიდა დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელი დეპუტატიც.

„უსუფაშვილებსა და ბერძენიშვილებს არავის უფლებები არ აინტერესებთ. მათ აინტერესებთ მხოლოდ ორი რამ: მიიღონ გრანტები უცხოეთიდან და შეასრულონ ის ამოცანა, რომლისთვისაც იღებენ ამ დაფინანსებას. სამიზნეშია ამოღებული ეკლესია და სარწმუნოება, პატრიარქი და სამღვდელოება. სხვა საფიქრალი და სადარდებელი მათ არ აქვთ...“

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მიხეილ სააკაშვილი მოსამართლეებს აშანტაჟებს



**გამოცემა „Українська революція“ უკრაინელი პოლიტიკოსების მამხილებელი მასალების გამოქვეყნებას განაგრძობს, ამჯერად მოძრაობა „Рух нових сил“-ის ლიდერის — მიხეილ სააკაშვილისა და უკრაინის გენერალური პროკურორის ყოფილი მოადგილის — დავით საყვარელიძის სკანდალურ მიმოწერას აქვეყნებს. გაზეთის წინა ნომერში საუბარი იყო იარაღის გაყიდვასა და ჟურნალისტების მოსყიდვაზე იყო. გაზეთის რედაქციის თქმით, „ამჯერად „გასტროლიორთა“ ჩვენთვის ცნობილი ჯგუფი სერიოზულად მოეკიდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების მოსყიდვის საქმეს. გთავაზობთ სკანდალურ მიმოწერას მიხეილ სააკაშვილსა და დავით საყვარელიძეს შორის“:**

**სააკაშვილი:** — რას შვები? ხედავ, ეს გივი რაებს ცირკაჩობს?

**საყვარელიძე:** — ხო, ნუ სამარცხვინო კაცია. ვითომ ეხლა თავისი მესიჯები წყვეტდეს, ალაგებდეს თემას.

**სააკაშვილი:** — არა, მაგ ინტრიგების თავიც სადღა აქვს მაგ ლოთს, ვინ დაიჯერებს ეხლა, რომ მესიჯებით **ლუცენკოსთან** ეგ არეგულირებს რამეს. მაგარი სასაცილოა.

**საყვარელიძე:** — არა, ეგ გასაგებია, თუმცა, რასაც მე ვწვალობ, დავრბივარ და ვის აღარ ველაპარაკები, ეგენი რომ ვაფეისბუქო, შეიძლება გმირად გამომაცხადონ, მაგრამ ეხლა მაგ ფარჩაკის დონეზე ხომ არ დავალ. მთავარია, ჩვენი ბიჭები ყველაფერს ხედავენ, ვინ და როგორ უდგას გვერდით.

**სააკაშვილი:** — კი, ეგრეა, მაგრამ ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას. კაი, ეგ ლოთი იქით იყოს და რამე გაქვს სიახლე?

**საყვარელიძე**: — კი, პროკურატურაში ჩემებსაც ველაპარაკე და მაგრად მაიმედებენ.ზევიდანაც კარგი განწყობააო.

**სააკაშვილი:** —კარგია. მეც ველაპარაკე ვიღაცეებს. პიარის კუთხით მაქსიმალურად უნდა გავაქტიურდეთ, რომ გივის არ მიეწეროს ეს ყველაფერი. მე მგონი, ვერ გაბედავენ და გამოუშვებენ, ამიტომ შენც უნდა გამოჩნდე ხშირად, რომ ჩვენ მივიწეროთ ბოლომდე **ცერცვაძის** გამოშვება. ისე, ეს თემა მაგარი აწია გვარამიამ და კიდევ დაგვეხმარება.

**საყვარელიძე:** —კი, და თანდათანობით მაგრად ხურდება. იმენნა გაფარჩაკდნენ. ხმას ველარ იღებენ და რაღაც გაუგებარ განცხადებებს აკეთებენ. მაგრად აეწვათ.

**სააკაშვილი:** — აბა, რა ეგონათ. ჯერ კიდევ სად არიან. ბოლომდე უნდა შევუსრულოთ. სხვა ხდება რამე?

**საყვარელიძე:** — ბიჭები ჩამოვიდნენ თბილისიდან. მოკლედ, იმ **ალავიძეს** და **ქათამაძეს** გაეგზავნათ ამანათები და ჩაიბარეს. იქ, როგორც ვთქვით, დავუდასტურეთ, რომ თქვენ ხართ ჩვენი იმედი, მომავალი გარანტირებული გაქვთ ყველანაირად ასეც და ისეც; კარიერულად — ერთი მინისტრად, მეორე — თავმჯდომარედ და რაღაც განსაკუთრებული კი არ გევალებათ, მოკლედ, თემა უნდა ააფეთქოთ-თქო. ზეწოლის, თვალთვალის, დატერორების და დაშინების რეჟიმში გვამყოფებენ და აღარ ავიტანთ ამას-თქო. ოდნავ გაახმოვანეთ და ან თუნდაც გარეთ გამოაჟონინეთ მაგ ინფორმაციას და დანარჩენს გვარამია მიხედავს-თქო. მაგათი ამბავი, ზოგადადაც, ხომ ხედავთ, წასულია-თქო. თან გმირები და ხელშეუხებლებიც გამოხვალთ-თქო. მერე ტელეფონითაც მივანიშნე, რომ ჩვენ ვართ, რომ არ შეშინებულიყვნენ.

**სააკაშვილი:** — ანუ იმედი გვაქვს?

**საყვარელიძე:** — დარწმუნებული ვარ. გვარამიასაც ყველანაირად ეიმედება და თავისი ხაზით კონტაქტზეა. რაც მთავარია, ორივენი ამ უნიათოების მთავრობას ვერ იტანენ და ჩვენი მომხრეები არიან. უყურებენ, ჩამოეშალათ თავზე სასამართლოც და ისედაც ანგრევენ ქვეყანას.

**სააკაშვილი:** და, საბოლოოდ როდის აპირებენ განხილვას?

**საყვარელიძე**: არ ვიცი, თუმცა, როცა არ უნდა იყოს, ესენი ბოლომდე მიაწვებიან და იტყვიან, რომ სრული სისულელეა და უნდა გაუქმდეს.

**სააკაშვილი:** — იტყვიან კი?

**საყვარელიძე**: — კი, უეჭველი. მაგათ ცოტა ტელევიზიებთან გამოსვლა უჭირთ, საჯაროდ თემების გასკანდალურებას ერიდებიან, თორე მაგაში, რომ გასაუქმებელია, ბოლომდე მიაწვებიან.

**სააკაშვილი:** — და სხვა მოსამართლეები? ხომ ბევრნი არიან და როგორ იქნება?

**საყვარელიძე:** — ჯერ შემადგენლობაც არ დასახელებულა. როგორც კი დაასახელებენ, იმათაც წავემუშავებით, ვისთანაც აზრი აქვს. ვისთანაც არა და ვინც დაგვაპაშოლებს, უნდა გავაშაოთ ბოლომდე. პიარს გვარამია მიხედავს და გააფორმებს. ეგენი, ხომ იცი, კიდევ ღამურებივით არიან, ოღონდ საჯაროდ არ გამოაჭენო და მიკროფონი არ დაანახო, ხმას ვერ ამოიღებენ. ადვოკატების თავმჯდომარე მზადაა, რომ ბოლომდე გადაუაროს მაგათ, ენჯეოებიც მომართულნი არიან და მოკლედ მთელი ორკესტრი ამუშავდება.

**სააკაშვილი:** — ოკ. მაგარია.

**საყვარელიძე:** — კი, ეგრეა. ეხლა ჩვენებს ველოდები და პროკურატურასაც შევეხმიანები და, თუ რამე სიახლეა, გეტყვი. წესით, უკვე ზუსტი პასუხი უნდა გვითხრან.

**სააკაშვილი:** — მიდი, მიდი და შემეხმიანე.

## ტრამპმა ავსტრალიის პრემიერს ყურმილი დაუხეთქა — «ეს ყველაზე ცუდი სატელეფონო საუბარი იყო ბოლო პერიოდში»

**„აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ავსტრალიის პრემიერმინისტრ მალკოლმ ტერნბულს სატელეფონო საუბრის დროს ყურმილი დაუხეთქა. „ეს ყველაზე ცუდი საუბარი იყო ბოლო ხნის განმავლობაში“, — დაწერა ტრამპმა „ტვიტერში“, — იუწყება The Washington post-ი.**

ტრამპის უკმაყოფილება გამოიწვია იმან, რომ ავსტრალიის ლიდერმა მას აშშ-ის წინა ადმინისტრაციასთან გაფორმებული შეთანხმება გაახსენა, რომლის მიხედვით, შეერთებულმა შტატებმა ავსტრალიიდან 1250 მიგრანტი უნდა მიიღოს.

თავდაპირველად დაგეგმილი 1 საათის ნაცვლად საუბარი მხოლოდ 25 წუთს გაგრძელდა. ტრამპმა „ტვიტერში“ ასევ დაწერა, რომ ამ „ეშმაკისეულ გარიგებაში გარკვევას შეეცდება“.

ტრამპმა ავსტრალიის ხელისუფლება აშშ-ში „ახალი ბოსტონელი ტერორისტების გაგზავნის მცდელობაში“ დაადანაშაულა.

ავსტრალიის პრემიერმინისტრმა ტრამპთან მიმდინარე მოლაპარაკებაზე კომენტარი არ გააკეთა და აღნიშნა, რომ „ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები ისეთივე მეგობრულია, როგორც ადრე“.



## მამა გიორგი (რაზმაძე): ქრისტიანული სწავლებით, ოჯახის თავი არის მამაკაცი და უნდათ, რომ ეს თავი წაართვან ოჯახს

**რესპუბლიკურმა პარტიამ ფემიციდის (ქალებზე ძალადობის უკიდურესი გამოვლინება) შესახებ საკანონმდებლო ინიციატივით უკვე მეორედ მიმართა პარლამენტს. პარტიის წარმომადგენელთა განცხადებით, ინიციატივის საფუძველი 10 დღეში მომხდარი ორი უმძიმესი დანაშაული გახდა. როგორც კანონპროექტის ინიციატორები განმარტავენ, დანაშაულის ეს ფორმა ძალადობისა და დისკრიმინაციის უკიდურესად მძიმე გამოვლინებაა, რის გამოც მას კანონში შესაბამისი კვალიფიკაცია უნდა ჰქონდეს. რას ნიშნავს რეალურად ფემიციდი, რა საკანონმდებლო ცვლილებებზეა საუბარი და რა შედეგს მოიტანს იგი რეალურად? „საქართველო და მსოფლიო“ კომენტარისთვის ავჭალის წმინდა ქეთევან წამებული ეკლესიის წინამძღვარს, მამა გიორგის (რაზმაძეს) დაუკავშირდა.**



**მამა გიორგი (რაზმაძე):** — რესპუბლიკელები რომ მოამზადებენ კანონპროექტს, უკვე გასაგებია, რა მიზანს ემსახურება ეს ყველაფერი. ასე მოამზადეს თავის დროზე ე.წ. ანტიდისკრიმინაციული კანონიც და როგორ ერთსულოვნად მიიღეს მერე, ყველას გვახსოვს.

**რაც შეეხება პროპაგანდას, რომ თურმე საქართველოში ქალებს კლავენ და ამის განმაპირობებელი მთავარი ფაქტორი ქართული მენტალიტეტია, ამას ჩვენ, დიდი ხანია, ვისმენთ და რომელი დასავლური ძალებისგან ფინანსდება ეს სიბინძურე, ყველამ ვიცით.**

ტელევიზია იქნება, ინტერნეტი თუ სხვა მედიასაშუალება, გაჯერებულია ინფორმაციით, რომ სადღაც, რომელიღაც სოფელში ან ქალაქში ქმარმა ცოლი მოკლა, ან ყოფილმა ქმარმა მოკლა და ა.შ. ცხადია, ეს არის კონკრეტული, მიზანმიმართული კამპანია, რომელსაც სამიზნეში აქვს ამოღებული ყველაფერი ქართული. ქრისტიანული სწავლებით, ოჯახის თავი არის მამაკაცი და ამათ უნდათ, რომ ეს თავი წაართვან ოჯახს.

ამაზეა გათვლილი ის პროპაგანდა, თორემ, სინამდვილეში, **უსუფაშვილებსა და ბერძენიშვილებს** არავის უფლებები არ აინტერესებთ. მათ აინტერესებთ მხოლოდ ორი რამ: მიიღონ გრანტები უცხოეთიდან და შეასრულონ ის ამოცანა, რომლისთვისაც იღებენ ამ დაფინანსებას. აი, ამისთვის ამზადებენ ეს ადამიანები ასე გულმოდგინედ კანონპროექტებს და მთავარი მიზანი არის, რა თქმა უნდა, ოჯახი, სამიზნეშია ამოღებული ეკლესია და სარწმუნოება, პატრიარქი და სამღვდელოება. სხვა საფიქრალი და სადარდებელი მათ არ აქვთ...

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**მიხეილ სააკაშვილი პოლიტიკურ მოჩვენებად გადაიქცა. მას ქართულ პოლიტიკაში არსებითი ცვლილებების შეტანა აღარ ძალუძს, მაგრამ ჯერ კიდევ შეუძლია, ბევრი რამ გააფუჭოს, როგორც მოჩვენებებს სჩვევიათ, „პოლტერგეისტი“ მოაწყოს და ამით ყურადღება მიიპყროს.**

**„სახლი მოჩვენებით“ ინგლისურ ლიტერატურაში კარგად დამუშავებული სიუჟეტია — ძველი შენობის ახალი მეპატრონეები ხვდებიან აჩრდილს, რომელსაც იმ ადგილთან ჩადენილი დანაშაული ან მძაფრი განცდა აკავშირებს. ის ვერა და ვერ ისვენებს, ღამღამობით დაეხეტება დერეფნებში, ოხრავს და სტუმრებსა თუ მასპინძლებს მოსვენებას არ აძლევს. ქართული პოლიტიკა ძალიან ჰგავს ასეთ „სახლს მოჩვენებით“, მთავარ მოჩვენებას კი მიხეილ სააკაშვილი ჰქვია.**

# ქართული პოლიტიკის მთავარი მოჩვენება



**ურთიერთობა ძებნილ სააკაშვილთან მხოლოდ და მხოლოდ სამართალდამცავების საქმეა. როდესაც მის უცნაურ განცხადებებზე (მიუხედავად იმისა, რეალურია მიმოწერა თუ არა) ამდენი დეპუტატი ამდენ კომენტარს აკეთებს, საზოგადოება შეიძლება მივიდეს დასკვნამდე, რომ ხელისუფლება საზოგადოებრივი აზრით მანიპულირებას ცდილობს, რათა განუსაზღვრელი დროით გაახანგრძლივოს იმ ბიპოლარული მოდელის არსებობა, რომლის ფარგლებში მოსახლეობამ «ქართული ოცნება» მხოლოდ იმიტომ უნდა აირჩიოს, რომ ის «ნაციონალურ მოძრაობაზე» ნაკლები ბოროტებაა**

გასულ კვირას ინტერნეტ-გამოცემა „უკრაინულმა რევოლუციამ“ გამოაქვეყნა სატელეფონო მიმოწერა, სავარაუდოდ, **მიხეილ სააკაშვილისა** და მისი ერთ-ერთი თანაგუნდელის — **დავით საყვარელიძის**. მიმოწერა შეიძლება პირობითად ორ ნაწილად გავყოთ — დასაწყისში განიხილება უკრაინელი სამართალდამცავების მიერ დაკავებული საქართველოს მოქალაქე **გიორგი ცერცვაძის** გათავისუფლების დეტალები, კერძოდ კი, ვინ წარმოჩნდება მისი ინტერესების მთავარ დამცველად — სააკაშვილი თუ მისი ყოფილი თანაპარტიელი **გივი თარგამაძე.** ვინაიდან ეს თემა „ვიწროპარტიულია“ და მნიშვნელობა მას მხოლოდ ამჟამინდელი თუ ყოფილი ნაციონალებისთვის აქვს, ეს მონაკვეთი შეგვიძლია გამოვტოვოთ. სიტყვამ (თარგამაძის ხსენებამ) მოიტანა და, ალბათ, ყველას გვსმენია ფრაზა „ყოფილი მზვერავები არ არსებობენ“ ან „ყოფილი მეძავები არ არსებობენ“ და, ალბათ, დასადგენი მხოლოდ ის არის, არსებობენ თუ არა ყოფილი ნაციონალები.

გამოჩენილმა პოლონელმა მწერალმა **სტანსილავ ლემმა** 1961-ში გამოქვეყნა გროტესკული რომანი „აბაზანაში ნაპოვნი დღიური“. ის აღწერს მომავლის სამყაროს, სადაც არც ომია, არც გაჭირვება, მაგრამ მთავარი გმირი (სწორედ მის დღიურს პოულობენ შთამომავლები) ვულკანური ლავით დაფარულ საიდუმლო ბუნკერში ხვდება. ის აღმოაჩენს ყველასაგან მივიწყებულ „მეხუთე პენტაგონს“, რომლის ფუნქციონერებს ჰგონიათ, რომ ისინი განაგრძობენ ომს: ბომბავენ ქალაქებს, გადაიბირებენ ჯაშუშებს, ხლართავენ ინტრიგებს და ა.შ. მაშინ, როდესაც დანარჩენ მსოფლიოს მათ არსებობაზე წარმოდგენა არ აქვს. დღევანდელი „ნაცმოძრაობა“ რაღაცით ჰგავს იმ „მეხუთე(!) პენტაგონს“ – მისი ხელმძღვანელები თავიანთ მიკროინტრიგებს ინერციით გლობალურ მნიშვნელობას ანიჭებენ. ერთი შეხედვით, ეს ძალზე სასაცილოა, თუმცა ლემის რომანის მთავარმა გმირმა ვერ გაუძლო ავადმყოფურ ატმოსფეროს, რომელიც ბუნკერში სუფევდა და თავი მოიკლა.

ინტერნეტში გავრცელებული ტექსტის მეორე ნაწილში საუბარია „რუსთავი 2“-ის საქმის განხილვაზე უზენაეს სასამართლოში. ციტატა:

**„საყვარელიძე:** — ბიჭები ჩამოვიდნენ თბილისიდან. მოკლედ, იმ **ალავიძესა** და **ქათამაძეს** გაეგზავნათ ამანათები და ჩაიბარეს, იქ, როგორც ვთქვით, დავუდასტურეთ, რომ თქვენ ხართ ჩვენი იმედი, მომავალი გარანტირებული გაქვთ ყველანაირად — ასეც და ისეც, კარიერულად, ერთი — მინისტრად, მეორე — თავმჯდომარედ და რაღაც განსაკუთრებული კი არ გევალებათ. მოკლედ, თემა უნდა ააფეთქოთ-თქო. ზეწოლის, თვალთვალის, დატერორებისა და დაშინების რეჟიმში გვამყოფებენ და აღარ ავიტანთ ამასთქო. ოდნავ გაახმოვანეთ და ან თუნდაც გარეთ გამოაჟონინეთ მაგ ინფორმაციას და დანარჩენს **გვარამია** მიხედავს-თქო. მაგათი ამბავი, ზოგადადაც ხომ ხედავთ, წასულია-თქო. თან გმირები და ხელშეუხებლებიც გამოხვალთ-თქო. მერე ტელეფონითაც მივანიშნე, რომ ჩვენ ვართ, რომ არ შეშინებულიყვნენ.

**სააკაშვილი:** — ანუ იმედი გვაქვს?

**საყვარელიძე:** — დარწმუნებული ვარ. გვარამიასაც ყველანაირად ეიმედება და თავისი ხაზით კონტაქტზეა. რაც მთავარია, ორივენი ამ უნიათოების მთავრობას ვერ იტანენ და ჩვენი მომხრეები არიან. უყურებენ, ჩამოეშალათ თავზე სასამართლოც და ისედაც ანგრევენ ქვეყანას“.

გვარების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საუბარი შეიძლება ეხებოდეს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს — **პაატა ქათამაძესა** და **ბესარიონ ალავიძეს**. ქათამაძე სააკაშვილის მმართველობის წლებში ჯერ ხარაგაულის რაიონული სასამართლოს მოსამართლე იყო, შემდეგ — თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე, ხოლო 2006—10 წლებში — თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე. რაც შეეხება ალავიძეს, ის 1999—2006 წლებში შსს-ში მუშაობდა, 2006—09 წლებში — იუსტიციის საბჭოში, 2009—11 წლებში კი თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე იყო.

ცხადია, განხილულ შემთხვევაში უდანაშაულობის პრეზუმფციით უნდა ვიხელმძღვანელოთ. ამასთანავე, ვიდრე ჰიპოთეზურ „ამანათებზე“ მსჯელობას განვაგრძობთ, ალბათ, აუცილებელია, ორიოდე სიტყვით „რუსთავი 2“-ის საქმის მდგომარეობა აღვწეროთ.

უზენაესმა სასამართლომ დაარღვია საქმის განხილვის ვადა, რომელიც 25 იანვარს ამოიწურა. საზოგადოდ, ეს არ არის უნიკალური შემთხვევა, ასეთი რამ ამ ინსტანციაში დრო და დრო ხდება. უზენაესი სასამართლოს კოლეგიის განჩინების თანახმად, საქმეს განიხილავს არა 3 მოსამართლე, როგორც ადრე იგეგმებოდა, არამედ დიდი პალატა. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი ნიუანსია, რადგან ამით პასუხისმგებლობა გადაწყვეტილებაზე მთელ სასამართლოს დაეკისრება. კოლეგიის განჩინების მიზანშეწონილობა ცალკე დისკუსიის თემაა, თუმცა ამ შემთხვევაში მთავარია ის, რომ განხილვის შემდომი გაჭიანურების ალბათობა საკმაოდ მაღალია. გამორიცხული არ არის, რომ ის თვეების განმავლობაში გაგრძელდეს. თუ ასე მოხდება, შემდეგ საქმეში ისევ პოლიტიკური ფაქტორი ჩაერთვება – საპარლამენტო არჩევნების წინ უცხოელი პარტნიორები ხელისუფლებას ლამის ღია ტექსტით მოუწოდებდნენ, „რუსთავი 2“-ისთვის ხელი არ ეხლო და, ალბათ, იგივე მოხდება 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ.

დროის გაჭიანურება ძალზე მნიშვნელოვანია სააკაშვილისთვის, რადგან იმ შემთხვევაში, თუ „რუსთავი 2“ **ქიბარ ხალვაშის** ხელში გადავა და ამ ტელევიზიის სარედაქციო პოლიტიკა შეიცვლება, ეთერში ხშირი გამოჩენის შესაძლებლობას დაკარგავს, რის გამოც მისი გავლენა მხარდამჭერებზე შეიძლება მკვეთრად დაეცეს, რაც „ნაცმოძრაობის“ დაშლის პირობებში სრული კრახის ტოლფასია. თუმცა ცხადია, უპირველესად, მას აინტერესებს სასამართლოს მიერ მისთვის სასურველი გადაწყვეტილების მიღება ან, სულ ცოტა, პროცესის დისკრედიტაცია, მთელი მსოფლიოსთვის იმის ჩვენება, რომ უზენაესი სასამართლო ხელისუფლების ზემოქმედების ქვეშაა.

ამ ტექსტის გამოქვეყნებისთანავე, უმრავლესობის დეპუტატებმა სამართალდამცავებს მოუწოდეს გამოძიება დაეწყოთ. რაც შეეხება ერთ-ერთ ფიგურანტს, დავით საყვარელიძეს, მან ტელეკომპანია „იმედთან“ საუბარში უარყო მიმოწერის ავთენტურობა და მიანიშნა იმაზე, რომ ის სუს-მა შეთხზა.

ორიოდე დღეში გაირკვა, რომ ჯერ კიდევ 14 იანვარს პროკურატურამ დაიწყო გამოძიება, რომელსაც „საფუძვლად დაედო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების — ბ. ალავიძისა და პ. ქათამაძის წერილობითი განცხადებები და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიმართვა, რომლითაც დგინდება, რომ ხსენებულმა მოსამართლეებმა, ყოფილი ხელისუფლების თანამდებობის პირის სახელით საცხოვრებელ მისამართებზე მიიღეს წერილობითი მიმართვები, ასევე მობილურ ტელეფონებზე — უცხოური მობილური ტელეფონის ნომრიდან მოკლე ტექსტური შეტყობინებები“.

კიდევ ერთი მონაკვეთი მიმოწერიდან:

**„სააკაშვილი:** — და სხვა მოსამართლეები? ხომ ბევრნი არიან და როგორ იქნება?

**საყვარელიძე:** — ჯერ შემადგენლობაც არ დასახელებულა. როგორც კი დაასახელებენ, იმათაც წავემუშავებით, ვისთანაც აზრი აქვს, ვისთანაც არა და ვინც დაგვაპაშოლებს, უნდა გავაშავოთ ბოლომდე. პიარს გვარამია მიხედავს და გააფორმებს. ეგენი, ხომ იცი, ღამურებივით არიან — ოღონდ საჯაროდ არ გამოაჭენო და მიკროფონი არ დაანახო, ხმას ვერ ამოიღებენ. ადვოკატების თავმჯდომარე ზაზაც მზადაა, რომ ბოლომდე გადაუაროს მაგათ, ენჯეოებიც მომართულნი არიან და, მოკლედ, მთელი ორკესტრი ამუშავდება.

**სააკაშვილი**: — ოკ. მაგარია“.

6 თებერვალს კი გამოქვეყნდა სატელეფონო ჩანაწერი, რომლის მონაწილეთა ხმები ძალიან ჰგავს **ზურაბ ადეიშვილისა** და **ნიკა გვარამიას** ხმებს (გვარამიამ იმავე დღეს განაცხადა, რომ ადეიშვილთან ტელეფონით, ორი წელია, არ უსაუბრია). საუბრის შინაარსმა შეიძლება კიდევ უფრო გაამყაროს ვარაუდი იმის თაობაზე, რომ ნაციონალები მოსამართლეების მოსყიდვას ან სასურველი გადაწყვეტილების მიღებას სხვა უკანონო მეთოდების გამოყენებით ცდილობენ. ასეთ სიტუაციაში შეიძლება გაჩნდეს სერიოზული ეჭვი დიდი პალატის შემადგენლობაში ალავიძისა და ქათამაძის ყოფნის მიზანშეწონილობაზე (საუბარში ახსენებენ „ალავიძეს და იმ მეორეს“, აგრეთვე, 3 მილიონ დოლარს, რომელიც საჭიროა მიზნის მისაღწევად).

ეს ისტორია, შესაძლოა, კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ მიხეილ სააკაშვილი პოლიტიკურ მოჩვენებად გადაიქცა. მას ქართულ პოლიტიკაში არსებითი ცვლილებების შეტანა აღარ ძალუძს, მაგრამ ჯერ კიდევ შეუძლია ბევრი რამ გააფუჭოს, როგორც მოჩვენებებს სჩვევიათ, „პოლტერგეისტი“ მოაწყოს და ამით ყურადღება მიიპყროს. ძველ წიგნებსა და ფილმებს გავიხსენებთ, ეს ერთადერთი გზაა მოჩვენებისთვის, რომელიც ცდილობს, ადამიანები თავის ძლევამოსილებაში დაარწმუნოს. ამ ისტორიაში იმდენი აბსურდული, მეტიც, სრულიად იდიოტური რეპლიკა და დეტალია, რომ შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება: ამ საუბრებით თუ „ამანათებით“ სააკაშვილი არა იმდენად კონკრეტული შედეგის მიღწევას ცდილობს, რამდენადაც პოლიტიკური „პოლტერგეისტის“ მოწყობას. წინააღმდეგ შემთხვევაში იმის აღიარება მოგვიწევს, რომ ის საბოოლოდ დაემშვიდობა ადეკვატურობას.

ურთიერთობა ძებნილ სააკაშვილთან მხოლოდ და მხოლოდ სამართალდამცავების საქმეა. როდესაც მის უცნაურ განცხადებებზე (მიუხედავად იმისა, რეალურია მიმოწერა თუ არა) ამდენი დეპუტატი ამდენ კომენტარს აკეთებს, საზოგადოება შეიძლება მივიდეს დასკვნამდე, რომ ხელისუფლება საზოგადოებრივი აზრით მანიპულირებას ცდილობს, რათა განუსაზღვრელი დროით გაახანგრძლივოს იმ ბიპოლარული მოდელის არსებობა, რომლის ფარგლებში მოსახლეობამ „ქართული ოცნება“ მხოლოდ იმიტომ უნდა აირჩიოს, რომ ის „ნაციონალურ მოძრაობაზე“ ნაკლები ბოროტებაა. გამორიცხული არ არის, რომ ადგილობრივი არჩევნების წინ ის ამ მოდელის აქტუალიზებას კიდევ ერთხელ შეეცდება, რადგან ალტერნარიული სტრატეგია არ აქვს და, შესაძლოა, არც არასოდეს უფიქრია მასზე. ამ კონტექსტში განხილული ეპიზოდი შეიძლება დაუსრულებელი სერიალის ახალი სეზონის „საპილოტე სერიად“ ჩავთვალოთ. თუ ეს მართლაც ასეა, ქართული პოლიტიკა უახლოეს მომავალში კვლავ წარსულის აჩრდილების ტყვეობაში დარჩება.

ყველაფრიდან ჩანს, რომ ევროკავშირი დონალდ ტრამპს არაფერში სჭირდება და ეს, მისი ახირება კი არა, ბიზნესმენის პრაგმატული გათვლაა — ბრიუსელის სახით სრულიად ევროპასთან მოლაპარაკებებს ცალკეულ ქვეყანასთან პირისპირ ლაპარაკი ურჩევნია, ევროზონას კი — დოლარის ზონა. ევროს, ექსპერტთა ოპტიმისტური გათვლებით, 14-16 თვის სიცოცხლელა უწერია, ხოლო ევროკავშირის არსებობის დასასრულს წლის ბოლომდე ვარაუდობენ.

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საქართველოს ხელისუფლება ჯერ კვლავ ბარაკ ობამასა და ჰილარი კლინტონის პოლიტიკის ფარვატერში დგას

**კრიმინალისტიკაში არსებობს ერთი დაუწერელი კანონი — მკვლელობის გამოძიება იწყება იმის ანალიზით, ვის ინტერესშია ჩადენილი დანაშაული, რაც დამნაშავის გამოვლენის ერთ-ერთი საშუალებაა. თუ ამ დაუწერელი კანონის ჭრილში განვიხილავთ უკრაინაში ბოლო ხანს განახლებულ ფართომასშტაბიან საომარ მოქმედებას, დავინახავთ, რომ, თუ ვინმეს ხელს არ აძლევდა ის, რაც ახლა ხდება დონეცკისა და ლუგანსკის თვითგამოცხადებულ სახალხო რესპუბლიკებში, ეს რუსეთია და პირიქით — ვის სასიცოცხლო ინტერესებშიცაა 2 წლის წინათ შეწყვეტილი საომარი მოქმედებების განახლება, ეს უკრაინაა, უფრო ზუსტად — კიევის ბანდერულ-ფაშისტური რეჟიმი. აქედან გამომდინარე, კითხვა — ვინ გაისროლა პირველმა ანუ ვინ დაიწყო ომი? — რიტორიკულია.**

გავიხსენოთ უახლოესი დღეების ქრონიკა.

აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში ამ ქვეყნის მმართველი ფინანსურ-პოლიტიკური ელიტები და მათი სატელიტი ევროკავშირის ქვეყნების პოლიტიკური ლიდერები არა მხოლოდ დაუფარავად უჭერდნენ მხარს **ჰილარი კლინტონს**, არამედ შეურაცხმყოფელ ეპითეტებსაც არ იშურებდნენ **დონალდ ტრამპის** მიმართ, როგორც აღმოჩნდა, აშშ-ის მომავალი, 45-ე პრეზიდენტის მიმართ.

დიახ, ეს „როგორც აღმოჩნდა", **ანგელა მერკელსა და ფრანსუა ოლანდთან** ერთად, ვერც **პეტრე პოროშენკომ** გათვალა და დონალდ ტრამპთან მისასვლელი გზების ძიებაში, ტრამპი-პუტინის სატელეფონო საუბრის მეორე დღესვე (?), „პარაშამ" (ასე, ციხის ჟარგონით მოიხსენიებენ პეტრო პოროშენკოს რიგითი რუსები) ომის განახლების ბრძანება გასცა.

**უკრაინაში განახლებული ომის მიზანია, წარმოჩნდეს პუტინის რუსეთი, როგორც პირსისხლიანი აგრესორი, ხოლო პოროშენკოს უკრაინა — როგორც აგრესიის უცოდველი მსხვერპლი, შედეგად, აშშ-ევროპის დღის წესრიგში კვლავ დაბრუნდეს უკრაინის საკითხი, თავისი ფინანსური ინიექციებით.**

ეს კი, ხატოვნად თუ ვიტყვით, სულ უფრო ძნელად იყიდება დასავლეთში, რადგან იქ კარგად ესმით, რომ განახლებული ომი „პარაშასთვის" სასურველი ზავით არ დასრულდება — უკრაინას, დასავლეთის (წაიკითხე, აშშ) ზემოქმედებით ან მოუწევს ე.წ. მინსკის შეთანხმების რეალურად შესრულება, რაც, სულ ცოტა, ამჟამინდელი ხელისუფლების შეცვლას ნიშნავს, ან, როგორც იტყვიან, ომი ომია და, რადგან მშვიდობიანი მოსახლეობა მასობრივად იღუპება, რუსებს შეიძლება ნერვებმა უმტყუნოთ და, როგორც თავის დროზე აფხაზეთ-ცხინვალის დამოუკიდებლობა ცნეს, ხვალ დონეცკისა და ლუგანსკის დამოუკიდებლობას ცნობენ და რუსეთის არმია უკვე ლეგიტიმურად დაარტყამს ბანდერელ ფაშისტებს (მათ შორის, ქართველ მამელუქთა დაქირავებულ შენაერთებსაც, რომელთა ადგილზე ყოფნასაც ნამდვილად არ ვისურვებდი) „რუსეთის ქალაქების დედამდე" — კიევამდე.

ორივე შემთხვევაში **პოროშენკოს ადგილი არ რჩება არა მხოლოდ პოლიტიკაში, არამედ „პარაშას" ფიზიკურად გადარჩენის პრობლემა დაუდგება...**

მანამდე კი დონალდ ტრამპი ბულდოზერივით აწვება მის გზაზე ნეოლიბერალთა მიერ ხელოვნურად შექმნილ ბარიერებს და ჯიუტად ცდილობს წინასაარჩევნო დაპირებების შესრულებას, რომელიც უკვე თავისთავად არის ნონსენსი, რადგან არა მხოლოდ ქართველ პოლიტიკოსებს ავიწყდებათ დაპირებები, არამედ, საზოგადოდ, პოლიტიკოსებს და, მათ შორის, ამერიკელებსაც ემართებათ ხოლმე ამნეზია არჩევნების შემდეგ.

**ანალიტიკოსებმა აღნიშნეს, რომ იმდენი საპრეზიდენტო ბრძანებულება, რამდენიც ამ მოკლე ხანში გამოსცა დონალდ ტრამპმა, ბარაკ ობამას ორი საპრეზიდენტო ვადის, ანუ 8 წლის განმავლობაში არ გამოუცია.**

ტრამპის ერთ-ერთი ბრძანებულება საიმიგრაციო პოლიტიკის გამკაცრებას ითვალისწინებს, აშშ-ის სახელმწიფო უსაფრთხოებიდან გამომდინარე. ამ ბრძანებულებას მყისვე მოჰყვა მასობრივი საპროტესტო გამოსვლები არა მხოლოდ აშშ-ში, არამედ ევროპაშიც, რომელსაც აშკარად ეტყობა ერთი დირიჟორის ხელი. დირიჟორის, რომელსაც მსოფლიოს ლიბერალური მმართველი ელიტა ჰქვია.

მიუხედავად ამისა, ტრამპის ბულდოზერი არავის და არაფერს ეპუება და იქნება ამის შედეგი იყო ამას წინათ მალტაზე გამართული ევროკავშირის ლიდერთა შეხვედრაზე მიღებული ერთი შეხედვით შეუსაბამო განცხადება.

თავად განსაჯეთ: **„ევროკავშირის საიმიგრაციო პოლიტიკის საკვანძო ელემენტია ჩვენი საზღვრების ეფექტიანი კონტროლი და ევროკავშირში არალეგალი დევნილების მიღების შეწყვეტა"...**

რა არის ეს, თუ არა მძინარე მხეცის გაღვიძების შიში?

თუმცა ტრამპის „სამხეცეს", მგონი, ისედაც არ სძინავს.

აი, რა განაცხადა აშშ-ს მომავალმა ელჩმა ევროკავშირში — **ტედ მელოკმა:**

„მე თავის დროზე სსრკ-ის დაშლაში მნიშვნელოვანი წვლილი შევიტანე. ახლა კიდევ ერთი გაერთიანებაა ჭკუაზე მოსაყვანი"...

კიდევ ერთი გაერთიანების ჭკუაზე მოყვანაში ევროკავშირი და მისი დაშლა რომ იგულისხმება, მგონი, ბრიყვისთვისაც ცხადია..

თვითონ დონალდ ტრამპმა ამ თემაზე, რომ იტყვიან, ცეცხლზე ნავთი დაასხა:

**„მიმაჩნია, რომ ევროპას რთული მომავალი ელის... ერებს იდენტობის შენარჩუნება სურთ. იგივე სურთ დიდ ბრიტანეთში და ამიტომაც ტოვებენ ევროკავშირს. თუ ჩემი აზრი გაინტერესებთ, ვფიქრობ, სხვა ქვეყნებიც დატოვებენ ევროკავშირს"...**



**საქართველოს ხელისუფლებას არჩევანი ჯერ კიდევ აქვს. ამ არჩევანს ჰქვია, ევროკავშირი-ნატოს ქიმერის დევნის ნაცვლად, უახლოეს მომავალში რუსეთთან სტრატეგიული კავშირის დამყარება, რომლის სურვილის იმპულსები ახლავე, ანუ მანამდე უნდა გავგზავნოთ კრემლში, სანამ დონალდ ტრამპისა და ვლადიმერ პუტინის პირისპირ შეხვედრა გაიმართება. თორემ უეჭველია, ამ შეხვედრაზე რუსეთი და აშშ გავლენის სფეროებს ხელახლა მონიშნავენ მსოფლიოს რუკაზე და, გვინდა თუ არა, ჩვენ, როგორც პოსტსაბჭოთა სივრცეზე არსებული ქვეყანა, რუსეთის გავლენის სფეროში დავრჩებით**

აშკარად შეშფოთებულია ამერიკელი სეხნიის მოქმედებით კიდევ ერთი ოდიოზური ლიბერალი, პოლონელი **დონალდ ტუსკი:**

„დონალდ ტრამპის საგანგაშო განცხადებებიდან გამომდინარე, ევროკავშირის მომავალი ბუნდოვანია"...

ერთი სიტყვით, **ყველაფრიდან ჩანს, რომ ევროკავშირი დონალდ ტრამპს არაფერში სჭირდება და ეს, მისი ახირება კი არა, ბიზნესმენის პრაგმატული გათვლაა — ბრიუსელის სახით სრულიად ევროპასთან მოლაპარაკებებს ცალკეულ ქვეყანასთან პირისპირ ლაპარაკი ურჩევნია, ევროზონას კი — დოლარის ზონა.**

**ევროს, ექსპერტთა ოპტიმისტური გათვლებით, 14-16 თვის სიცოცხლელა უწერია, ხოლო ევროკავშირის არსებობის დასასრულს წლის ბოლომდე ვარაუდობენ.**

და კვლავ დონალდ ტრამპი. აშშ-ის პრეზიდენტმა „ფოქსნიუსის" ეთერში ტელეწამყვანის უტაქტო შეკითხვას — „პუტინი მკვლელია?" — ტაქტიანად უპასუხა: „მკვლელი ბევრია, ჩვენთან, აშშ-ში ბევრი მკვლელია. თქვენ ფიქრობთ, რომ ჩვენი ქვეყანა უცოდველია"?

ამ ყველაფრის ფონზე საქართველოს ხელისუფლების ქმედებებს არაადეკვატური უწოდო, იგივეა, არაფერი თქვა.

არის, აღსრულდა, ნანატრი ვიზალიბერალიზაცია მოგვცეს ქართველებს! — ღნავიან მარჯვნივ და მარცხნივ, ხელისუფლება და ოპოზიცია...

ჯერ ერთი, იმდენი დათქმა მოაყოლეს ამ ამბავს, რომ წასვლის ხალისს დაკარგავდი თუ, საერთოდ, გქონდა.

უკვე ჭკუის დარიგება დაგვიწყო საგარეო საქმეთა მინისტრმა, — საზღვარზე მზად უნდა იყოთ კითხვებზე პასუხების გასაცემადო. მიუხედავად იმისა, რომ კითხვარი არ მოუცია, რატომღაც მგონია, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს ამ კითხვების შინაარსი...

მაგალითად, რომელ სასტუმროში გაქვს დაჯავშნილი ნომერი და რამდენი ფარა გიდევს ჯიბეში?

მოკლედ, **ეს ისეთი უვიზო მიმოსვლაა, რომელიც აქამდეც გვქონდა ქართველებს. ვისაც ფული აქვს, ის ისედაც დადის აშშ-ევროპაში და ვისაც არა — ის ვერც ვიზების ლიბერალიზაციით ისარგებლებს. სამუშაოს ძებნაში, ანუ ბებერი ევროპელებისთვის პამპერსების გამოსაცვლელად ისევ არალეგალური გზებით შევლენ ევროპაში ქართველები.**

მეორე — ჯერ ევროპის საბჭომ უნდა დაამტკიცოს კენჭისყრის შედეგები და აპრილიდან შეგვეძლება „ძირძველ ევროპელ ქართველებს" საკუთარ სახლში დაბრუნებაო, მაგრამ, ტრამპისა და სხვების განცხდებებიდან გამომდინარე, თუ ევროკავშირი და ნატო მაინც არ დაიშალა, ამ გაერთიანებებს ისე გარდაქმნიან, რომ ახალ წევრებს ნამდვილად არ მიიღებენ.

ემანდ, დღეს პირველი აპრილიას მსგავსი რამ არ დაგემართოთ ვიზალიბერალიზაციით აღტყინებულთ, ფრთხილად იყავით! ვინც დღესაც საპირისპირო მოსაზრებით თვალში ნაცარს აყრით უაღრესად შეჭირვებულ მოსახლეობას, ის ან შეუგნებელი დებილია, ან შეგნებული მტერი! დღეს კაცობრიობის შეგნებული ნაწილი დონალდ ტრამპისა და ვლადიმერ პუტინის პირისპირ შეხვედრას ელოდება.

სამწუხაროდ, **შეგნებულთა შორის საქართველოს ხელისუფლებას ვერ ვიგულისხმებ — ის კვლავ ბარაკ ობამასა და ჰილარი კლინტონის პოლიტიკის ფარვატერში დგას, ისევე, როგორც „პარაშას" ხელისუფლება, მაგრამ განსხვავებით პოროშენკოსგან, საქართველოს ხელისუფლებას არჩევანი ჯერ კიდევ აქვს. ამ არჩევანს ჰქვია, ევროკავშირი-ნატოს ქიმერის დევნის ნაცვლად, უახლოეს მომავალში რუსეთთან სტრატეგიული კავშირის დამყარება, რომლის სურვილის იმპულსები ახლავე, ანუ მანამდე უნდა გავგზავნოთ კრემლში, სანამ დონალდ ტრამპისა და ვლადიმერ პუტინის პირისპირ შეხვედრა გაიმართება.**

თორემ უეჭველია, ამ შეხვედრაზე რუსეთი და აშშ გავლენის სფეროებს ხელახლა მონიშნავენ მსოფლიოს რუკაზე და, გვინდა თუ არა, ჩვენ, როგორც პოსტსაბჭოთა სივრცეზე არსებული ქვეყანა, რუსეთის გავლენის სფეროში დავრჩებით.

ჰოდა, მერე, ნიკანდრო ქირიასი არ იყოს, დათა თუთაშხიას რომ უთხრა გრაფი სეგედის პატიების ქაღალდზე, ვიზალიბერალიზაციის ქაღალდი მივიწებოთ უკანალზე და გვქონდეს იქ...

**დავით მხეიძე**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უკრაინელი პოლიტიკოსები, ქართველი კოლეგების მსგავსად, ცდილობენ, მიაჩვიონ მოსახლეობა იმ აზრს, რომ ქვეყნის ბედი სადღაც შორს, ვაშინგტონში, წყდება და ამიტომ მათ მიმდინარე პროცესებზე ნაკლები პასუხისმგებლობა ეკისრებათ. თუმცა მოსახლეობის ნეგატიური დამოკიდებულება ხელისუფლების მიმართ მაინც დიდია. სოციოლოგიური ჯგუფის — „რეიტინგის“ მიერ გამოკითხულთა 46% მხარს უჭერს პრეზიდენტის გადადგომას, 45% კი — პარლამენტის ვადამდელი არჩევნების დანიშვნას.**

**გასულ კვირას მკვეთრად დაიძაბა ვითარება უკრაინაში – ომმა ახალი ძალით იფეთქა. პარალელურად ღრმავდება სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი, სწრაფად იზრდება უნდობლობა ხელისუფლების მიმართ, ხოლო ექსპერტების პროგნოზები სულ უფრო პესიმისტური ხდება.**

# ვის დარჩება უკრაინა?




**ოლიგარქებს ხელს აძლევთ, რომ უკრაინული სახელმწიფო კვლავინდებურად სუსტი იყოს, რადგან მათ მიერ შექმნილი პარაზიტული ეკონომიკური მოდელი მხოლოდ ასეთ პირობებში მუშაობს და ეს «მართვადი ქაოსის» გაგრძელებაში მათ დაინტერესებულს ხდის**

დღეს უკრაინელები ყურადღებით ადევნებენ თვალს ახალ ამბებს ვაშინგტონიდან. ბევრი ფიქრობს, რომ, აშშ-რუსეთის მორიგი „დიდი გარიგების“ ფარგლებში, **ტრამპის** ადმინისტრაცია შეიძლება მათი ქვეყნის მოსკოვის გავლენის სფეროში დაბრუნებას დათანხმდეს. კომენტატორები მკითხაობენ თემაზე „რა მოხდება?“, თუმცა, შესაძლოა, გაცილებით იოლია იმის დადგენა, „რა არ მოხდება“. უკრაინა დონალდ ტრამპისთვის მნიშვნელოვანი პრიორიტეტი, სავარაუდოდ, არ იქნება. მისი მიდგომა საგარეო პოლიტიკის მიმართ აშშ-ის მოკავშირეებზე პასუხისმგებლობისა და ხარჯების გადანაწილებას ითვალისწინებს, ხოლო უკრაინა ევროკავშირის მეზობელია, შესაბამისად, ტრამპის ძირითადი იდეის თანახმად, დასავლეთის ინტერესებზე იქ, უპირველესად, ევროპელებმა უნდა იზრუნონ.

ამასთანავე, ტრამპი ბევრ ახალ „ფრონტს“ ხსნის — მალე დაიწყება აშშ-ის სავაჭრო ომი ჩინეთთან, აქტიური ბრძოლა „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ და ა.შ., ამიტომ ახალი პრეზიდენტი, სავარაუდოდ, შეეცდება, არ ჩაებას მწვავე დაპირისპირებაში რუსეთთან უკრაინის გამო. მან შეიძლება უარი თქვას ნატოში უკრაინის შეყვანის ლობირებასა და მისი არმიის შეიარაღების მასშტაბურ პროგრამებზე, სამშვიდობო პროცესზე ზრუნვა კი ევროპელებს დაუთმოს.

ამ ფართოდ გავრცელებული მოლოდინების მიუხედავად, უკრაინის პრეზიდენტი აპირებს, ნატოში შესვლის თემა უფრო აქტუალური გახადოს. „ოთხი წლის წინათ ნატოში უკრაინის გაერთიანებას მოსახლეობის 16% უჭერდა მხარს. ახლა ეს მაჩვენებელი 54%-ს შეადგენს. როგორც პრეზიდენტი, მე გავიგებ ჩემი ხალხის აზრს და ჩავატარებ რეფერენდუმს ნატოში გაწევრებაზე და, თუ უკრაინელები მხარს დაუჭერენ ამას, ყველაფერს გავაკეთებ, რათა მივაღწიო უკრაინის წევრობას ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში“, — განაცხადა **პეტრე პოროშენკომ** „ბერლინერ მორგენპოსტთან“ საუბარში (“ინტერპრესნიუსი”).

ცხადია, აშშ-ის საგარეო პოლიტიკის კორექტირება არ ნიშნავს იმას, რომ დონალდ ტრამპი, უბრალოდ, დათმობს იმ პოზიციებს, რომლებიც წინა ადმინისტრაციამ მოიპოვა — ის, დიდი ალბათობით, ივაჭრებს, როგორც ბიზნესმენებს სჩვევიათ, რათა უკრაინაში (და, საზოგადოდ, პოსტსაბჭოთა სივრცეში) დათმობების სანაცვლოდ მიიღოს კრემლის მხარდაჭერა ახლო აღმოსავლეთში და სხვა მისთვის გაცილებით მნიშვნელოვან ზონებში. ვაჭრობის პროცესი, სულ ცოტა, რამდენიმე თვეს გაგრძლდება და ამ პერიოდში უკრაინულ ელიტას ბევრი ნერვიულობა მოუწევს.

უკრაინელი პოლიტიკოსები, ქართველი კოლეგების მსგავსად, ცდილობენ, მიაჩვიონ მოსახლეობა იმ აზრს, რომ ქვეყნის ბედი სადღაც შორს, ვაშინგტონში, წყდება და ამიტომ მათ მიმდინარე პროცესებზე ნაკლები პასუხისმგებლობა ეკისრებათ. თუმცა მოსახლეობის ნეგატიური დამოკიდებულება ხელისუფლების მიმართ მაინც დიდია. სოციოლოგიური ჯგუფის — „რეიტინგის“ მიერ გამოკითხულთა 46% მხარს უჭერს უკრაინის პრეზიდენტის გადადგომას, 45% კი — რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას. ამას (ყოველ შემთხვევაში — ობამას მმართველობის პერიოდში) კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ ამერიკელები და უკრაინის ხელისუფლებაც ეთანხმებოდა, რომ საპარლამენტო არჩევნები მხოლოდ 2019 წელს უნდა გაიმართოს.

მაგრამ პრობლემა არის ის, რომ იმ პარტიების რეიტინგი, რომლებმაც 2014-ში არჩევნები მოიგეს, მკვეთრად დაეცა. პეტრე პოროშენკოს ბლოკი 21,8%-დან 12,6%-მდე ჩამოვიდა; ხოლო რეიტინგი ყოფილი პრემიერის — **არსენი იაცენიუკის** „სახალხო ფრონტისა“, რომელმაც არჩევნებში ხმების 22,1% დააგროვა, ახლა მხოლოდ 1%-ია.

ამ ფონზე უმჯობესდება ოპოზიციის მდგომარეობა; გამოკითხულთა 17,4% მზადაა, მხარი დაუჭიროს **იულია ტიმოშენკოს** „ბატკივშინას“, მაშინ, როდესაც 2014 წლის არჩევნებში მან მხოლოდ ხმების 5,7% მიიღო. **იანუკოვიჩის** „რეგიონების პარტიის“ ყოფილ წევრებს „ოპოზოციური ბლოკიდან“ (შედეგი 2014 წლის არჩევნებში — 9,4%), გამოკითხვის თანახმად, შეიძლება 11,1%-ის იმედი ჰქონდეთ. ეს არ არის მკვეთრი მატება, მაგრამ საქმე ისაა, რომ ძველი „რეგიონების პარტიის“ ელექტორატის ნაწილი აპირებს, ხმა ახალ პარტიას — „ზა ჟიტიას“ მისცეს, რომელიც ყოფილმა „რეგიონალმა“ **ვადიმ რაბინოვიჩმა** ჩამოაყალიბა. ამ პარტიას მხარს გამოკითხულთა 6,2% უჭერს.

როგორც ჩანს, ტიმოშენკომაც და „რეგიონალებმაც“ შეინარჩუნეს მხარდამჭერების ბირთვი და ახალი ამომრჩევლებიც მიიზიდეს, არადა, ორიოდე წლის წინათ ბევრი კომენტატორი თვლიდა, რომ მათ სერიოზული პერსპექტივა აღარ ჰქონდათ.

**მიხეილ სააკაშვილის** პარტიის რეიტინგი, ამ გამოკითხვის თანახმად, 3,1%-ია და ხუთპროცენტიანი ბარიერის გადალახვის შანსი არ აქვს, მაგრამ ის მაინც მოითხოვს რიგგარეშე არჩევნების დანიშვნას და ამას, სავარაუდოდ, ორი მიზეზი განაპირობებს: მას შემდეგ, რაც გუბერნატორის პოსტი დატოვა, სააკაშვილმა „ტრიბუნა დაკარგა“ და აუდიტორიის დიდი ნაწილისთვის ნაკლებად აქტუალურია. დროთა განმავლობაში ეს რეიტინგის პრობლემებს შეუქმნის. ამასთანავე, გადამწყვეტ ფაზაში შედის ორი მნიშვნელოვანი საქმის გამოძიება, რომლებიც ოდესაში მისი გუბერნატორობის პერიოდს ეხება, საუბარია ოდესის პორტისპირა ქარხნის პრივატიზებასა და საბაჟოზე მომხდარი მაქინაციებზე. გამოძიების დასრულების შემდეგ სააკაშვილი შეიძლება ჩვეულებრივ კორუფციონერად წარმოჩნდეს, ამიტომ ის ჩქარობს, მით უმეტეს, რომ ერთ-ერთი შედარებით მსხვილი საპარლამენტო პარტიის — „სამოპომოჩის“ (ის ადრე მმართველ კოალიციაში შედიოდა) ლიდერი, ლვოვის მერი — **ანდრეი სადოვი** მასთან თანამშრომლობის შესაძლებლობას განიხილავს. „სამოპომოჩმა“ არჩევნებში 11% მიიღო, ახლა მისი რეიტინგია 7,4%-ია. ის უკვე ჩამორჩება თავის უშუალო კონკურენტ (ადრე სახელისუფლო კოალიციაში ისიც შედიოდა) **ოლეგ ლიაშკოს** „რადიკალურ პარტიას“ — მას 8,4% აქვს, მაშინ, როდესაც არჩევნებშიც და წინა გამოკითხვებშიც „სამოპომოჩზე“ უარესი შედეგი ჰქონდა.

შეიცვლება თუ არა რამე „შესაკრებთა გადანაცვლებით“? —ეს მხოლოდ პარტიების რეიტინგზე როდია დამოკიდებული, რადგან უკრაინაში მთავარ როლს არა პოლიტიკოსები, არამედ ოლიგარქები ასრულებენ. სწორედ მათ განიხილავს ამომრჩევლების უდიდესი ნაწილი ქვეყნის მთავარ მტრებად. მათ წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგმა „მაიდანის“ პერიოდში უამრავი მოქალაქე გააერთიანა, თუმცა ამის შემდეგ ოლიგარქების პოზიციები ნამდვილად არ გაუარესებულა. მათ, უბრალოდ, ჩამოიცილეს ვიქტორ იანუკოვიჩი, რომელიც ცდილობდა, აქტივები საკუთარი კლანის სასარგებლოდ გადაენაწილებინა, ხელთ იგდეს არაერთი სახელმწიფო კომპანია, პრივატიზაციაზე სასწრაფოდ გატანილი საწარმოები და ა.შ. მოულოდნელად აღმოჩნდა, რომ „ავრორამ“ სწორედ მათთვის გაისროლა.

უკრაინელი ოლიგარქების ძლევამოსილების მთავარი წყარო სახელმწიფოს სისუსტეა, ხოლო მისი გარდაქმნა და ანტიკორუფციული რეფორმების გატარება ომისა და ეკონომიკური კოლაფსის პირობებში პრაქტიკულად შეუძლებელია. ხელისუფლებამ დეოლიგარქიზაცია რომც დააპიროს, საინფორმაციო ბრძოლის მოგება ძალიან გაუჭირდება, რადგან სატელევიზიო ბაზრის სამ მეოთხედს ოთხი ოლიგარქი — **კოლომოისკი, ფირტაში, პინჩუკი** და **ახმეტოვი** აკონტროლებენ. მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთს ხშირად მტრობენ, ისინი მშვენივრად აცნობიერებენ, რომ სახელმწიფოსთან დაპირისპირებაში საერთო ინტერესები აქვთ.

პრობლემა მხოლოდ ის კი არ არის, რომ ოლიგარქები აკონტროლებენ ათეულობით კორუფცირებულ სახელმწიფო მოხელესა თუ დეპუტატს, არამედ ისიც, რომ უკრაინის ეკონომიკას კონკურენტუუნაროს ხდიან. ბოლო ათწლეულების გამოცდილება ცხადყოფს, რომ უკრაინელი ოლიგარქები ორიენტირებულნი არიან მოკლევადიან პერსპექტივაზე და, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, არ აინტერესებთ საწარმოთა მოდერნიზება და გაფართოება. ოლიგარქებს ხელს აძლევთ, რომ უკრაინული სახელმწიფო კვლავინდებურად სუსტი იყოს, რადგან მათ მიერ შექმნილი პარაზიტული ეკონომიკური მოდელი მხოლოდ ასეთ პირობებში მუშაობს და ეს „მართული ქაოსის“ გაგრძელებაში მათ დაინტერესებულს ხდის.

1 თებერვლიდან ბუნებრივი აირის ფასი უკრაინული საწარმოებისთვის 22%-ით გაიზარდა, ელექტროენერგიისა კი — 2-3%-ით. და ეს მაშინ, როდესაც მხოლოდ შარშან პროდუქციის თვითღირებულება სამჯერ უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე მისი რეალიზაციის ფასი (სიღარიბით გამოწვეული შემცირებული მოთხოვნის პირობებში). ამ გზას უკრაინა ინდუსტრიული პოტენციალის განადგურებამდე მიჰყავს.

„ევრომაიდანის“ შემდეგ მიმდინარეობს კომუნალური გადასახადების მუდმივი მატება. გათბობის ტარიფი 71,5%-ით გაიზარდა, ცხელი წყლის — 57%-ით, ბუნებრივი აირის ფასი კი პრაქტიკულად გასამმაგდა, ელექტროენერგია 70%-ით გაძვირდა და 1 მარტიდან ტარიფის მორიგი გაზრდა იგეგმება. კომუნალური გადასახადების სუბსიდირების პროგრამა 6 მილიონ მოქალაქეს ეხება, ექსპერტების ვარაუდით, ელექტროენერგიის მორიგი გაძვირების შემდეგ, მათი რაოდენობა კიდევ ერთი მილიონით გაიზრდება და მთავრობა შესაბამის ხარჯებს, უბრალოდ, ვეღარ გაწევს. მოსახლეობის დავალიანებამ კომუნალურ გადასახადებზე 350 მილიონ დოლარს გადააჭარბა. მძიმე სოციალური მდგომარეობის გამო „რისერჩ & ბრენდინგ გრუპის“ გამოკითხვის თანახმად, მოსახლეობის 34% მზადაა, უკრაინა სამუდამოდ დატოვოს.

უკრაინის ხელისუფლება გალიზიანებული ხალხის შეკავებას დღეს მხოლოდ პატრიოტული გრძნობების აპელირებით ახერხებს და ცდილობს, ამომრჩევლების ყურადღება განახლებულ საბრძოლო მოქმედებებზე გადაიტანოს. ის, სავარაუდოდ, ასევე შეეცდება, ახალი ესკალაცია აშშ-რუსეთის „დიდი გარიგების“ ტორპედირებისთვის გამოიყენოს ან, სულ ცოტა, ტრამპის ადმინისტრაციის რეაქცია დატესტოს. ცხადია, ეს თამაში უსასრულოდ ვერ გაგრძელდება და უკრაინელები ოლიგარქებსა და კორუფცირებულ პოლიტიკურ ელიტას აუცილებლად მოსთხოვენ პასუხს ქვეყნის სისხლიან ქაოსსა და სიღარიბეში ჩაძირვის გამო.

**გამოკითხულთა 17,4% მზადაა, მხარი დაუჭიროს იულია ტიმოშენკოს «ბატკივშინას», მაშინ, როდესაც 2014 წლის არჩევნებში მან მხოლოდ ხმების 5,7% მიიღო. იანუკოვიჩის «რეგიონების პარტიის» ყოფილ წევრებს «ოპოზოციური ბლოკიდან» (შედეგი 2014 წლის არჩევნებში — 9,4%), გამოკითხვის თანახმად, შეიძლება 11,1%-ის იმედი ჰქონდეთ. ეს არ არის მკვეთრი მატება, მაგრამ საქმე ისაა, რომ ძველი «რეგიონების პარტიის» ელექტორატის ნაწილი აპირებს, ხმა ახალ პარტიას — «ზა ჟიტიას» მისცეს, რომელიც ყოფილმა „რეგიონალმა“ ვადიმ რაბინოვიჩმა ჩამოაყალიბა. ამ პარტიას მხარს გამოკითხულთა 6,2% უჭერს**

**ლუკა ნემსაძე**

**ამერიკა ყველა ფრონტზე კონფრონტაციით წარმატებას ნამდვილად ველარ მიაღწევს: ტერორიზმი, ჩინეთი, ირანი, რუსეთი — ყველაფერი ეს ერთად ამერიკისთვის დაუძლეველი წინააღმდეგობაა იმ შემთხვევაშიც კი, თუ ვაშინგტონი კვლავ ეცდება ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გამოყენებას და დაიახლოვებს ევროკავშირის ბიუროკრატიას.**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მსოფლიო აღარ იქნება პოლიტიკურად ერთპოლუსიანი

**მკითხველის ყურადღებას ამჯერად აშშ-ის პრეზიდენტის საგარეო-პოლიტიკურ სტრატეგიაში არსებულ მნიშვნელოვან წინააღმდეგობებზე მივაპყრობ.**
**პირველი და უმთავრესი, ჩემი ღრმა რწმენით, ვაშინგტონის ახალი ადმინისტრაციის დამოკიდებულებაა ირანის ისლამური რესპუბლიკის მიმართ. დონალდ ტრამპმა არაერთხელ განაცხადა, რომ იგი აპირებს „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის დაწყებას, შესაბამის დეკრეტსაც მოაწერა ხელი.**
**ამასთანავე, ტრამპის ადმინისტრაცია აშშ-რუსეთის თანამშრომლობის შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენების მომხრეა. თუკი აშშ და რუსეთის ფედერაცია ტერორისტული ფსევდოსახელმწიფოს წინააღმდეგ თავიანთ ძალისხმევას გააერთიანებენ, „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტებს უფრო მძიმე მომავალი ელით, ვიდრე ეს ახლა ჩანს.**



**ირანი იყო და არის ვაჰაბიტური ტერორიზმის პირველი მტერი ახლო აღმოსავლეთის რეგიონში. შესაბამისად, თუ ამ ტერორიზმს ებრძვი, ირანიც ისევე უნდა გჭირდებოდეს მოკავშირედ, როგორც რუსეთი. თუკი ირანს დაუწყებ მტრობას, მაშინ ანტიტერორისტული კოალიცია არასრული და ნაკლებად წარმატებული იქნება. ეს დილემა ტრამპს კიდევ შეახსენებს თავს. მით უფრო, რომ რუსეთსა და ირანს შორის მთელ რიგ სტრატეგიულ სფეროებში ვითარდება თანამშრომლობა, რუსეთი და ირანი ასევე მჭიდროდ თანამშრომლობენ სირიის საკითხში. ამიტომ ირანის მიმართ აშშ-ის მკვეთრი ქმედებები საფრთხეს შეუქმნის ისევ და ისევ რუსულ-ამერიკულ თანამშრომლობას**

მაგრამ შესაძლებელი იქნება რუსულ-ამერიკული თანამშრომლობა ტერორიზმის წინააღმდეგ იმ ფონზე, როდესაც გაეროში აშშ-ის მუდმივი წარმომადგენელი, ამჯერად უკვე ტრამპის ადმინისტრაციის მიერ ახლახან წარგზავნილი **ნიკი ჰეილი** რუსეთის წინააღმდეგ შეტევაზე გადადის და მას ბრალს სდებს აღმოსავლეთ უკრაინაში არსებული მძიმე ვითარების გამო?

„უკრაინის აღმოსავლეთში მძიმე ვითარებაა, რომელიც მოითხოვს რუსეთის ქმედებების მკაფიოდ დაგმობას... შეერთებული შტატები უკრაინის მხარეს დგას“, — განაცხადა ამერიკელმა დიპლომატმა უკრაინის თხოვნით მოწვეულ უშიშროების საბჭოს რიგგარეშე სხდომაზე. გარდა ამისა, ქალბატონმა დიპლომატმა რუსეთი ყირიმის ანექსიაშიც დაადანაშაულა. მოკლედ, ეს განცხადებები არაფრით განსხვავდებოდა წინამორბედის, ობამას ადმინისტრაციის წარმომადგენელ **სამანტა პაუერის** განცხადებებისგან.

რუსმა კოლეგამ, გაეროს უშიშროების საბჭოს დებატებში გამოწრთობილმა **ვიტალი ჩურკინმა** შეძლებისდაგვარად რბილი პასუხი გასცა ჰეილის, ჟურნალისტებთან კი აღნიშნა, რომ „ჰეილიმ საუბარი სავსებით კონსტრუქციულად დაიწყო; აღნიშნა, რომ მას არ სურს რუსეთთან დაპირისპირება“. მისივე თქმით, უცნაური იქნებოდა, უკრაინის მიმართ ვაშინგტონში უკვე ჩამოყალიბებული გარკვეული პოზიცია ერთ დღეში რომ შეცვლილიყო. ამერიკის მიმართ ასეთი დამთმობი და ლმობიერი ვიტალი ჩურკინი მე, კარგა ხანია, არ მახსოვს. სამაგიეროდ, რუსეთის ამ ერთ-ერთმა საუკეთესო დიპლომატმა მთავარი ვერბალური დარტყმა დიდ ბრიტანეთს მიაყენა, რომლის წარმომადგენელი **მეთიუ რაიკროფტი** მწვავედ აკრიტიკებდა რუსეთს უშიშროების საბჭოს იმავე სხდომაზე. **„დააბრუნეთ მალვინის კუნძულები, დააბრუნეთ გიბრალტარი, დააბრუნეთ თქვენ მიერ ანექსირებული კვიპროსის ნაწილი, დააბრუნეთ ჩაგოსის არქიპელაგი ინდოეთის ოკეანეში, რომელიც უზარმაზარ სამხედრო ბაზად აქციეთ... აი მაშინ, შეიძლება, თქვენი სინდისი ოდნავ უფრო დაიწმინდოს და თქვენ მეტი უფლება გექნებათ, ისაუბროთ სხვა თემებზეც“**, — მიმართა ჩურკინმა ბრიტანელ დიპლომატს.

როგორც ვხედავთ, **ამერიკულ-რუსული ურთიერთობები ჯერ კიდევ შორს არის დარეგულირებისგან, თუმცა ამის შანსი მაინც უფრო მეტია დღეს, ვიდრე ობამას მმართველობის პერიოდში იყო.** დონალდ ტრამპი არ ღალატობს თავის პოზიციას და რუსეთის ლიდერის, **ვლადიმირ პუტინის**, მიმართ კორექტულობას იცავს. „ფოქს ნიუსის“ ჟურნალისტის პროვოკაციულ რეპლიკას იმის თაობაზე, რომ პუტინი მკვლელია, ტრამპმა ადეკვატური პასუხი გასცა, — მკვლელები ამერიკაში უფრო მეტია და კრიტიკა ამერიკის პოლიტიკით უნდა დავიწყოთო. ტრამპმა, ასევე, გულახდილად განაცხადა, რომ „წარმოდგენა არ აქვს“, შეძლებს თუ არა პუტინთან საერთო ენის გამონახვას. ალბათ, ყველაზე ზუსტი შეფასება ამერიკულ-რუსული ურთიერთობების განვითარების პერსპექტივა ყველაზე ზუსტად, ალბათ, თვით პრეზიდენტმა ტრამპმა შეაფასა.

მაგრამ მხოლოდ აშშ-რუსეთის ურთიერთობების გაურკვევლობა როდი ბადებს კითხვებს. გაცილებით წინააღმდეგობრივია ტრამპის პოლიტიკა, როდესაც საქმე ეხება ირანის ისლამურ რესპუბლიკას. კარგად ცნობილია აშშ-ის ახალი ადმინისტრაციის მკვეთრი პოზიცია ირანის მიმართ, რომელიც ირანთან მსოფლიოს ექვსი ლიდერი-სახელმწიფოს, მათ შორის, აშშ-ის, მიერ მიღწეულ შეთანხმებას და ანტიირანული სანქციების გაუქმებას გმობს. **ტრამპი ამბობს, რომ ირანის წინააღმდეგ ახალ სანქციებს შემოიღებს. ვაშინგტონმა ირანის მოქალაქეები უკვე ჩართო იმ მუსლიმური ქვეყნების სიაში, რომელთა მოქალაქეებს აშშ-ში შესვლა ეკრძალებათ, თუნდაც მათ მოქმედი ამერიკული ვიზა ჰქონდეთ პასპორტში. ამ ნაბიჯს სიმბოლური დატვირთვა აქვს და ირანისადმი ვაშინგტონის მტრულ დამოკიდებულებას გამოხატავს.**

წინააღმდეგობა არის ის, რომ, ერთი მხრივ, როგორც ზევით აღვნიშნე, **ტრამპი დაუნდობელ ომს უცხადებს „ისლამურ სახელმწიფოს“, მზად არის, ტერორისტების დასამარცხებლად რუსეთთანაც ითანამშრომლოს, მაგრამ უგულებელყოფს ირანს, როგორც „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორიზმთან მებრძოლ სერიოზულ ძალას.** სანამ სირიის ხელისუფლებას რუსეთი დაეხმარებოდა, მანამდე სირიას ირანის ისლამური რესპუბლიკის სპეცსამსახურები და სამხედრო ინსტრუქტორები იცავდნენ, ირანი მატერიალურადაც ეხმარებოდა პრეზიდენტ **ბაშარ ასადს**. გარდა ამისა, სირიის მეზობელ ლიბანში მოქმედი შიიტური ორგანიზაციის, პროირანული „ჰეზბოლას“ მრავალრიცხოვანი მებრძოლები სერიოზულ ძალას წარმოადგენდნენ და ახლაც წარმოადგენენ „ისლამური სახელმწიფოსა“ და სხვა ტერორისტული დაჯგუფებების ექსპანსიის შეჩერების საქმეში. ყოველივე ეს კარგად არის ცნობილი მსოფლიოს მასმედიისთვის და პოლიტიკოსებისთვის, ასევე — ფართო საზოგადოებისთვის. ასე რომ, **ირანი იყო და არის ვაჰაბიტური ტერორიზმის პირველი მტერი ახლო აღმოსავლეთის რეგიონში. შესაბამისად, თუ ამ ტერორიზმს ებრძვი, ირანიც ისევე უნდა გჭირდებოდეს მოკავშირედ, როგორც რუსეთი. თუკი ირანს დაუწყებ მტრობას, მაშინ ანტიტერორისტული კოალიცია არასრული და ნაკლებად წარმატებული იქნება. ეს დილემა ტრამპს კიდევ შეახსენებს თავს. მით უფრო, რომ რუსეთსა და ირანს შორის მთელ რიგ სტრატეგიულ სფეროებში ვითარდება თანამშრომლობა, რუსეთი და ირანი ასევე მჭიდროდ თანამშრომლობენ სირიის საკითხში. ამიტომ ირანის მიმართ აშშ-ის მკვეთრი ქმედებები საფრთხეს შეუქმნის ისევ და ისევ რუსულ-ამერიკულ თანამშრომლობას.**

დონალდ ტრამპმა ხელი კიდევ ერთ დეკრეტს მოაწერა, რომელიც მის ადმინისტრაციაში უცხო სახელმწიფოთა ლობისტურ საქმიანობას კრძალავს. მაღალჩინოსნებს თანამდებობიდან წასვლის შემდეგ კიდევ 5 წლის განმავლობაში ეკრძალებათ ლობისტური საქმიანობა, მაგრამ, როგორც ჩანს, ერთია ხელმოწერილი დოკუმენტი და მეორე — რეალობა. ისრაელის ლობის ეს შეზღუდვა არ ეხება. ტრამპის ანტიირანული პოლიტიკა სწორედ ისრაელის დაკვეთაა (ეს გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას). ისრაელი თავის მთავარ მეტოქედ რეგიონში ირანს მიიჩნევს, ისევე, როგორც ლიბანურ „ჰეზბოლას“, რომელიც ირანზეა ორიენტირებული. ტრამპის პროისრაელური განწყობა საიდუმლოს არ წარმოადგენს, ისევე, როგორც ფაქტი, რომ ისრაელის პოლიტიკური ისტებლიშმენტი სიხარულს მაინცდამაინც არ მალავდა ტრამპის გამარჯვების შემდეგ.

ასე და ამრიგად, **აშშ-სა და ირანს შორის გადაულახავ ზღუდედ ისრაელი აღიმართა.** ისიც უნდა ითქვას, რომ ისრაელის ასეთი მკვეთრი განწყობა ირანის მიმართ დაუსაბუთებელი არ არის და ამის მიზეზი ირანის საგარეო პოლიტიკაშია საძებნი. ისრაელისთვის „ჰეზბოლა“ უფრო საშიშ ძალად განიხილება, ვიდრე უფრო შორს მყოფი „ისლამური სახელმწიფო“ და სხვა დაქსაქსული ტერორისტული ჯგუფები, მაგრამ იერუსალიმში ამას წინათ მოწყობილმა ტერაქტმა, როდესაც სატვირთო მანქანამ სამხედრო კურსანტებს გადაუარა, ისრაელის პოლიტიკური ისტებლიშმენტიც უნდა დააფიქროს. ოფიციალურმა იერუსალიმმა დაუყოვნებლივ აღიარა, რომ ტერორისტული აქტი „ისლამური სახელმწიფოს“ მომხრის მოწყობილია.

ტრამპის საგარეო კურსის ამ წინააღმდეგობრიობით ყველაზე დიდი სარგებლის ნახვა მაინც რუსეთს შეუძლია, მით უმეტეს, თუ ზემოთ თქმულს დაემატება ვაშინგტონის კონფრონტაცია პეკინთან. ტრამპმა ჩინეთის პოლიტიკა არაერთხელ გააკრიტიკა და განაცხადა, რომ ჩინეთის მცდელობები, მიითვისოს სადავო აკვატორიები, უპასუხოდ არ დარჩება. რუსეთს შეუძლია, ამერიკულ-ირანული და ამერიკულ-ჩინური კონფრონტაციისგან დისტანცირება, განზე გადგომა და დაპირისპირებული მხარეების ძალების დაბალანსება. გეოპოლიტიკაში ეს ისტორიულად ნაცადი, მეტად მომგებიანი ხერხია. **ამერიკა ყველა ფრონტზე კონფრონტაციით წარმატებას ნამდვილად ველარ მიაღწევს: ტერორიზმი, ჩინეთი, ირანი, რუსეთი — ყველაფერი ეს ერთად ამერიკისთვის დაუძლეველი წინააღმდეგობაა იმ შემთხვევაშიც კი, თუ ვაშინგტონი ისევ შეეცდება ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გამოყენებას და დაიახლოვებს ევროკავშირის ბიუროკრატიას. მსოფლიო უკვე შეიცვალა, იგი აღარ იქნება პოლიტიკურად ერთპოლუსიანი.**

**P.S.** სტატია უკვე დაწერილი მქონდა, როდესაც „ფოქს ნიუსმა“ თავის ეთერში აჩვენა კიდევ ერთი ნაწყვეტი ტრამპის ინტერვიუდან. აშშ-ის პრეზიდენტმა ირანს „ნომერი პირველი ტერორისტული სახელმწიფო“ უწოდა. ეს მაშინ, როდესაც მსოფლიოში ვაჰაბიზმის მთავარ სპონსორად ამერიკის მოკავშირე საუდის არაბეთია აღიარებული. ტრამპის ეს განცხადება კიდევ უფრო განამტკიცებს აზრს, რომ მას მართლაც „არ აქვს წარმოდგენა“, როგორ აპირებს დასახული სტრატეგიის განხორციელებას.

**გულბაათ რცხილაძე**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ვიზების ლიბერალიზაცია ქვეყანას სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემას ვერ მოუგვარებს. ჩვენ ასოცირების ხელშეკრულებასაც მოვაწერეთ ხელი და არც მასში იგულისხმებოდა უცხოეთში ბიზნესის კეთების უფლება, არც ვიზების ლიბერალიზაცია გვაძლევს ამის საშუალებას. რეალურად არაფერი შეიცვლება, რადგან, ვისაც შეეძლო საზღვარგარეთ წასვლა, ისევ ისინი წავლენ — მოსახლეობის 5-10%.



## გიორგი მდივანი:

# ნატოში შესვლა-არშესვლის საკითხზე რეფერენდუმი აუცილებლად უნდა ჩატარდეს

**ევროკომისიის მიერ 2 თებერვალს საქართველოსთვის ე.წ. ვიზალიბერალიზაციის მიცემას ქვეყნის პრემიერმინისტრმა „ისტორიული დღე“ უწოდა და სახელდახელოდ შექმნილმა რეკლამებმაც ქვეყანა „ბედნიერების მორევში“ გადაისროლა. ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოს მაქალაქეების გამარტივებული წესით გადაადგილებაზე საუბარი ჯერ კიდევ 2015 წელს დაიწყო. ევროკომისარ იოჰანეს ჰანის განცხადებით, საქართველომ და უკრაინამ ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ევროპაში უვიზო მიმოსვლა ჰქონდეთ. 2016 წლის დასაწყისში პარლამენტის საგარეო კომიტეტის იმჟამინდელი თავმჯდომარე თედო ჯაფარიძე ამბობდა, რომ ვიზების ლიბერალიზაციის საკითხი თითქმის გადაწყვეტილია და ეს გაზაფხულზე მოხდება. თუმცა გაზაფხულზე, ხელისუფლების გასაკვირად, უვიზო მიმოსვლის ნება არ დაგვრთეს და საკითხის განხილვა შემოდგომისთვის გადაიტანეს, შემდეგ — კვლავ გაზაფხულისთვის. მერე უკვე საპარლამენტო არჩევნების შედეგებს დაელოდნენ და, კიდევ რამდენიმე „ცრუ მოძრაობის“ შემდეგ, როგორც იქნა, საკითხი დადებითად გადაწყდა. მიუხედავად იმისა, რომ 2 თებერვალს „ისტორიული დღე“ უწოდეს, სრულ „გამარჯვებამდე“ კიდევ დარჩა გასავლელი რამდენიმე ეტაპი. რას მოუტანს შენგენის ქვეყნების საზღვრების გახსნა საქართველოს — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ახალგაზრდა პოლიტოლოგი, მემარცხენე აქტივისტი გიორგი მდივანი გვესაუბრება.**

**— დიდი ხნის ლოდინის შემდეგ, როგორც იქნა, გვირაბის ბოლოს „სინათლე“ გამოჩნდა და ქართველები ე.წ. ვიზალიბერალიზაციით დაგვაჯილდოვეს. საინტერესოა ახალგაზრდა კაცის მოსაზრება ამ ფაქტზე...**

— ფაქტი, შესაძლოა, ცუდი არც არის, მაგრამ ჩემი აღშფოთება ხელისუფლების საქციელმა გამოიწვია. მათ შექმნეს ფუჭი მოლოდინი — გამუდმებით გვეუბნებიან, რომ ვიზების ლიბერალიზაცია არის ქვეყნისთვის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური წარმატება. ეს მცდარი მოსაზრებაა. ცნობილი ამერიკელი ფილოსოფოსი და მოაზროვნე **ნოამ ჩომსკი** წერდა, როგორ ეწევიან საზოგადოების აზრის მანიპულაციას, ანუ როგორ იყენებს ხელისუფლება ტელევიზიის გავლენას. არსებობს ორი გავრცელებული ხერხი: ერთი ხელოვნური პრობლემის შექმნაა; მაგალითად, ისეთის, როგორიც სააკაშვილმა არა ერთხელ გააკეთა. გავიხსენოთ განმუხური — ვითომ რუსების გაყრა და ავტობუსის აფეთქება. ის სასაზღვრო ზოლთან გამუდმებით რაღაცას აწყობდა. არსებობს კიდევ ასეთი ხერხი — ნაკლებად მნიშვნელოვანის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნად გადაქცევა, რაც იყო ვიზალიბერალიზაციის მიღება.

ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობა თანდათან უარესდება და ეს დღეს არ დაწყებულა. იზრდება ეკონომიკური უთანასწორობა, საქართველო განიცდის სავაჭრო დეფიციტს, სასაქონლო უსაფრთხოება კატასტროფამდე მივიდა. ლარის გაუფასურება მოსახლეობის ჯიბეს ურტყამს.

ახლახან ჩატარებული კვლევების შედეგების მიხედვით, ყოველი მესამე ოჯახი, ფაქტობრივად, მშიერია, ყოველი მეხუთე ბავშვი შიმშილით იღუპება. **ჯინის კოეფიციენტის** (1912 წელს შემოიღო იტალიელმა სტატისტიკოსმა კორადო ჯინიმ. ეს ინდექსი ზომავს უთანაბრობას მონაცემთა განაწილებაში. ჯინის ინდექსი ყველაზე მეტად ცნობილია, როგორც შემოსავლებისა და კეთილდღეობის უთანაბრობის საზომი. ქვეყნებს შორის ამ ინდექსის მიხედვით ყველაზე ნაკლები უთანაბრობა შვედეთშია (0.23), ხოლო ყველაზე მეტი — ნამიბიაში (0.7) — ე. ნ.) მიხედვით, ლიდერები ვართ, არა მხოლოდ კავკასიაში, არამედ სრულიად პოსტსაბჭოთა სივრცეში. სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ ხელისუფლებას მნიშვნელოვანი პრობლემებიდან ყურადღება უმნიშვნელო მოვლენებზე გადააქვს.

ვიზების ლიბერალიზაცია ქვეყანას სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემას ვერ მოუგვარებს. ჩვენ მანამდე ასოცირების ხელშეკრულებასაც მოვაწერეთ ხელი და არც მასში იგულისხმებოდა უცხოეთში ბიზნესის კეთების უფლება და არც ვიზების ლიბერალიზაცია გვაძლევს ამის საშუალებას. რეალურად არაფერი შეიცვლება, რადგან, ვისაც შეეძლო საზღვარგარეთ წასვლა, ისევ ისინი წავლენ — მოსახლეობის 5-10%.

უარყოფითი, რაც ვიზების ლიბერალიზაციას შეუძლია მოგვიტანოს, არის ის, რომ, ვისაც ქვეყნიდან წასვლა ისედაც შეეძლო, ის უფრო ხშირად წავა. ეს კი გამოიწვევს ლარის ბრუნვის შემცირებას — იყიდიან ევროს და დახარჯავენ უცხო ქვეყნებში. ჩვენც ხომ გვიხარია, როდესაც ტურისტები ჩვენს ქვეყანაში ფულს ხარჯავენ?

**— დადებითს ვერაფერს ხედავთ?**

— ევროსკეპტიკოსი ვარ, ამიტომ ევროინტეგრაციას არ მივიჩნევ ქვეყნისთვის წინ გადადგმულ ნაბიჯად. მაგალითად, რუმინეთსა და ბულგარეთში, მას შემდეგ, რაც ევროკავშირის წევრები გახდნენ, რეალურად არაფერი შეცვლილა. სიღარიბის ზღვარზე მყოფი ადამიანების რაოდენობა იგივე დარჩა. მოკლედ, **ევროკავშირში სიკეთეს ვერ ვხედავ, თანაც, წევრობა კარგა ხანი არც „გვემუქრება“ — მისი ბედი ისედაც ბეწვზე ჰკიდია.**

ვფიქრობ, ვიზების ლიბერალიზაცია იმიტომ მოხდა, რომ საქართველოში ევროსკეპტიკოსების რაოდენობა არ გაზრდილიყო. დიდი ხანია, საუბრობენ საქართველოს მოქალაქეებისთვის ვიზების ლიბერალიზაციაზე, რადგან ნატოში ინტეგრაცია გაიყინა. ხალხის უკმაყოფილების შეეშინდათ.

**რაოდენობას ზუსტად ვერ დავასახელებ, მაგრამ ფაქტია, რომ „ენ-დი-აის“ გაყალბებულ კვლევებშიც კი ევროსკეპტიკოსთა რაოდენობა გაზრდილია. მოლდოვასაც ანალოგიური მიზეზით მიანიჭეს გამარტივებული წესით მიმოსვლა, რათა არ გაზრდილიყო ევროსკეპტიკოსთა რაოდენობა, მაგრამ ეკონომიკურად ქვეყანაში არაფერი შეცვლილა. ასე რომ, ეს „დადებითი მოვლენა“ არ არის.**

**— უცხოეთში წასვლის მსურველთა რაოდენობა მოიმატებს. ამის გამო დემოგრაფიული პრობლემების მქონე საქართველო კიდევ უფრო ხომ არ დაიცლება?**

— იცით, ასე ვერ იტყვი, რადგან ზუსტად იმ საბუთებს ითხოვენ საბაჟოზე, რომლებსაც აქამდე ითხოვდნენ. გამკაცრდება რეგულაციებიც. ჩვენს მოქალაქეებს უცხოეთში დარჩენის საშუალება არ ექნებათ, მაგრამ, ამის მიუხედავად, წასვლა ვისაც სურს, ის, ალბათ, მაინც წავა.

**— ხელისუფლების მიერ წინასწარ მომზადებულ რეკლამებში საქართველოსთვის ვიზების ლიბერალიზაციის მინიჭებას ისტორიული გადაწყვეტილება უწოდეს, თუმცა ჯერ წინ გვაქვს გადამწყვეტი ეტაპები...**

— შესაძლოა, ვიღაცამ თქვას, სააკაშვილი უარესს იზამდაო... საუბრის დასაწყისში გითხარით, რომ წინა ხელისუფლებასა და ამ ხელისუფლებას შორის დიდი სხვაობა არ არის. ორივე ერთნაირად იქცევა — ქუჩაში გამოვიდნენ, ტორტი გაჭრეს... ერთი, რასაც ამჟამინდელი ხელისუფლება არ აკეთებს, რუსეთს პირდაპირ არ აგინებს. რაც შეეხება მანიპულაციებს, ეს ამჟამინდელ ხელისუფლებასაც კარგად გამოსდის...

«ვიზების ლიბერალიზაცია იმიტომ მოხდა, რომ საქართველოში ევროსკეპტიკოსების რაოდენობის მატება შეაჩერონ»

**— 2008 წელს ქვეყანაში ჩატარდა პლებისციტი, რომელზეც ხალხს თავისი ნება უნდა გამოეხატა — გვინდა თუ არა ნატო. საკმაოდ დიდმა პროცენტმა ნატოში ინტეგრაციას დაუჭირა მხარი. როგორ ფიქრობთ, უნდა ჩატარდეს თუ არა მსგავსი პლებისციტი ან რეფერენდუმი დღეს?**

— ხელისუფლებას მსგავსი რეფერენდუმის ჩატარება არაფერში სჭირდება. 2008 წელს ჩატარებული პლებისციტი, ისევე, როგორც საპრეზიდენტო არჩევნები, გაყალბდა, რადგან შედეგი 80%-მდე იყო...

ამას წინათ, ერთ-ერთმა ევროპარლამენტარმა თქვა, რომ ევროკავშირის იმდენი დროშა, რამდენიც საქართველოში ფრიალებს, ბრიუსელშიც კი არ არისო. მან ეს სერიოზულად თქვა და პლუსად ჩაგვითვალა, მაგრამ რეალურად ხომ დასაცინია?

რეფერენდუმი აუცილებლად უნდა ჩატარდეს, განსაკუთრებით ახლა, როდესაც კონსტიტუციას ცვლიან და ნაცები კატეგორიულად მოითხოვენ, რომ კონსტიტუციაში ჩაიწეროს ჩვენი საგარეო კურსის შესახებ, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ ამას არავინ შეგვეკითხება. ეს მეთოდი მსოფლიოშია აპრობირებული — ხალხს არაფერს ეკითხებიან. ერთადერთი გამონაკლისი იყო „ბრექსიტი“. პოლიტიკური ელიტები ცდილობენ, პროცესებში მოსახლეობის ჩარევა მაქსიმალურად შეზღუდონ. რეფერენდუმის ჩატარება ბევრ რამეს შეცვლის ნატოს მიმართ.

ჩვენ ხომ სულ სუბიექტურ, მცდარ ინფორმაციას ვისმენთ. არავინ ლაპარაკობს, რამდენი ცუდი საქმე აქვს ჩადენილი ნატოს. არადა, უამრავი ევროპული გამოცემა წერს ნატოს უარყოფით საქმიანობაზე. **რაც სერბეთში ჩაიდინეს, მხოლოდ საერთაშორისო ნორმების დარღვევა კი არა, თვით ნატოს წესდების დარღვევაც იყო. ნატოს წესდებაში შავით თეთრზე წერია, რომ ამ ალიანსს აქვს სამხედრო ძალის გამოყენების უფლება, თუ მის რომელიმე წევრ ქვეყანას საფრთხე ემუქრება. სერბეთში მსგავსი რამ არ ყოფილა, მაგრამ ნატო ამ ქვეყანას 79 დღის განმავლობაში ბომბავდა.**

საქართველოში არც ერთი ტელევიზია სიმართლეს არ ამბობს. აშშ-ის 45-ე პრეზიდენტმა **დონალდ ტრამპმა** „სი-ენ-ენი“ სიყალბის გავრცელებაში დაადანაშაულა, „ფეიკ-ნიუსი“ უწოდა. ასე რომ, ტელევიზიების „ცოდვების“ მაგალითის მოსაყვანად შორს წასვლა საჭირო არ არის.

**— ვიზების ლიბერალიზაციაზე ამდენი დროის, ფულისა და ნერვების ხარჯვას რისი გაკეთება სჯობდა?**

— სჯობდა, სწორი ეკონომიკური პოლიტიკა გაეტარებინათ: შეეზღუდათ საბანკო სექტორის ტერორისტული საქმიანობა; გაეუქმებინათ კახა ბენდუქიძისდროინდელი შეღავათები; შემოეღოთ პროგრესული საგადასახადო სისტემა, სამართლიანი სისტემა, როგორიც არის სკანდინავიის ქვეყნებში. უაზრობებზე ფულის დახარჯვას სჯობს, ხელი შეუწყონ ისეთ სფეროებს, რომლებსაც განვითარების პერსპექტივა აქვს. ახლა დონალდ ტრამპი სწორედ ამას აკეთებს. ასე განვითარდა ბევრი ქვეყანა. უნდა გაიზარდოს ტარიფი იმპორტზე და ფინანსები სახელმწიფო საწარმოების შექმნაზე დაიხარჯოს... სამწუხაროდ, ხელები შებოჭილი გვაქვს მსოფლიო ბანკისა და სავალუტო ფონდის მოთხოვნებით. გვეუბნებიან, არ შეიძლება, სახელმწიფოს წილი ჰქონდეს კომერციულ ბანკშიო, მაგრამ გერმანიის კომერციულ ბანკებში სახელმწიფო 25%-იან პაკეტს ფლობს. ბევრი რამის ჩამოთვლა შეიძლება და სჯობს, ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხებს მეტი ყურადღება მიაქციონ, ის რეგულაციები გააუქმონ, რომლებიც უარყოფითად მოქმედებს ქვეყანაზე.

**ცუდია, როდესაც შენი ქვეყნის შიგნით არსებულ პრობლემებს არ იცნობ და უცხოეთში ვიზიტებზე კოლოსალურ თანხებს ხარჯავ. საქართველოს პრეზიდენტის, ამ პოლიტიკური იმპოტენტის, მიერ დახარჯული თანხა ყოველგვარ ზღვარს სცილდება. არადა, ქვეყანაში 1 მილიონი ადამიანი სილატაკის ზღვარს მიღმაა.**

**— თუ არის იმის ალბათობა, რომ 1 მარტს, როცა საბოლოოდ უნდა გადაწყდეს ვიზების ლიბერალიზაციის საკითხი, უარი გვითხრან?**

— ევროკავშირისგან გამორიცხული არაფერია, იმ ევროკავშირისგან, რომლის ხელმძღვანელიც ხუთი წლის განმავლობაში **მარტინ შულცი** იყო. კაცი, რომელსაც უმაღლესი განათლება არ აქვს. უდიპლომო ადამიანი მართავდა ამხელა გაერთიანებას. შულცი ახალგაზრდობაში ალკოჰოლიზმითაც იყო დაავადებული. ამ ფაქტს დიდხანს მალავდნენ.

სამწუხაროდ, ასეთი ევროპელები გვაძლევენ მითითებებს და ქვეყნის განვითარების გზებს გვიგეგმავენ, მაგრამ ლიბერალური დოქტრინის დრო სუიციდით დასრულდა. ტრენდი ინგლისიდან და ამერიკიდან წამოვიდა, ამიტომ მას ველარაფერი შეაჩერებს.

«ნატოს წესდებაში შავით თეთრზე წერია, რომ ამ ალიანსს აქვს სამხედრო ძალის გამოყენების უფლება, თუ მის რომელიმე წევრ ქვეყანას საფრთხე ემუქრება. სერბეთში მსგავსი რამ არ ყოფილა, მაგრამ ნატო ამ ქვეყანას 79 დღის განმავლობაში ბომბავდა»

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

„ათ ახალგაზრდასთან ერთად წამომიყვანეს ჩემი რაიონიდან თბილისში. 1942 წლის 5 მაისი იყო. დედაქალაქშიც ყველა ტიროდა, აქაც ერთმანეთს თვალცრემლიანი ემშვიდობებოდნენ. ნავთლუღის მიმღებ პუნქტში აღმოვჩნდით, თმა გადაგვპარსეს, მატარებელში ჩაგვსვეს და წაგვიყვანეს. ვფიქრობდი, სადმე გავჩერდებით და დედას წერილს მივწერ-მეთქი, მაგრამ 38 დღე-ღამე ვიარეთ და ვლადივოსტოკში ჩავედით. საბოლოოდ, კუნძულ სახალინზე ისე აღმოვჩნდი, რომ დედას წერილი ვერ გავუგზავნე“.

მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ტარას იჩქიტიძე:**

# როგორც სნაიპერმა, სტალინგრადში 18 გერმანელი გავანადგურე, სულ კი დიდი სამამულო ომის პერიოდში — 59 ფაშისტი

**1943 წლის 2 თებერვალს საბჭოთა მეომრებმა სტალინგრადის მისადგომები ფაშისტი დამპყრობლებისგან გაათავისუფლეს. მას შედეგ 74 წელიწადი გავიდა.**

სტალინგრადის ბრძოლა ერთ-ერთი მთავარი მოვლენაა მეორე მსოფლიო ომში. გერმანიის მთავარსარდლობას სურდა, დაეპყრო ქალაქი სტალინგრადი და მდინარე ვოლგის მარცხენა სანაპირო, რომელზეც გადიოდა მთავარი სატრანსპორტო გზა საბჭოთა კავშირის ევროპულ და აზიურ ნაწილებს შორის. 1941 წლის დეკემბერში იმის გამო, რომ არმია მზად არ იყო ზამთარში საომრად, გერმანელთა შეტევა მოსკოვზე შეჩერდა და საბჭოთა ჯარების კონტრშეტევის შედეგად უკანაც დაიხიეს.

სტალინგრადი იყო მთავარი ინდუსტრიული ქალაქი ვოლგის სანაპიროზე, აქ გადიოდა მნიშვნელოვანი მაგისტრალი, რომელიც აერთებდა კასპიის ზღვას ჩრდილოეთ რუსეთთან. ქალაქის დაპყრობით ჰიტლერი უზრუნველყოფდა მარცხენა ფლანგის უსაფრთხოებას ჯარისთვის, რომელიც კავკასიას უტევდა.

გარდა ამ სტრატეგიული მნიშვნელობისა, სტალინგრადის დაპყრობა ჰიტლერს იმიტომაც სურდა, რომ ქალაქს სტალინის სახელი ერქვა.

1942 წლის 17 ივლისს ქალაქზე დაიწყო გერმანელთა შეტევა **გენერალ ფონ ვაიხსის** მეთაურობით. ამ შეტევაში გერმანელთა მხრიდან მონაწილეობდა 250 ათასი მებრძოლი, ხოლო სტალინგრადის დაცვას ხელმძღვანელობდა გენერალი **ვასილ გორდოვი** 187 ათასი კაცით. გერმანელებს ეხმარებოდნენ იტალიის, უნგრეთისა და რუმინეთის სამხედრო შენაერთები. სტალინგრადს აღმოსავლეთიდან იცავდა ვოლგა, მეორე მხარეს კი თავმოყრილი იყო დამატებითი ძალები ქალაქის დასაცავად, რომელსაც მეთაურობდა **ვასილ ჩუიკოვი**.

ქალაქის მოსახლეობა, მათ შორის, ქალები და ბავშვები, მუშაობდნენ თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობაზე. 28 ივლისს სტალინმა გამოსცა ბრძანებულება, რომლის მიხედვითაც ყველას, ვინც უკან დაიხევდა და ფრონტს მიატოვებდა, დახვრეტდნენ. 23 აგვისტოს გერმანელებმა დაბომბეს ქალაქი და ათასობით მშვიდობიანი მოქალაქე იმსხვერპლეს. პირველი დარტყმა მიიღო 1077-ე საზენიტო პოლკმა, რომელიც, ძირითადად, ბრძოლებში გამოუცდელი ახალგაზრდა მოხალისე ქალებით იყო დაკომპლექტებული. მიუხედავად ამისა, ისინი ბოლომდე ებრძოდნენ გერმანელთა მე-16 სატანკო დივიზიას, მანამ, სანამ პოლკის 37-ე ბატარეა არ განადგურდა. ქალაქის მოსახლეობისა და მუშებისგან შეიქმნა მოხალისეთა ბატალიონები. სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანა გადაკეთდა და დაიწყო ტანკების წარმოება. საბრძოლო ტექნიკა ქარხნიდან პირდაპირ ფრონტზე მიდიოდა, ისე, რომ ზოგჯერ შეღებვასა და სამიზნე მოწყობილობის დაყენებასაც ვერ ასწრებდნენ.

1942 წლის 13 სექტემბერს გერმანელებმა დაიწყეს სტალინგრადის შტურმი. თუ ადრე საბჭოთა ჯარები ქალაქის შემოგარენში იბრძოდნენ, ახლა უკვე ქუჩებში გაჩაღდა ბრძოლები, იბრძოდნენ ყველა შენობისა და სართულისთვისაც კი. ქალაქის რკინიგზის ცენტრალური სადგური ცამეტჯერ გადავიდა ხელიდან ხელში. სექტემბრის ბოლოს გერმანიამ შეტევაში ჩართო მე-6 არმიისა და მე-4 სატანკო არმიის ძალები, მაგრამ დასახულ მიზანს ვერ მიაღწია — სტალინგრადი ვერ დაიპყრო. ამასთანავე, გერმანელთა შეტევა შეჩერებულ იქნა კავკასიის მისადგომებთანაც...





## 2 თებერვალი სტალინგრადის გათავისუფლების დღეა. მას შემდეგ 74 წელიწადი გავიდა

**გვესაუბრება ამ სასტიკი ბრძოლის მონაწილე, სერჟანტი ტარას იჩქიტიძე. ბატონი ტარასი, დიდი სამამულო ომის ვეტერანი, რომელიც საქართველოში არანაირი შეღავათით არ სარგებლობს და ჩვეულებრივ პენსიას იღებს, პრეზიდენტმა ორი წლის წინათ ღირსების ორდენით დააჯილდოვა, მაგრამ ამით მის ცხოვრებაში არაფერი შეცვლილა. უფრო მეტიც, გასული წლის დეკემბერში გაურკვეველი მიზეზით მოუხსნეს სოციალურად დაუცველის სტატუსი.**

— 2 თებერვალი სტალინგრადის გათავისუფლების დღეა. მას შემდეგ 74 წელიწადი გავიდა. როცა ასეთი დღეები ახლოვდება, სევდა მიპყრობს, ვნერვიულობ, ღამეები არ მძინავს, ყველა კადრი თვალწინ მიდგას. სამამულო ომში მოხალისედ წავედი. მრავალშვილიან ოჯახში დავიბადე. ჩემი ორი უფროსი ძმა უკვე ფრონტზე იყო და მეც მინდოდა, მებრძოლა. სკოლა დამთავრებული არ მქონდა, ომში წასვლის გადაწყვეტილება რომ მივიღე. გადაწყვეტილებას რომ აღარ შევცვლიდი, სტალინის სიტყვის მოსმენის შემდეგ მივხვდი. **რადიოთი ბელადის სიტყვა მოვისმინე. ის სამშობლოს დასაცავად უხმობდა ყველას, ვისაც ბრძოლა შეეძლო, ხოლო მათ, ვისაც არ შეეძლო, მოუწოდებდა, ჯარისკაცების საკვებსა და თბილ ტანსაცმელზე ეზრუნათ...**

შინიდან ორჯერ გავიპარე. პირველ ჯერზე, ჩემი წლოვანება რომ შეიტყვეს, უკან დამაბრუნეს, მაგრამ შემდეგ ცდაზე წამიყვანეს. ახლაც თვალწინ მიდგას ის ამბავი, რაც გაწვევის ადგილზე ხდებოდა — ტიროდნენ, ეთმანეთს ეხვეოდნენ, საყვარელ ადამიანებს ემშვიდობებოდნენ... ზოგს — სამუდამოდ...

ათ ახალგაზრდასთან ერთად წამომიყვანეს ჩემი რაიონიდან თბილისში. 1942 წლის 5 მაისი იყო. დედაქალაქშიც ყველა ტიროდა, აქაც ერთმანეთს თვალცრემლიანი ემშვიდობებოდნენ. ნავთლუღის მიმღებ პუნქტში აღმოვჩნდით, თმა გადაგვპარსეს, მატარებელში ჩაგვსვეს და წაგვიყვანეს. ვფიქრობდი, სადმე გავჩერდებით და დედას წერილს მივწერ-მეთქი, მაგრამ 38 დღე-ღამე ვიარეთ და ვლადივოსტოკში ჩავედით. საბოლოოდ, კუნძულ სახალინზე ისე აღმოვჩნდი, რომ დედას წერილი ვერ გავუგზავნე.

სახალინზე ფიცი დავდეთ და მესაზღვრეების ნაწილში ჩავირიცხე. მძიმე დღეები დამიდგა. ყოველღამე, სულ ცოტა, ორჯერ მაინც განგაში ცხადდებოდა, ბევრს გვარბენინებდნენ. ცოტა ხანში მივიღეთ განკარგულება, რომ ფრონტზე უნდა წავსულიყავით. ორი თვის შემდეგ მოვხვდი კუიბიშევში, სადაც ჩვენი ნაწილი დააკომლექტეს და 62-ე არმიას შეუერთეს. დივიზია 45-ე იყო. გამოგვიცხადეს, რომ სტალინგრადში უნდა ჩავსულიყავით.

მივადექით სტალინგრადს. საშინელი სიცივე იყო, ვოლგა გაყინული დაგვხვდა, მაგრამ კატერით როგორღაც უნდა გადავსულიყავით. წინ საშინელი სურათი მოჩანდა — ცეცხლის ალში იყო გახვეული მთელი ქალაქი.

კატერით ორასი მეტრი ძლივს გავცურეთ და უცებ ძრავა გაუფუჭდა, კატერი ყინულს ვეღარ ამტვრევდა. ოთხი საათის განმავლობაში მივცურავდით. ნაპირს რომ მივუახლოვდით, დაიძახეს, — გადახტითო და ყველანი გადმოვხტით, მაგრამ ვოლგიდან ბევრი ვერ ამოვიდა... შევედით ცეცხლმოდებულ სტალინგრადში. ქალაქის ქუჩებში დაღუპულთა გვამები ეყარა, მათ შორის, უამრავი ბავშვისა და ქალის, დაბომბვისგან საშინელი მტვერი იდგა. იმ ღამეს არ მიძინია... დილით ჩვენთან მოვიდნენ და ბატალიონი ჩამოაყალიბეს. მეთაურად ლეიტენანტი **შარიკოვი** დაგვინიშნეს.

ბავშვობაში შურდულიდან კარგად ვისროდი, ამიტომ, როცა იარაღს გვირიგებდნენ, ვთქვი, კარგი სნაიპერი ვარ, ამ საქმეში გამოვდგები-მეთქი. კარაბინი მომცეს. სნაიპერის მოვალეობა ნეიტრალურ ზონაში ბრძოლაა. სტალინგრადში ქარხანა იყო, „წითელი ოქტომბერი“. სწორედ ამ ქარხნის ტერიტორიაზე ვიბრძოდი წინა ხაზზე ორ თვის განმავლობაში. 1943 წლის 14 იანვარს დამჭრეს.

**გერმანელები და ჩვენ ერთმანეთთან ძალიან ახლოს ვიყავით. მათი სანგრებიდან ამოსული კვამლი ჩანდა, ხმა გვესმოდა, მაგრამ ერთმანეთს ვერ ვხედავდით, რადგან ყველაფერი ცეცხლის ალში იყო გახვეული. როცა გერმანელმა მესროლა, მივხვდი, რომ დამჭრა, მაგრამ სროლა მოვასწარი. დიდხანს ვიყავი მიწაზე გართხმული, მეგონა, კიდევ მესროდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მოვკალი.**

საველე პირობებში გაშლილ ლაზარეთში შევედი, ჭრილობა დამიმუშავეს, აუცილებელი აღმოჩნდა ჩემი ჰოსპიტალში გადაყვანა. ჩემზე უმცროსი გოგო იყო ერთი, რომელმაც, როგორც კი მოსაღამოვდა, ციგაზე დამაკრა და წამიყვანა. გზა არ იყო, ვოლგის ნაპირზე მოვდიოდით. თითქმის მთელი ღამე მატარა, 8 კილომეტრი გამოვიარეთ და ბორანთან მიმიყვანა.

**მხოლოდ ჰოსპიტლიდან მოვახერხე დედისთვის სამკუთხა წერილის გაგზავნა. დედას ჩემი წერილი რომ წაუკითხავს, გონება დაუკარგავს და რამდენიმე დღის შემდეგ დაღუპულა კიდეც ახალგაზრდა ქალი. რვა თვის განმავლობაში ჩემზე არაფერი იცოდა...**

მალე გამოვჯანმრთელდი და ფრონტს დავუბრუნდი. ვიბრძოდი ბელორუსიაში, დიდი ბრძოლები გადამხდა დნეპროპეტროვსკში, ზაპოროჟიეში, ნიკოლაევში, ოდესაში... იქაც დამჭრეს, მერე — პოლონეთშიც. პოლონეთი და გერმანია ფეხით მაქვს მოვლილი.

ფრონტიდან სამივე ძმა დავბრუნდით.

**როგორც სნაიპერმა, სტალინგრადში 18 გერმანელი გავანადგურე, სულ კი დიდი სამამულო ომის პერიოდში — 59 ფაშისტი. ორჯერ დაწერეს გაზეთში ჩემზე.**

მას შემდეგ ბევრი კარგი რამ მოხდა ჩემს ცხოვრებაში და ბევრიც — ცუდი, მაგრამ დიდი სამამულო ომის დღეები ვერაფერმა დამავიწყა.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

მსოფლიო

## ტრამპი: სერბი ხალხის დაბომბვა დიდი შეცდომა იყო. კლინტონების აზრით, ეს წარმატება იყო, ჩემთვის კი სამარცხვინოა!

**აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა გააკრიტიკა ბილ კლინტონი სერბეთში განხორციელებული იერიშების გამო. ტრამპს მიაჩნია, რომ ეს სერბების წინაშე ჩადენილი დიდი დანაშაულია, რადგან სერბები ორივე მსოფლიო ომში ამერიკის მოკავშირეები იყვნენ.**

„სერბი ხალხის დაბომბვა ძალიან დიდი შეცდომა იყო. კლინტონების აზრით, ეს წარმატება იყო, ჩემთვის კი ეს სამარცხვინოა!“ — განაცხადა ტრამპმა. რატომ ებრძვის მთელი დასავლური კორპორაციული ჯიბის მედია ტრამპს? ალბათ, იმიტომ, რომ ის ბევრ საკითხზე მწარე სიმართლეს ამბობს.

„კლინტონებმა მოაწყვეს არეულობები ბალკანეთსა და კოსოვოში. შეხედეთ, რა დავმართეთ სერბებს ჩვენი დაბომბვით. ესენი სწორედ ის სერბები არიან, რომლებიც ჩვენ გვერდით იბრძოდნენ მსოფლიო ომებში. მე ბოდიშს ვიხდი თითოეული სერბის წინაშე ამერიკელი პოლიტიკოსების არასწორი ქმედებების გამო, პირველ რიგში, კლინტონის გამო. ჩვენ „ისლამურ სახელმწიფოსთან“ საბრძოლველად მოკავშირეები გვჭირდება, რომლებსაც აქვთ გამოცდილება მსგავს ბოროტებასთან ბრძოლაში. მე რომ არ გავმხდარიყავი პრეზიდენტი, კაცმა არ იცის, რა მოხდებოდა დღეს, არაფერი შეიცვლებოდა საგარეო პოლიტიკაში“, — განაცხადა ტრამპმა.

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ნაწილი ტორტისა, რომელიც საქართველოს პარლამენტში ვიზალიბერალიზაციის მომდევნო ეტაპის წარმატებით დასრულების გამო გაჭრეს, აი, იმ გაყინული დედა-შვილისთვის რომ გაემეტებინათ, ეგებ არც კი გაყინულიყვნენ. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, იმ თანხით, რომელიც სულელური ტორტის გამოსაცხობად დაიხარჯა, რამდენიმე უსახსრო ოჯახს გადაუხდიდნენ ელექტროენერგიის საფასურს.**

# რუსული პროპაგანდის საოცარი შედეგები




## ანუ «ორწისქვილიანობა» საქართველოში

**ყურადღება! ვიწყებ რუსული პროპაგანდის მორიგი ნიმუშის წერას. აბა, მოემზადეთ, თამარებო — კინწურაშვილებო და ჩერგოლეიშვილებო და მისთანანო, მორიგი „კვლევის“ ჩასატარებლად. სანამ უვიზოდ გახვალთ 90 დღით ევროპაში და უკან ჩამოხვალთ, იმისათვის, რომ ისევ გახვიდეთ, მანამდე სხვა რა საქმე გაქვთ?! სისულელეების ბოდვაში იღებთ ათასობით ლარს, საცოდავი ადამიანები კი სიცივეში კვდებიან.**



**აბა, წარმოიდგინეთ: მე, თავზეხელაღებული ბაკურ სვანიძე, ჩემთვის ვაბარტყუნებ კლავიატურაზე და მთელი ჩემი ხარჯი ელექტროენერგიის გადასახადი და ერთი ჭიქა ყავაა და ამ დროს თურმე პროპაგანდაში ვუგებ, ვჩაგრავ და ბეჭებზე ვდებ მილიარდებით დაფინანსებულ 8 ტელევიზიას! განა არ არის საამაყო?**



აჰ, არ ვამბობ მართალს? — ჰო, რა თქმა უნდა, აკი თავიდანვე გითხარით, რუსულ პროპაგანდას ვიწყებ-მეთქი. არც ის დედა-შვილი გარდაცვლილა სიცივისგან, უბრალოდ, შარზე ვართ, რა. ჰო, შარზე ვართ ისინი, ვინც მუდამ კრემლისა და ნაცების წისქვილზე ვასხამთ წყალს.

ნუ გაგიკვირდებათ და იკითხავთ, რა საერთოა კრემლის პროპაგანდასა და სიცივით გარდაცვლილ დედა-შვილს შორისო. **თუ გავაანალიზებთ იმ ადამიანების მოსაზრებებს, რომლებსაც ქართული ტელევიზიები ლამის ყოველდღე ალაპარაკებენ სხვადასხვა ტოკშოუებში, გამოდის, რომ დღეს საქართველოში ორი წისქვილი მუშაობს: ერთი „კრემლის წისქვილია“, ხოლო მეორე — „ნაცების წისქვილი“.**

ჩვენ კი, ადამიანები, რომლებიც ვცდილობთ, საზოგადოებას სიმართლე მივაწოდოთ, ვართ ის „ცუდი ბიძიები“, რომლებიც ამ ორივე წისქვილზე ვასხამთ და ვასხამთ წყალს. ოღონდ გაჩნია, ჩვენი კონკრეტული სიმართლე იმ კონკრეტულ დროსა და მომენტში რომელს არ მოსწონს — ყოფილ მიშისტურ და ამერიკისგან მოსყიდულ „ელიტას“ თუ ნაცების კვალდაკვალ წარმოქმნილი ახალი ფენომენის — „ქოცგამპრავებლების“ ელიტას.

„ქოცგამპრავებლებმა“ უკვე რეკორდიც დაამყარეს „გაპრავებაში“ და გაუსწრეს კიდეც „ნაცგაპრავების“ დედოფალ **ქეთა გაბიანს.** გემახსოვრებათ: რამდენიმე წლის წინათ, როდესაც ერთ-ერთმა დევნილმა ქალბატონმა თავზე ბენზინი გადაისხა და ცეცხლი წაიკიდა, ქეთა გაბიანმა ტელეეთერში „ბრძნული“ შეკითხვა დასვა: **თუკი ასე უჭირდა და საკვების ყიდვა არ შეეძლო ამ დევნილს, ბენზინის ფული საიდან ჰქონდა?**

აი, სწორედ ამ „ფილოსოფიურ სუბსტანციას“ აჯობეს და გადააჭარბეს ახლა „ქოცგამპრავებლებმა“ თავიანთი ცინიკური განცხადებით: ბათუმში არ ყოფილა მომაკვდინებელი ყინვები საიმისოდ, რომ ვინმე ოთახში გაყინვით მომკვდარიყო და ისედაც, კაი, ჯანდაბას, გათბობა არ ჰქონდათ, „ადიალა“ მაინც არ ჰქონდათ, მასში გახვეულიყვნენ, ხომ აღარ გაიყინებოდნენო?!

მოგეხსენებათ, გარდაცვლილი დედა-შვილის ბინაში ელექტროენერგია იყო გათიშული, რაც „ენერგო-პრო ჯორჯიამ“ ოფიციალურად დაადასტურა. თუმცა „ქოცგამპრავებელთა“ ლოგიკა აქაც რკინისაა — „90-იან წლებში მთელი 10 წელი უდენოდ არ ვიყავით? რატომ არ გავიყინეთ?“

მგონია, რომ **ცოტა ტვინი სჭირდება იმის მიხვედრას, რაც ხდებოდა გასული საუკუნის 90-იანებში. ამ წლებში, უბრალოდ, ადამიანების სიცოცხლე გაუფასურებული იყო და არც არავინ აწარმოებდა სტატისტიკას, ვინ, სად, როგორ და რა ვითარებაში გარდაიცვალა გაყინვით, შიმშილითა და უექიმობით. არც სოციალური ქსელები არსებობდა და ინფორმაცია ვინმეს გაყინვისა და გარდაცვალების შესახებ ასე სახალხოდ, უბრალოდ, არ ვრცელდებოდა. თორემ ყველამ ძალიან კარგად ვიცით, რომ ჩვენს სამეზობლოში, სანათესაოსა და არაერთის ოჯახშიც კი ნამდვილად გარდაგვცვლია ზოგჯერ ერთბაშად სამ და ოთხ „ადიალაში“ და პლედში გახვეული ახლობელი. ის ფაქტი, რომ გავუძელით იმ საშინელ წლებს, სულაც არ ნიშნავს, რომ არავინ გაყინულა.**

ხოლო იმის მიხვედრას, რომ პლედის შემოხვევამ ადამიანი გაყინვისგან შეიძლება მხოლოდ რამდენიმე საათს იხსნას და იმ შემთხვევაში, როდესაც გათბობა მთელი კვირის განმავლობაში, 24 საათი გამორთულია, ადამიანს 100 პლედიც ვერ უშველის, ელემენტარული რამ სჭირდება — აზროვნება. რაც შეეხება „არამომაკვდინებელ“ ყინვას, ეს კიდევ ერთი „ნოუ ჰაუ“ ბიძინისტებისა. რა თქმა უნდა, მათთვის არაფრის ახსნას არ აქვს აზრი, ზუსტად ისევე, როგორც მიშისტებთან ლაპარაკს, მაგრამ მაინც შევახსენებ ჩვენს მკითხველს, რომ გამუდმებული სიცივე ადამიანის ორგანიზმში უამრავ ფატალურ ცვლილებას იწვევს.

ანუ „მომაკვდინებელი“ ყინვა შეიძლება ეწოდოს იმას, როდესაც ადამიანი გავა ყინვაში და 10 წუთში ჰიპოთერმიით (ორგანიზმის გადაცივება) გარდაიცვლება. ეს საქართველოში თითქმის რომ არ ხდება და არც ბათუმი რომ არ არის ციმბირი, ჩვენც ვიცით, მაგრამ იქნებ გვიპასუხონ „ქოცგამპრავებლებმა“: როდესაც მთელი კვირის განმავლობაში, 24 საათი, მოხუცი და ავადმყოფი ადამიანები სიცივეში არიან დაყრილნი, შეიძლება თუ არა მათ დაემართოთ სისხლძარღვების შევიწროება, ფილტვების ანთება, თირკმლების უკმარისობა გართულებული ფორმებით?

აჰ, ამ დაავადებებს „პლედი შველის“? აბა! ტყუილად გამოუგონია ადამიანს პენიცილინი და ოთახის გამათბობელი სხვადასხვა საშუალება, არა?

როგორ ფიქრობთ, ახლა ბევრი წყალი დავასხი „ნაცების წისქვილზე“? საკმარისია, გავჩერდე და უკვე „კრემლის წისქვილზე“ გადავიდე? — კი, ბატონო, უმარტივესად მოვახერხებ ამას.

**ნაწილი ტორტისა, რომელიც საქართველოს პარლამენტში ვიზალიბერალიზაციის მომდევნო ეტაპის წარმატებით დასრულების გამო გაჭრეს; აი, იმ გაყინული დედა-შვილისთვის რომ გაემეტებინათ, ეგებ არც კი გაყინულიყვნენ. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, იმ თანხით, რომელიც სულელური ტორტის გამოსაცხობად დაიხარჯა, რამდენიმე უსახსრო ოჯახს გადაუხდიდნენ ელექტროენერგიის საფასურს.**

ჰო, გასაგებია, რომ ვიზალიბერალიზაცია ჩვენი ქვეყნისთვის იმდენად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ რამდენიმე ოჯახის გაყინვა და სიკვდილი რა სახსენებელია.

მაგრამ ჩემში ხომ რუსული პროპაგანდა ბობოქრობს და ამიტომ უნდა განვაგრძო იმის მტკიცება, რომ **ეს ტუტუცური ზარ-ზეიმი მართლაც ამაზრზენი საყურებელი იყო. ხელისუფლებამაც და ოპოზიციამაც კიდევ ერთხელ მოატყუეს მოსახლეობა — არიქა, ვიზალიბერალიზაცია მოგვცესო, მაშინ, როდესაც ეს მხოლოდ და მხოლოდ „კიდევ ერთი“ ეტაპია იმ გზაზე, რომელსაც საბოლოო ვიზალიბერალიზაცია ეწოდება.**

**ხოლო სულ რამდენი ეტაპი უნდა იყოს გავლილი იმისათვის, რომ საბოლოოდ მოგვაშავონ ეს ვიზალიბერალიზაცია, ზუსტად არავინ გვეუბნება.** ევროპისკენ ნერწყვის ყლაპვით მომზირალ ქართველებს უკვე მერამდენედ „აპურებენ“ ასეთი ბუნდოვანი ფრაზებით: „კიდევ რამდენიმე ნაბიჯიც და“... ამას წინათ „ფეისბუქში“ იხუმრა ჩემმა ერთმა მეგობარმა, — **იმდენი ნაბიჯი გადაგვადგმევინეს ვიზალიბერალიზაციისკენ, მგონი, უკვე ფეხით ჩავედით პარიზამდეო.**

ჰო, რა თქმა უნდა, ახლა სასწრაფოდ არის ჩასატარებელი კვლევა — ეს ხუმრობა ჩემმა მეგობარმა (რომელიც, სხვათა შორის, სულაც არ არის „საბჭოეთის ბავშვი“ და მხოლოდ 19 წლისაა) თავისით მოიფიქრა, თუ აქ კრემლის ხელი ურევია? კვლევის დაფინანსება რამდენიმე ათეულ ათას დოლარს შეადგენს! კვლევის „შედეგი“ კი, რა თქმა უნდა, იქნება ის, რომ ჩემმა 19 წლის მეგობარმა ამ ხუმრობით განახორციელა დამღუპველი რუსული პროპაგანდა.

აკი, **ყველაფერი, რაც მეტ-ნაკლებად სიმართლეს შეიცავს, სტატიის დასაწყისშივე ვთქვით, რომ ან კრემლის პროპაგანდაა“, ან კიდევ „ნაცების წისქვილზე“ წყლის დასხმა.**

აგერ, **ზის ტელეეთერში საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთ-ერთი „ევროგადაცემის“ ავტორ-წამყვანი და პირდაპირ ამბობს: მე უნდობლობას ვუცხადებ საზოგადოებრივი მაუწყებლის ბორდის იმ წევრს, რომელმაც სოციალურ ქსელში დაწერა, არ მესმის ასე ძალიან რატომ უნდა მიხაროდეს ვიზალიბერალიცაზიაო. ასეთი აზროვნების ადამიანს რა უნდა ბორდის წევრად, გადადგეს სასწრაფოდო!**

გამოდის, რომ, ვინც ვიზალიბერალიზაციის საკითხს ცოტა განსხვავებული თვალით უყურებს, მას ამ ქვეყანაში საზოგადოებრივი მაუწყებლის ბორდის უბრალო წევრობის უფლებაც არ აქვს. აი, ასეთი ადამიანები გამოთქვამენ პრეტენზიას, რომ ამ ქვეყანაში დემოკრატიის ბურჯები არიან, ატარებენ „დემოკრატიულ კვლევებს“ და ჩვენ დიქტატურის პროპაგანდისტებს გვიწოდებენ.

თურმე, **თუკი ვთქვით, რომ ვიზალიბერალიზაცია დიდი ვერაფერი სასიხარულოა, მორჩა(!), აღარ გვაქვს უფლება, ვიყოთ რომელიმე თანამდებობაზე, ვიმუშაოთ, საკუთარი აზრი გამოვთქვათ, ვისუნთქოთ...**

**არა! თუკი ამ ქვეყანაში ცხოვრება და სუნთქვა გვსურს, აუცილებლად უნდა გვიხაროდეს ეს სულელური ვიზალიბერალიზაცია, რომელსაც არც კი გვაძლევენ. უნდა ვიცანცაროთ, ვიხუნტრუცოთ, ვიმაიმუნოთ და აი მაშინ ვიქნებით ჭეშმარიტი დემოკრატები.**

**არა! მაინც მძლევს რუსულ-პროპაგანდისტული სული და არ შემიძლია არ ვთქვა, რომ თუნდაც მოგვცენ ეს ვიზალიბერალიზაცია და თუნდაც ის მართლაც იყოს დადებითი მოვლენა ჩვენი ქვეყნისთვის, მაინც წარმოუდგენელი ქაჯობაა ამის გამო ასეთი ტაშ-ფანდური, ზარ-ზეიმი და ჟივილ-ხივილი.**

**ნუთუ არ შეიძლება უფრო ღირსეულად, დინჯად და ზომიერად გაგვიხარდეს რამე?! მაინცდამაინც უნდა შევხტეთ და გავიკვანძოთ?!**

აი, ხედავთ, როგორი რუსული პროპაგანდა ჩავატარე? თანაც ხედავთ, რა ბოროტი ვარ? **თამარ კინწურაშვილის** ორგანიზაციას „კვლევის“ ჩასატარებლსაც კი არაფერს ვუტოვებ და პირდაპირ ვამბობ, რომ რუსულ პროპაგანდას ვეწევი!

ვამაყობ! და, როგორც ჩანს, მაქვს კიდეც საამაყოდ საქმე, რადგან რამდენიმე დღის წინათ, როდესაც „რუსთავი 2“-მა კვლავ მიუძღვნა გადაცემა „რუსულ პროპაგანდას“, იქ ისეთი რამ მოვისმინე, ჩემს თავზე წარმოდგენა ერთი ათად გამეზარდა.

კერძოდ, აი ეს: **„კი, მართალია, რომ ამბობენ, ძირითადი ტელევიზიები საქართველოში ევრო-ატლანტიკურ მიმართლებას უჭერენ მხარს, მაგრამ განა არ არიან ანგარიშგასაწევი ის ცალკეული პიროვნებები, რომლებიც თუნდაც სოციალური ქსელებით, სოციალური მედიით რუსულ პროპაგანდას ეწევიან? რომ იცოდეთ, მათ უფრო მეტი გავლენა აქვთ საზოგადოებაზე, ვიდრე ამ ტელევიზიებს“, — აი ეს წამოსცდა თამარ კინწურაშვილს იმ გადაცემაში და ეს „ამივარდა თავში“ მე!**

**აბა, წარმოიდგინეთ: მე, თავზეხელაღებული ბაკურ სვანიძე, ჩემთვის ვაბარტყუნებ კლავიატურაზე და მთელი ჩემი ხარჯი ელექტროენერგიის გადასახადი და ერთი ჭიქა ყავაა და ამ დროს თურმე პროპაგანდაში ვუგებ, ვჩაგრავ და ბეჭებზე ვდებ მილიარდებით დაფინანსებულ 8 ტელევიზიას!**

განა არ არის საამაყო?



**„ნეიროქირურგების ამოცანა, რომელსაც XXI საუკუნეში ვუყენებთ საკუთარ თავს, არის პაციენტისთვის არა მხოლოდ სიცოცხლის გახანგრძლივება, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ცხოვრების ნორმალური ხარისხის შენარჩუნება“.**

მედიცინა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# პირველად საქართველოში და, საერთოდ, კავკასიაში

**პირველად საქართველოში — ასეთი განსაზღვრა აკადემიკოს ფრიდონ თოდუას კლინიკის საქმიანობასთან დაკავშირებით არც პირველია, არც უკანასკნელი. სიახლეთა დანერგვა ამ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში უახლესი სამედიცინო აპარატურის, ტექნოლოგიების, მკურნალობის ახალი მეთოდების პრაქტიკაში გამოყენების თვალსაზრისით კლინიკის მთავარი მახასიათებელია.**
**მორიგი სიახლე, რომელსაც დღეს გაგაცნობთ, მაინც განსაკუთრებულია, რადგან ადამიანის უფაქიზეს და უმნიშვნელოვანეს ორგანოს — თავის ტვინს ეხება: საქართველოში და, საერთოდ, კავკასიაში პირველად წარმატებით ჩატარდა ნეიროქირურგიული ოპერაცია თავის ტვინის ავთვისებიან სიმსივნეზე უახლესი ტექნოლოგიის ე.წ. ინტრაოპერაციული ფლუორესცენციის გამოყენებით.**
**გვესაუბრება აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა:**

— ონკოლოგიური მიმართულება ერთ-ერთი პრიორიტეტული გახდა ჩვენთვის და ეს, უდავოდ, გამოიწვია იმ უახლესმა სადიაგნოსტიკო და სამკურნალო აპარატურის დანერგვამ, რომელიც აუცილებელია ონკოლოგიური დაავადებების დიაგნოსტიკისა და მკურნალობისთვის. დღეს ონკოლოგია კომპლექსური, მულტიპროფილური დარგია, რომელიც აერთიანებს კლინიცისტებსა და ფუნდამენტურ მეცნიერებათა წარმომადგენლებს — ქირურგ-ონკოლოგებს, რადიოლოგებს, ქიმიოთერაპევტებს, ჰემატოლოგებს, იმუნოლოგებს, პათომორფოლოგებს, ბიოქიმიკოსებსა თუ ბირთვული მედიცინის სპეციალისტებს. **ეს არის გუნდი, რომლის ძირითადი მიზანია ონკოლოგიური კონტინგენტის სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება. არც ერთ სხვა დაწესებულებაში საქართველოში არ არის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ისეთი შესაძლებლობები, როგორიც ჩვენს ინსტიტუტშია.** ამ თემაზე „საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველებთან არაერთხელ გვისაუბრია.

ბოლო პერიოდში, სხვა ლოკალიზაციის სიმსივნეებთან ერთად, განსაკუთრებით იმატა თავის ტვინის სიმსივნეების გამოვლენის სიხშირემ. ამას, ცხადია, ხელი შეუწყო ნეიროვიზუალიზაციის საშუალებების სრულყოფამ. ყურადღება განსაკუთრებით მინდა გავამახვილო თავის ტვინის იმ აგრესიულ ავთვისებიან სიმსივნეებზე, რომლებსაც, მიუხედავად დიაგნოსტიკის მეთოდების გაუმჯობესებისა და სიზუსტისა, მაინც ახასიათებს რეციდივის მაღალი ხარისხი და ლეტალობა. ასეთებს მიეკუთვნება გლიობლასტომები, რომლებიც თავის ტვინის ყველა ტიპის სიმსივნის 20 პროცენტს, ხოლო პირველადი სიმსივნეების 50 პროცენტზე მეტს შეადგენს.

მათი მკურნალობის ძირითადი მეთოდია მიკროქირურგიული რეზექცია და ქიმიოთერაპია. **ტექნიკის წინსვლის მიუხედავად, ამ სიმსივნით დაავადებულთა მხოლოდ 2% თუ იხანგრძლივებს სიცოცხლეს 3-წლით. ეს პროგნოზი პრაქტიკულად არ შეცვლილა გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან. ამის მიზეზია სიმსივნის ინფილტრაციული ზრდა, რომლის გამოც მისი გამოყოფა ტვინის ჯანსაღი ქსოვილებიდან გართულებულია და, ამდენად, სიმსივნის სრულად ამოკვეთა — შეუძლებელი.**

ერთ-ერთი ინოვაციური ტექნოლოგია, რომელმაც ბოლო წლებში შეცვალა გლიობლასტომების ქირურგიული კონტროლის შესაძლებლობა, ე.წ. ინტრაოპერაციული ფლუორესცენციაა. ამ დროს ორგანიზმში შეყვანილი გარკვეული ნივთიერებები აკუმულირდება სიმსივნურად გადაგვარებული უჯრედების მიერ და იწვევს ფლუორესცენტულ ნათებას, რომელიც საშუალებას აძლევს ქირურგს, დაინახოს, მოძებნოს და ამოკვეთოს პათოლოგიური ქსოვილი ირგვლივ მდებარე ტვინის ქსოვილის დაზიანების გარეშე.

ჩვენი კლინიკის მედიკოსებს გვსურს, შევქმნათ ძლიერი ონკოლოგიური სამსახური, რათა არც ერთ ონკოლოგიურ პაციენტს არ მოუწიოს დიაგნოსტიკისა და მკურნალობისთვის საქართველოს საზღვრებს გარეთ გამგზავრება. ამისთვის საჭირო ყველა ინტელექტუალური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი გვაქვს.

ინტრაოპერაციული ფლუორესცენცია არის უახლესი ინოვაცია, რომელსაც შეუძლია შეცვალოს იმ პაციენტების სიცოცხლის ხარისხი და ხანგრძლივობა, რომელთა ბედიც პრაქტიკულად გადაწყვეტილი იყო დიაგნოზის დასმისთანავე.

ამ საკითხზე დაწვრილებით გესაუბრებათ ჩვენი ინსტიტუტის **ნეიროქირურგიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი დავით ბერძენიშვილი.**

**— საქართველოში პირველად თქვენ გააკეთეთ ნეიროქირურგიული ოპერაცია უახლესი ტექნოლოგიის გამოყენებით. გილოცავთ წარმატებას!**

— მადლობას მოგახსენებთ მოლოცვისთვის და, სანამ ამ ინოვაციაზე ვისაუბრებ, მოკლედ შევეხები თავის ტვინის სიმსივნეების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პრობლემატიკას.

თავის ტვინის ავთვისებიანი სიმსივნეები (განსაკუთრებით გლიური სიმსივნეები) მსოფლიოში პრობლემური საკითხია და მოიცავს კომპლექსურ მკურნალობას, რომელიც შედგება 3 ეტაპისგან. ესაა ქირურგია, ქიმიოთერაპია და სხივური თერაპია. გლიობლასტომა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ტიპის ავთვისებიანი სიმსივნეა ტვინის სიმსივნეებს შორის; არის ძალიან აგრესიული და სწრაფად მზარდი. იგი ვითარდება გლიური უჯრედებისგან — ასტროციტებისგან და ხშირად ახასიათებს ინფილტრაციული ზრდა, ისე, რომ შეუძლებელია ჯანსაღი ქსოვილების დიფერენცირება სიმსივნურად დაზიანებულისგან. ამის გამო გლიობლასტომის მკურნალობა საკმაოდ გართულებულია და ამ სირთულის დასაძლევად მთელ მსოფლიოში მიმდინარეობს კვლევითი სამუშაოები და უზარმაზარი სახსრები იხარჯება.

**დღეს ჩვენ შეგვიძლია გლიობლასტომის იდენტიფიცირება სიმსივნის განვითარების ადრეულ ეტაპებზე, რომლის საშუალებასაც იძლევა ჩვენს ინსტიტუტში კონცენტრირებული სადიაგნოსტიკო საშუალებები. ამას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან გლიობლასტომები, როგორც წესი, სწრაფად პროგრესირებს, პროგრესირებს სიმპტომებიც, რომელთა ხასიათი და ინტენსივობა სიმსივნის ადგილმდებარეობაზეა დამოკიდებული. დროულად დასმული დიაგნოზი კი წარმატებული მკურნალობის საფუძველია.**

სიმსივნის მკურნალობა სრულყოფილი დიაგნოსტიკით იწყება. ამისთვის კი ჩვენი კლინიკა სრულად არის აღჭურვილი, დანერგილია მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია, სპექტროსკოპია, რომლებიც საშუალებას გვაძლევს, ზუსტად განვსაზღვროთ სიმსივნური წარმონაქმნის საზღვრები და მთლიანად, გარშემო ჯანსაღი ქსოვილების დაუზიანებლად, ამოვკვეთოთ იგი.

ქირურგიის სირთულე არის ის, რომ ჩვეულებრივი სინათლის მიკროსკოპით სიმსივნური ქსოვილისა და ტვინის ჯანსაღი ქსოვილის ერთმანეთისგან ზუსტი დიფერენცირება, ფაქტობრივად, შეუძლებელია — მისი სრულად ამოკვეთა ვერ ხერხდება, რადგან, სიმსივნესთან ერთად იკვეთება ტვინის ჯანმრთელი ქსოვილის, რომლითაც ნევროლოგიური დეფიციტის ალბათობა იზრდება. ინტრაოპერაციული ფლუორესცენციის უპირეტესობა შემდეგია: ოპერაციამდე 4 საათით ადრე პაციენტი ღებულობს სპეციალურ პრეპარატს, რომელიც ლაგდება სიმსივნურ ქსოვილში და იწყებს მის ნათებას, სიმსივნურად შეცვლილი ქსოვილები ხილვადი ხდება. ამით იოლდება სიმსივნის დიფერენცირება ჯანმრთელი ტვინისგან მაშინაც კი, როცა სიმსივნე გავრცელებულია ჯანსაღ ქსოვილებში და ვიზუალიზაციის ყველა სხვა მეთოდით მათი ერთმანეთისგან გამორჩევა შეუძლებელია. ეს საშუალებას გვაძლევს, მაქსიმალურად რადიკალურად ამოვკვეთოთ იგი ისე, რომ არ დავაზიანოთ ტვინის ჯანმრთელი ნაწილი. შესაბამისად, ოპერაციის შემდგომი ნევროლოგიური დარღვევების ალბათობა მკვეთრად მცირდება და მკურნალობის შემდგომი საფეხური — ქიმიო და სხივური თერაპია უფრო ეფექტიანი ხდება, მცირდება რეციდივების რისკი და დაავადების გამოსავალი მნიშვნელოვნად უმჯობესდება.



**«კლინიკის მედიკოსებს გვსურს, შევქმნათ ისეთი ძლიერი ონკოლოგიური სამსახური, რომ არც ერთ ონკოლოგიურ პაციენტს არ მოუწიოს დიაგნოსტიკისა და მკურნალობისთვის საქართველოს საზღვრებს გარეთ გამგზავრება. ამისთვის საჭირო ყველა ინტელექტუალური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი გვაქვს»**



თავის ტვინზე ოპერაციის ჩატარების დროს

დღეს ინტრაოპერაციული ფლუორესცენციით შედეგები, სულ მცირე, 2-ჯერ არის გაუმჯობესებული.

ჩვენი ინსტიტუტის ქიმიოთერაპიის განყოფილება ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპაში. აქ ტარდება სხვადასხვა ლოკალიზაციისა და სტადიის სიმსივნური დაავადებების მკურნალობა, მათ შორის, თავის ტვინის სიმსივნეების, უახლესი საერთაშორისო პროტოკოლებისა და გაიდლაინების შესაბამისად. სოლიდური ავთვისებიანი სიმსივნეებისა და ლიმფომების მედიკამენტური მკურნალობა — ქიმიოთერაპია, ჰორმონოთერაპია, იმუნო და ტარგეტული, ანუ დამიზნებითი თერაპია. როგორც მონოთერაპიის სახით, ასევე სხივურ თერაპიასთან კომბინაციაში. სიმსივნის ტიპის, დაავადების სტადიისა და პაციენტის ზოგადი მდგომარეობის გათვალისწინებით მკურნალობა შეიძლება ჩატარდეს როგორც ამბულატორულად, ასევე სტაციონარის პირობებში. **მკურნალობის ტაქტიკის შერჩევა ხდება ინდივიდუალურად თითოეული პაციენტისთვის მულტიდისციპლინური მიდგომით, რომელიც გულისხმობს პაციენტის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პროცესში სხვადასხვა დარგის სპეციალისტების ერთობლივ მონაწილეობას. გვყავს პროფესიონალთა გამოცდილი გუნდი. მათ გავლილი აქვთ სტაჟირება და სწავლების კურსები საზღვარგარეთ წამყვან ევროპულ და ამერიკულ კლინიკებში.**

რადიაციული ონკოლოგიის დეპარტამენტში დამონტაჟებულ Varian-ის ფირმის უახლესი თაობის ორხაზოვან ამაჩქარებელ Truebeam-ს დაემატა ამავე ფირმის რადიოქირურგიული სისტემა EDGE და ბრაქითერაპიის აპარატი, რომლებიც სამიზნე უბნის მაღალი სიზუსტით, ჯანსაღი ქსოვილების დაუზიანებლად დასხივებისა და გამოჯანმრთელების დიდ შესაძლებლობას იძლევა. ასეთი აპარატი მსოფლიოში სულ 17-ია, აქედან 10 — ამერიკაში.

**ნეიროქირურგების ამოცანა, რომელსაც XXI საუკუნეში ვუყენებთ საკუთარ თავს, არის პაციენტისთვის არა მხოლოდ სიცოცხლის გახანგრძლივება, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ცხოვრების ნორმალური ხარისხის შენარჩუნება, რასაც ნებისმიერი ნეიროქირურგიული ჩარევისას პირველ ადგილზე ვაყენებთ. ექიმის მიზანია, სიმსივნეს ისე უმკურნალოს, რომ ორგანიზმის ფუნქციები არ დააზიანოს, რომლის რისკიც ნეიროქირურგიაში ყოველთვის არსებობს.**

**— ეს რისკი თქვენ მიერ გაკეთებული ოპერაციების დროსაც იქნებოდა უთუოდ.**

— რისკი, რა თქმა უნდა, იყო, მაგრამ ექვსივე ოპერაცია, რომლებიც დღემდე ჩავატარეთ, გართულების გარეშე დამთავრდა. სამ პაციენტს არავითარი პრობლემა არ აქვს, დანარჩენი სამის მდგომარეობა ნელ-ნელა უმჯობესდება.

**— არც იაფია.**

— ასეა. ადამიანი შეიძლება არ იყოს უმწეო თავისი სოციალური სტატუსით, მაგრამ აბსოლუტურად უმწეო აღმოჩნდეს ისეთი პრობლემის წინაშე, როგორიცაა ავთვისებიანი სიმსივნე. ონკოლოგიურ პაციენტებს, როგორც წესი, სჭირდებათ საკმაოდ ბევრი და სერიოზული გამოკვლევა და მკურნალობის პროცესში არა მხოლოდ ქირურგიული ჩარევა, არამედ დამატებით სხივური და ქიმიოთერაპიის არაერთი კურსის ჩატარება. **მას შემდეგ, რაც ამოქმედდა საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამა. სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ აღმოჩნდნენ ის ადამიანები, რომლებიც აქამდე, ფაქტობრივად, განწირულნი იყვნენ.**

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

სატირა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ევროპის ქვეყნებში არალეგალურად მყოფ ქართველ ქალებს, რომლებიც იქ მოხუცებისა და ბავშვების მომვლელად მუშაობენ, იქაურობას დაატოვებინებენ და პასპორტში ექვსწლიან აკრძალვას ჩაურტყამენ. ეს არის ერთ-ერთი ის „სიკეთე“, რომელსაც ვიზალიბერალიზაცია მოგვიტანს და, სავარაუდოდ, ზაფხულში ევროპიდან დეპორტირებული ქართველების დიდ ნაკადს მივიღებთ.**

# ფიქრები ნარიყალაზე

**ადრე თბილისის შემოგარენს რამდენიმე ციხე იცავდა, თუმცა ჩვენამდე მხოლოდ ნარიყალამ მოაღწია. საინტერესო მდებარეობა აქვს ნარიყალას — იქიდან თითქოს ხელისგულზე ჩანს ყველაფერი: აქეთ — პრეზიდენტის სასახლე, იქით — შუშის სასახლე... რიტუალების სასახლეც... დაბლა მტკვარი გაწოლილა და ახლა სწორედ ნარიყალადან დანახულ საქართველოზე გიამბობთ.**





ის თუ გახსოვთ, რესტორან „დაუნინგ რუმში“ **რატი გაჩეჩილაძემ** (გრეჩიხიჩმა) ნაპროკურორალ-ნაკაცარს ხელი რომ დაარტყა?! ხელი რა, რაღაც რომ ჩაარტყა... მაშინ ბევრმა გული მოიფხანა, — ასეც უნდა ყოფილიყოო. ისიც ითქვა, ხელისუფლება სამართლიანობის აღდგენას არ აპირებს და ხალხი თვითონ აღადგენს სამართლიანობას ქუჩაშიო. სხვა საკითხია, მაშინ რატის ერთი ადგილი რომ არ ეყო, **ნიკა გვარამიასთან** პირდაპირ მისულიყო და ისე მოეთხოვა პასუხი — ქურდულად მიეპარა და თავში რაღაც ჩაარტყა.

სამაგიეროდ, გვარამიას აღმოაჩნდა ერთი ადგილი, ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე **მამუკა მდინარაძისთვის** პირდაპირ ეთერში არაკაცი ეძახა.

**„შენ ხარ არშემდგარი ადვოკატი, არშემდგარი პოლიტიკოსი და არაკაცი“,** — ყოველგვარი შესავლის გარეშე უთხრა ეს ნიკამ ბატონ მამუკას და სანაცვლოდ მიიღო ის, რომ მდინარაძემ ოლიმპიური სიმშვიდე შეინარჩუნა.

მეორე მხრივ, სერიოზული ეჭვი მაქვს, მდინარაძემ სიმშვიდე იძულებით შეინარჩუნა, არ აჰყვა გვარამიას, რადგან შეეშინდა, „რუსთავი 2“ არ გადაჰკიდებოდა და პარალელურად, იმ აწმყოში, რომელშიც იმყოფებოდა, ანუ პირდაპირ ეთერში უფრო საინტერესო ამბები არ მოესმინა საკუთარ თავზე. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ნიკა გვარამიას ბენეფისი, მან თავის ტელევიზიაში მიწასთან გაასწორა მმართველი გუნდის ერთ-ერთი ლიდერი და თანაც ისე, რომ ოპონენტს ხმაც არ ამოაღებინა. **ეს არის ის, რასაც 2012 წლიდან გიკიჟინებთ ხალხი, ბატონებო! სამართლიანობის აღდგენა აქამდე რომ ვერ მოახერხეთ, დადგმული ფილმების რეჟისორი, ნაპროკურორალი ნიკა გვარამია თვეში 15-ათასლარიანი ხელფასით საუცხოოდ გრძნობს თავს. ჰოდა, ახლა კეთილი ინებეთ და ისმინეთ, რომ არ ვარგიხართ პოლიტიკოსებად, პროფესიონალებად და... კაცებად.**

ისე, გასულ კვირას მოსმენების ე.წ. გასაღებზეც სერიოზული კამათი იყო და ყოფილი ხელისუფლების წევრები მოქმედ ხელისუფალთ ამუნათებდნენ: როგორ ბედავთ და სუს-ის ხელში ტოვებთ გასაღებსო?! ამაზე გაბრაზებულმა უმრავლესობის ლიდერმა **აჩიკო თალაკვაძემ** განაცხადა, — მე კარგად მახსოვს, წინა ხელისუფლებას რომ ვუკიჟინებდით, მოსმენებს შეეშვითო, ისინი ამ ყველაფერს „ფართოდ დახუჭული თვალებით“ უყურებდნენო. ჰო, სწორედ ასე თქვა — „ფართოდ დახუჭული თვალებით“. ერთი ის ვერ გავიგე: რომელ წინა ხელისუფლებას? **აჩიკო, მე როგორც ვიცი,**

**ეს არის ის, რასაც 2012 წლიდან გიკიჟინებთ ხალხი, ბატონებო! სამართლიანობის აღდგენა აქამდე რომ ვერ მოახერხეთ, დადგმული ფილმების რეჟისორი, ნაპროკურორალი ნიკა გვარამია თვეში 15-ათასლარიანი ხელფასით საუცხოოდ გრძნობს თავს. ჰოდა, ახლა კეთილი ინებეთ და ისმინეთ, რომ არ ვარგიხართ პოლიტიკოსებად, პროფესიონალებად და... კაცებად**

**წინა ხელისუფლების პერიოდშიც თბილ ადგილზე მუშაობდი, ნაციონალებს ცხვირწინ უკმევდი საკმეველს და, კმევას თუ კიჟინაში ვერ არჩევ, მაშინ უმრავლესობის ლიდერად რა გინდა?! პრინციპში, მაგასაც რომ არჩევდე, მაინც რა გინდა?!**

რაც შეეხება გასული კვირის ერთ-ერთ თემას, ევროპამ კარი კი გაგვიღო, მაგრამ კარის სახელურისთვის ხელი არ გაუშვია და გვითხრა, „ვიზალიბერალიზაციას“ ჩვენი სურვილისამებრ შეგიჩერებთო. ევროპაში უვიზო მიმოსვლა, ერთი შეხედვით, კარგია, ბევრს არ იწვალებ, წახვალ, სხვადასხვა ქვეყანას ნახავ, მაგრამ ვაი, რომ ბებერ კონტინენტზე ტურისტად წასვლას ძალიან ცოტა ჩვენი თანამემამულე თუ შეძლებს. იქ, ძირითადად, ლუკმაპურის საშოვნელად მიდიან და ამიერიდან ესეც შეიზღუდება. იმასაც ამბობენ, **ევროპის ქვეყნებში არალეგალურად მყოფ ქართველ ქალებს, რომლებიც იქ მოხუცებისა და ბავშვების მომვლელად მუშაობენ, იქაურობას დაატოვებინებენ და პასპორტში ექვსწლიან აკრძალვას ჩაურტყამენო. ეს არის ერთ-ერთი ის „სიკეთე“, რომელსაც „ვიზალიბერალიზაცია“ მოგვიტანს და, სავარაუდოდ, ზაფხულში ევროპიდან დეპორტირებული ქართველების დიდ ნაკადს მივიღებთ.** აქაური პერსპექტივა კი, მოგეხსენებათ, ქალებისთვის დიასახლისობაა, კაცებისთვის — ბირჟა და დომინო (ნარდიც).

მე თუ მკითხავთ, ამ ე.წ. ვიზალიბერალიზაციაზე მნიშვნელოვანი თემა იმ ათასობით ადამიანის ულუკმაპუროდ დარჩენაა, რომლებსაც შემოსავალი „ბავშვთა სამყაროდან“ ჰქონდათ. ბავშვების სამყარო, ხომ იცით, როგორია? — ლამაზ ფერებში რომ ხედავენ ყველაფერს და პირველად ამ სამყაროს ბზარი მაშინ უჩნდება, როცა თოვლის პაპის სამოსში გამოწყობილ ადამიანში საკუთარ ოჯახის წევრს ან მეზობელს ამოიცნობენ. სამწუხაროდ, ბზა- ▶

# ხუთიოდე წელიწადში ქართული რაგბი ქართული ფეხბურთივით გაფარჩაკდება

**ბოლო პერიოდის საქართველოში თუ რომელიმე სპორტის სახეობაზე იტყვიან, წარმატებულიაო, ეს, უწინარესად, რაგბის ეხება. ქართველმა მორაგბეებმა ჯიგრიანი თამაშით თავი ქომაგებსაც დაამახსოვრეს და სწორედ მოთამაშეების დამსახურებაა ის, რომ საქართველოში რაგბის წესებს ბევრი იცნობს. ამის მიუხედავად, რაგბიში ძალიან, ძალიან ბევრი პრობლემაა და, თუ ამაზე ხმამაღლა ახლა არ ვისაუბრეთ, 4-5 წლის შემდეგ რაგბი საქართველოში ერთ-ერთ რიგით სპორტად გადაიქცევა და ველარც გამარჯვებებით გავიხარებთ.**



ევროპისკენ ფართო გზა საქართველოს მორაგბეთა ნაკრების ფრანგმა მწვრთნელმა **კლოდ სორელმა** გაჭრა. ის 1997 წელს ჩაუდგა ნაკრებს სათავეში და სწორედ მაშინ გამოჩნდა, რომ ქართული რაგბი, რომელიც საბჭოთა კავშირშიც მოწინავე იყო, ჯერ კიდევ არსებობდა. სორელმა თავისი კავშირებით რამდენიმე მოთამაშე საფრანგეთის ლიგებში გაუშვა და ბიჭებმა თავი არ შეირცხვინეს, თუმცა...

ჯერ კიდევ მაშინ, XXI საუკუნის დასაწყისში ამბობდნენ, რომ ქართველ მორაგბეებსა და რაგბის მესვეურებს შორის სერიოზული უკმაყოფილება იყო. საქმე ფულს ეხებოდა — ოფლით ნაშოვნი ხელფასის წილში ყველა ცდილობდა ჩაჯდომას, რაც მორაგბეების გულისწყრომას იწვევდა და საქმე ხშირად მიდიოდა მუშტიკრივამდე. ისიც ვთქვათ, რომ ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, სორელი მორაგბეთა აგენტის როლს ასრულებდა და მას წილი ოფიციალურად ეკუთვნოდა.

ფეხბურთის ბუმისა და ლოზუნგის „ჩვენ ერთი გუნდი ვართ“ შემდეგ, რაგბის ბუმიც დაიწყო და წინა ხელისუფლებამ პატარ-პატარა სარაგბო სტადიონების აშენებას მიჰყო ხელი. სამაგიეროდ, მაქსიმალურად ცდილობდა, დიდ სტადიონებზე მოგარბეები არ შეეშვა და სპორტულ მოედნებს სამშენებლო დანიშნულებით ჰყიდდა. ისიც ვთქვათ, რომ ახალგაზრდა მორაგბეებს, 20-22 წლის ბიჭებს, დაწინაურებისა და ნაკრებში მოხვედრის პერსპექტივით, წინა ხელისუფლება ზონდერებად იყენებდა.

ვინც არ იცის, ვეტყვით, რომ **2007 წლის 7 ნოემბერს რუსთაველზე და შემდეგ რიყეზე მომიტინგეთა დარბევაში სპორტსმენები აქტიურად მონაწილეობდნენ და ამ სპორტსმენებში მოჭიდავეთა და მორაგბეთა წილი უდიდესი იყო.**

რეალობას თვალი რომ გავუსწოროთ, დღეს მსოფლიოს დონის ერთადერთი მოთამაშე გვყავს — ფრანგული „ტულონის“ ლეგიონერი **მამუკა გორგოძე**, რომელიც არაპირდაპირ, მაგრამ ამბობს, რომ ქართული რაგბი მძიმე დღეშია. გორგოძე საქართველოში ნაკრების ახალი ფორმის პრეზენტაციაზე იყო ჩამოსული და მოახლოებულ სანაკრებო მატჩებზე ძალიან საინტერესო რამ თქვა: **„ნაკრების მწვრთნელი ახალგაზრდა მოთამაშეების გამოძახებას აპირებს. მივესალმები ამ ფაქტს. უფლება არ მაქვს, მწვრთნელის კომპეტენციაში ჩავერიო, მაგრამ მიმაჩნია, რომ არა მხოლოდ პირველ ორ მატჩში, არამედ კარგი იქნება, თუ ყველა შეხვედრაში ახალგაზრდული შემადგენლობით ვითამაშებთ. რომ წავაგოთ კიდეც, თუნდაც რუმინეთთან, ვფიქრობ, ეს აუცილებელია. თუ ახლა არ ვენდეთ ამ მოთამაშეებს, მსოფლიოს თასზე როგორღა ვანდოთ თამაში?!“**

ეს იმას ნიშნავს, რომ თაობა, რომელიც წლების განმავლობაში გვახარებდა, ნელ-ნელა უკანა პლანზე გადადის და ამას ყველაზე კარგად ნაკრების საუკეთესო მოთამაშე გორგოძე ხედავს. ის იმასაც ხედავს, რომ ევროპულ კლუბებში სულ უფრო ნაკლები ქართველი მორაგბე მიდის; იმასაც ხვდება, რომ პატარა მოედნებზე, მით უმეტეს, ხელოვნურ საფარიანზე, დიდი მორაგბე ვერ გაიზრდება...

„შორს არ არის ის დრო, როცა საქართველოს მორაგბეთა ნაკრები მსოფლიოს საუკეთესო ნაკრებებს შორის დაიდებს ბინას. ამის ყველანაირი პირობა არსებობს და საამისოდ სახელმწიფო ფულს არ იშურებს“, — აცხადებდნენ წინა ხელისუფლების წარმომადგენლები, ახლა კი იმავეს ამბობენ მოქმედი ხელისუფლების წევრები.

არადა, მსოფლიო სარაგბო ჩემპიონატი კარსაა მომდგარი და არსებულ რეალობაზე ისევ გორგო- ▶

„ჩვენ, როგორც მგრძნობიარე ერს, გაგვიჭირდა მრავალწლიანი პერიოდის გავლა, როდესაც სახელმწიფო არ გვქონდა. თანაგრძნობა არ ვიცით ერთმანეთის. ვთვლით, ვიღაცამ ეკლესია ააშენა და ის ყველაზე მაგარი კაცია, ასე იმიტომ გვგონია, რომ გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება არ წაგვიკითხავს. არ ვიცით, ეკლესიის შესასვლელთან მათხოვარი რომ ზის, ის არის უმთავრესი და არა ის, ვინც აშენებაში ფული გადაიხადა“.

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

თემურ ქორიძე:

# ივანიშვილი მერკანტილური ძველი ქართველია, ლუარსაბ თათქარიძის შთამომავალი

**ბოლო პერიოდში ბევრს საუბრობენ ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ დახარჯულ კოლოსალურ თანხებზე, აღებულ პრემიებსა და დანამატებზე. პრეზიდენტ მარგველაშვილის სამილიონებო ხარჯებზე ატეხილმა აჟიოტაჟმა კი ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა. არადა, მას ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ფუნქციის შესრულება არ შეუძლია. და, საერთოდ, არავინ იცის, სად, რისთვის დადის, რა მიაქვს ან რა მოაქვს.**

**ქვეყნის მოსახლეობა კი გაუსაძლის მდგომარეობაშია... და, როდესაც ასეთ ინფორმაციას ისმენ, უახლოესი წარსულიდან გახსენდება ადამიანები, რომლებმაც ქვეყანას თავი შესწირეს, სამშობლოსთვის ისე დაიხოცნენ, თვალიც არ დაუხამხამებიათ...**

**საქართველოს პირველ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიაზე სასაუბროდ ეროვნული მთავრობის წევრს, თემურ ქორიძეს, ვესტუმრეთ.**

**ბატონი თემური იუბილარი აღმოჩნდა.**

**კეთილშობილ კაცს, წლების მომატებასთან ერთად, გულჩვილობა შეჰპარვია — თავის დაბადების დღეზე პრობლემებზე საუბარს, ცოტა არ იყოს, თავი აარიდა და მხოლოდ ქართველთა უნიკალურობაზე გაამახვილა ყურადღება. ბევრჯერ თქვა, რომ წარმავალია და სურს, ბედნიერ საქართველოში დატოვოს გონიერი ახალგაზრდობა...**

**ბატონ თემურს ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს ბედნიერ საქართველოში, როგორზეც თანამებრძოლებთან — ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავასთან — ერთად ოცნებობდა.**



«ზვიადი ბუმბერაზი იყო, ის სხვის დასანახავად არაფერს აკეთებდა, მას სტკიოდა, თავისუფლება სწყუროდა, გზას ეძებდა, სამშობლოსთვის იწვოდა. ზვიადს შეუძლებლად არაფერი მიაჩნდა, გულანთებული ქართველისთვის შეუძლებელი არაფერია»

**— ბატონო თემურ, როგორ დაეცა ერიცა და ხელისუფლებაც ასე? რამდენიმე თვეა, საქართველოს ამჟამინდელი პრეზიდენტის სამილიონებო ხარჯებს ითვლიან და ვერაფრით დათვალეს. არადა, გვახსოვს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, რომელსაც არც კი ახსოვდა, რომ ხელფასი სჭირდებოდა...**

— არ ვფიქრობ, რომ ერია დაცემული. პროგრესის ლოგიკაა ასეთი — ქვეყანა წინ უნდა წავიდეს, არაფრით შეიძლება, უკან ბრუნდებოდეს და სულ ჩამორჩენილი იყოს.

პრეზიდენტი თუ გვყავს ასეთი, არა უშავს. სამაგიეროდ, გვყავს ძალიან კარგი ახალგაზრდობა, მათ არ ვგულისხმობ, რომლებიც გამუდმებით ტელეკრანებზე ჩანან. ჩემო ძვირფასებო, მართლაც კარგი თაობა მოდის, სწავლას მოწყურებული. უკვე ვბერდები, წარმავალი ვარ და მხოლოდ ამ ახალგაზრდების ნათელი გონება და თვალები მაიმედებს. მათზე უნდა ვიზრუნოთ, მათ აღზრდაზე უნდა დავხარჯოთ დრო. ბევრი მოწაფე მყავს და ვამაყობ კიდეც. მათ ცხოვრების ფილოსოფია ესმით.

ჩვენ თავის დროზე ვერ შევძელით, საკმარისი პასუხისმგებლობა აგვეღო საკუთარ თავზე, რადგან დავიბენით. ქაოსურები, თავქარიანები ვართ ქართველები. ფეხზე მყარად დადგომა ვერ მოვახერხეთ. არადა, პოტენციალი დიდი გვქონდა, დღესაც გვაქვს. გამჭრიახები, ენერგიულები ვართ. ქართველ ერს შეუძლია იცხოვროს ნამდვილი ცხოვრებით.

1990-იანი წლები დიდი კრიზისის ეპოქა იყო — ირყეოდა მთელი ქვეყანა. ამ რყევამ შეიწირა უნიკალური ქართველები — **ზვიადი** და **მერაბი**. ასეთი ადამიანები ეწირებიან ქვეყანას, რაც ასეც უნდა მოხდეს. ყველა არ არის ერის რჩეული.

კარგი იქნებოდა, გაკვეთილად მიგვეღო მომხდარი, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. ახლა 21-ე საუკუნის დასაწყისია და უნდა ჩავთვალოთ, რომ უფრო დიდი და მნიშვნელოვანი პრობლემების წინაშე ვდგავართ...

**მიხაკო წერეთელმა**, როდესაც ილია მოკლეს, თქვა: „თურმე კიდევ უფრო დაცემულ ვართ“... არ მაქვს სურვილი, იგივე განცდა დაგვეუფლოს, როგორიც 1907 წელს ილიას მკვლელობის შემდეგ დაეუფლა გონიერ ქართველ საზოგადოებას. იმხანად ეგონათ, რომ ილიას ღვაწლით წინ წავიდნენ, რაღაც შეძლეს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ დაეცნენ...

არ მინდა, საფლავში ისე ჩავიდე, ეს განცდა მიმყვებოდეს.

**— ფასეულობები, რომლებზეც ზვიად გამსახურდია საუბრობდა, დღეს აღარ არსებობს...**

— ზვიადი ბუმბერაზი იყო, ის სხვის დასანახავად არაფერს აკეთებდა, მას სტკიოდა, თავისუფლება სწყუროდა, გზას ეძებდა, სამშობლოსთვის იწვოდა. ზვიადს შეუძლებლად არაფერი მიაჩნდა, გულანთებული ქართველისთვის შეუძლებელი არაფერია.

ვიცი, რისი მოსმენაც გსურთ, მაგრამ ისე ჩახედული არ ვარ ამ საქმეში, რომ გიპასუხოთ. რა ხდება ჩვენს თავს, ვერ გეტყვით. აწმყოზე საუბარი ყველაზე მძიმე ყოფილა. მომავლის განჭვრეტა არ არის ძნელი, წარსულზე ლაპარაკიც ადვილია...

რაც გვჭირს და სადაც მოვედით, არის ამაში რაღაც ლოგიკა. **ჩვენ, როგორც მგრძნობიარე ერს, გაგვიჭირდა მრავალწლიანი პერიოდის გავლა, როდესაც სახელმწიფო არ გვქონდა. თანაგრძნობა არ ვიცით ერთმანეთის. ვთვლით, ვიღაცამ ეკლესია ააშენა და ის ყველაზე მაგარი კაცია, ასე იმიტომ გვგონია, რომ გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება არ წაგვიკითხავს. არ ვიცით, ეკლესიის შესასვლელთან მათხოვარი რომ ზის, ის არის უმთავრესი და არა ის, ვინც აშენებაში ფული გადაიხადა.**

**ნელ-ნელა გამოვალთ სინათლეზე, ნამდვილ ქრისტიანებად ვიქცევით. მჯერა, ეს ჭუჭყი, რომელიც 90-იანი წლებიდან წამოგვყვა, ჩაირეცხება.**

ყველაფერი გადაივლის, ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების თაობა მოვა და ყველაფერი დალაგდება. ცუდ პერიოდში ვიცხოვრეთ, ეს ყველას მოგვყვება. ახლა ისეთი ახალგაზრდები მოდიან, რომლებმაც შური არ იციან, არ ებრძვიან ერთმანეთს. თქვენ არ იჯავროთ, უნდა თუ არა ხელისუფლებებს, ნათელი დღეები მაინც დაგვიდგება.

მთავარია, ხელისუფლებაზე დამოკიდებულები არ ვიყოთ, დროულად გამოვცვალოთ.

**— თქვენ ისე თბილად, ლამაზად საუბრობთ ქართველებზე, ისეთი იმედი გაქვთ, ყველაფერი რიგზე იქნებაო, რომ... თუ ასეთი გამჭრიახები ვართ, როგორ მოვედით ზვიად გამსახურდიადან მარგველაშვილამდე?**

— დღეს უვარგისი ხელისუფლება გვყავს. ჩვენ არ გვიდგას საკითხი ასე — ზვიადიდან მარგველაშვილამდე... **ჩვენ ერთადერთი კაცის პრობლემა გვიდგას, ეს არის ბიძინა ივანიშვილი.** როგორღაც უნდა მოვახერხოთ და ის ხელისუფლებას ჩამოვაცილოთ, ქვეყანას მოვაშოროთ. ვისურვებდი, ქველმოქმედად დარჩენილიყო, მაგრამ ვერ იქნება **ბილ გეითსივით** ქველმოქმედი. სამწუხაროდ, ივანიშვილი მერკანტილური ძველი ქართველია, **ლუარსაბ თათქარიძის** შთამომავალი. ივანიშვილი ჩვენი ქვეყნის ტრაგედიაა და, სანამ ამას ვერ მივხვდებით, ჩაკეტილ სივრცეში ვიტრიალებთ.

მთავარია, ზედმეტი ტვირთისგან გავთავისუფლდეთ; მთავარია, მივხვდეთ, ვინ და რა გვღუპავს, თორემ მარგველაშვილები ქართველს ვერ დაღუპავენ.

ჩვენ მოვკალით ილია, მოვკალით ზვიადი, მაგრამ კათარზისი აუცილებლად მოვა, განვიწმინდებით. ჩვენი ქვეყნის მომავალი კარგად აღზრდილმა ახალგაზრდებმა უნდა გამოჭედონ.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

---

რების გარეშე, პირდაპირ თავზე დაემხოთ „ბავშვთა სამყაროს“ ბინადართ ერთ დღეში ყველაფერი — **ცეცხლში დაიწვა პრაქტიკულად ყველაფერი, რაც ამ ადამიანებს გააჩნდათ, და ახლა სახელმწიფოსგან ელიან დახმარებას, იმ სახელმწიფოსგან, რომელმაც ხელი აქციონერებისკენ გაიშვირა, აქციონერებმა კი გაოცებისგან პირი დააღეს,— საუბარი მილიონობით ლარზეა და ჩვენ ამდენი ფული არ გვაქვსო.**

ვილაცებმა კი თქვეს, დაზარალებულების დაკმაყოფილებას ბორბლებზე შემდგარი ერთი ხის ფასიც ეყოფაო, მაგრამ... ეს ისე, სხვათა შორის...

უფლებადამცველები აჭარაში გაქანდნენ — განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა ბათუმში მდებარე შაჰინის ლიცეუმს ავტორიზაცია შეუჩერა. უფლებადამცველები, არასამთავრობოები და კიდევ ვილაცები საჯაროდ ამბობენ, რომ ეს დისკრიმინაციაა და ამის გაკეთება არ შეიძლებოდა, თუმცა აჭარლები, რიგითი მოქალაქეები ამბობენ, რომ ლიცეუმი არ იყო ქართული, იქ სწავლება თურქულ ენაზე მიდიოდა და გადასახადიც იმხელა იყო, მხოლოდ თურქები თუ იხდიდნენ. **მანამდე არასამთავრობოებს ხმა არ ამოუღიათ, არ უთქვამთ, საქართველოში სწავლება თურქულ ენაზეა, მოსახლეობა აპროტესტებს და გვიშველეთო. მეზობელთან კარგი ურთიერთობა კი უნდა გვქონდეს, მაგრამ რუსეთს რომ ვუკიჟინებთ, მცოცავ ოკუპაციას ეწევაო, ამაზე მცოცავი რაღა გინდათ, შუაგულ აჭარაში ააშენეს ბასტიონი. აღნიშნულზე ამ ეტაპზე მეტს არაფერს ვიტყვით, მაგრამ, თუ უფლებადამცველები და არასამთავრობოები უფლებების დარღვევაზე ისევ ალაპარაკდებიან, დარღვევა-გარღვევას განახებთ, როგორი უნდა...**

საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი დირექტორი **ვასილ მაღლაფერიძე** საქმეს შეუდგა და, დიდი ალბათობით, ერთ-ერთი პოლიტიკური ტოკშოუ — „რეალური სივრცე“ დაიხურება. ახლა იმის მტკიცებას არ დავიწყებთ, ეს გადაცემა რეიტინგულია თუ არა, მაგრამ ახალი დირექტორი პოლიტიკურ ტოკშოუს რომ ხურავს, თანაც ამ გადაცემის წამყვანი მისი კონკურენტი რომ იყო არჩევნებში, ცუდად ჩანს და... რეალური სივრციდან გავდივართ, ბატონებო.

სოფელ დისევის მკვიდრი **გიორგი გიუნაშვილი** გასულ ზაფხულს დააკავეს ე.წ. სამხრეთ ოსეთის მილიციის თანამშრომლებმა და მას ცხინვალის სასამართლომ 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, აქაოდა, ამ კაცმა მხოლოდ საზღვარი კი არ დაარღვია, ტერორისტულ აქტებშიც მონაწილეობდაო. გახსოვთ, ალბათ, **გიორგი ცერცვაძეზე ნაციონალებმა რა ამბავი ატეხეს, მაგრამ გიუნაშვილზე ხმას არ იღებენ.** მიზეზი მარტივია: ის საზღვარი, რომელიც გიუნაშვილმა დაარღვია, 2008 წლამდე ჩვენი იყო, 2008 წელს კი, სწორედ ნაციონალების წამოწყებული პროვოკაციის შემდეგ, ეგეც დავკარგეთ და ბევრი სხვა რამეც.

თავში სამართლიანობის აღდგენა ვახსენეთ...

არაფერი გვეშველება, სანამ ეს პროცესი არ დაიწყება და ბოლოში არ გავა.

**ვიზა-ლიბერალიზებული ქართველი**

---

ძეს მოვუსმინოთ:

**„ვფიქრობ, იაპონიაში მსოფლიოს თასზე ორი მატჩის მოგება უნდა დავისახოთ მიზნად. არ მჩვევია, გულშემატკივრებს დაპირება მივცე. არც ღირს გადამეტებული მოლოდინის შექმნა. ორი მოგება, სავარაუდოდ, მაქსიმუმი იქნება, რაც ძალიან ძნელი მისაღწევია. მთავარია, სხვა შეხვედრებში ღირსეულად ვიბრძოლოთ“.**

რა გამოდის — რეალობა, რომელსაც მორაგბეები გვიხატავენ, სხვაა და დაპირება — სხვა? ის ხომ მაინც ყველამ იცის, რომ საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ასე სანუკვარ ექვსი ერის პირველობაზეც კი არავინ უშვებს, რადგან გვეუბნებიან, მზად არ ხართ ამ დონეზე სათამაშოდო...

„რაც უნდა მწარე იყოს სიმართლე, ვფიქრობ, რომ ექვსი ერისთვის ჯერ მზად არ ვართ. ამის გამო ბევრი გამაკრიტიკებს, მაგრამ ესაა რეალობა“, — თქვა ამას წინათ ნაკრების კაპიტანმა და ამის გამო ლამის ჯვარზე გააკრეს.

არადა, **ორიოდე თვის წინათ შოტლანდიასთან გამართული ტესტ-მატჩი 43:16 წავაგეთ. სწორედ აღნიშნულ ტესტ-მატჩზე აპელირებდნენ ქართული რაგბის მამები, ევროპული რაგბის მმართველ ორგანოს მოუწოდეს, — შეხვედრას უყურეთ და მიხვდებით, ექვსი ერის პირველობის ღირსი რომ ვართო. მათაც უყურეს და მეორე დღესვე განგვიცხადეს, თქვენთვიას ელიტაში ყოფნა ჯერ ძალიან ადრეაო.**

ბარემ ისიც ვთქვათ, რომ საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე მორაგბეებს, ტრავმის მიღების შემთხვევაში, მკურნალობის პრობლემა აქვთ. პროფესიონალი მორაგბე მუხლის მყესების ოპერაციას საყოველთაო დაზღვევით რომ გაიკეთებს და ფულს საკუთარი ჯიბიდან დაამატებს, რაზეა ლაპარაკი?!

და ერთიც — რაგბი არ არის ოლიმპიური სახეობა, რაც მის პოპულარობას მსოფლიოს მასშტაბით ხელს ძალიან უშლის. შესაბამისად, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტიდან რაიმე დახმარების იმედი და რომელიმე პროგრამის განხორციელების შესაძლებლობა, ნულის ტოლია. მანამდე კი ხელოვნურ მოედნებზე დარბიან პატარა ბიჭები, რომლებსაც ძალიან, ძალიან სურთ, ისეთივე ჯიგრით გავიდნენ და ითამაშონ ქართველი გულშემატკივრის წინაშე, როგორც ამას ამჟამინდელი თაობა აპირებს; თაობა, რომლის შემცვლელის პოვნა ძალიან, ძალიან ჭირს.

**ნიკოლოზ იაშვილი**

მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მეფე ერეკლე რომ არ გვყოლოდა, უნდა „გამოგვეგონებინა“ და მისი ჰეროიკული ცხოვრების მაგალითზე გაგვეზარდა მომავალი თაობები. ჩვენ კი როგორ ვიქცევით?! — მის ღვაწლსა და დამსახურებას ვჩქმალავთ და აქცენტს ყალბ გმირებზე ვაკეთებთ. ვინ იქნება წმინდანი — ეს რიგითი მოქალაქეების გადასაწყვეტი ნამდვილად არ არის, მაგრამ ისტორიული სამართლიანობა გვავალებს, ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ და მივაგოთ „კეისარს კეისრისა“.**

## ისტორიული პერსონები



### დავით აღმაშენებელი

**8 თებერვალი წმინდა მეფის — დავით აღმაშენებლის (1089-1125 წწ.) ხსენების დღეა.**

დავითმა, თავისი ოცდათექვსმეტწლიანი მმართველობის განმავლობაში გატარებული სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური რეფორმებით შეძლო საბოლოოდ დაესრულებინა საქართველოს გაერთიანების პროცესი, სელჩუკი დამპყრობლები ქვეყნიდან განედევნა, საქართველო რეგიონის უძლიერეს სახელმწიფოდ ექცია და მემკვიდრეებისთვის გადაებარებინა „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“ გადაჭიმული ქვეყანა.

დღეს საქართველო რომ არსებობს, დავით მეფის დამსახურებაა. მან ჩაიბარა მიწასთან გასწორებული ქვეყანა და დატოვა ფენიქსივით აღდგენილი სახელმწიფო. აღმაშენებელმა 1122 წელს მუსლიმთა თითქმის 400-წლიანი ბატონობისაგან გაათავისუფლა თბილისი და სატახტო ქალაქად აქცია. მისი მოღვაწეობის გვირგვინია დიდგორზე მიღწეული უდიდესი გამარჯვება, რომელიც ქართულ ისტორიულ წყაროებში „ძლევაი საკვირველით“ არის ცნობილი. ამ გამარჯვებით საბოლოოდ დასამარდა სელჩუკთა ძლიერება. დიდგორის ომმა სრული განადგურებისგან იხსნა არა მხოლოდ ქართველები, არამედ ქრისტიანი სომხებიც და ბიზანტიელებიც, ამიტომაც წერდა ცნობილი არაბი მემატიანე ალ-ფარიკი: „დიდგორით დიდი გული აქვთ ქართველთ“.

მას შემდეგ რვა საუკუნე გავიდა, მაგრამ დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა დიდგორის ბრძოლის წინ დავითის წარმოთქმულ სიტყვას: **„ეჰა, მეომარნო ქრისტესანო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად თავდადებით ვიბრძოლებთ, არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკსაც ადვილად დავამარცხებთ“.**

საქართველოს დიდი მეფე 1125 წლის 8 თებერვალს ორმოცდაცამეტი წლისა გარდაიცვალა. პიროვნული ღირსებებისა და ქვეყნისა და ერის წინაშე უდიდესი დამსახურებისთვის ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ დავით აღმაშენებელი წმინდანად შერაცხა.

# ქართველ პოლიტიკოსებს «თურქული» შეეყარათ

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №39 (2016 წ.) - №04 (2017 წ.)

**1225 წლის დეკემბერში ჯალალმა სამზადისი საკმარისად ჩათვალა და თბილისისკენ დაიძრა, მდინარე არაქსთან მცირე ხნით კარვები დასცეს და აქ მოულოდნელი ამბავი გამჟღავნდა — შალვა ახალციხელი თურმე წერილებს გზავნიდა და თანამემამულეებს ჯალალის გეგმებს ატყობინებდა.**

# რატომ არ არის წმინდანად შერაცხილი ქართლ-კახეთის დიდებული ხელმწიფე ერეკლე II

### მივაგოთ „კეისარს კეისრისა“

**დედამიწის ზურგზე, ალბათ, არ მოიძებნება მეორე ქვეყანა, რომელსაც იმდენი წმინდანი ჰყავს, რამდენიც საქართველოს.**

**365 დღიდან დაახლოებით ყოველი მეორე თუ არა, ყოველი მესამე ქართველ წმინდანთა მოხსენიების დღეა. ერთი მხრივ, საამაყოა, როდესაც ასეთი ჰეროიკული წარსულის პატრონი ხარ, მაგრამ, მეორე მხრივ, ნამდვილად უბედურია ის ერი, რომელსაც ამდენი მოწამე ჰყავს, რადგან ეს, რა თქმა უნდა, დალხინებული ცხოვრებით არ არის გამოწვეული. როგორც ილია ჭავჭავაძე იტყოდა: „ქრისტე ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენც ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის“.**

სამწუხაროა, რომ წმინდანთა შორის არ არის ქართლ-კახეთის დიდებული ხელმწიფე ერეკლე მეორე (1744–1798 წწ.), „სახალხო მეფე“, რომელიც ერმა მისი ყმაწვილობიდანვე შეიყვარა და პატარა კახი შეარქვა. დიდი ხანია, ხალხმა ღირსეული ადგილი მიუჩინა ისტორიაში ამ დიდ მეფეს, უბრალოდ, დასანანია, რომ ამ შემთხვევაში არ მოქმედებს ფორმულირება, რომელმაც საუკუნეებს გაუძლო და, „ხმა ღვთისა, ხმა ერისას“ ნაცვლად, მივიღეთ „ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“.

რა თქმა უნდა, წმინდანად აღიარებას თავისი კრიტერიუმი აქვს, ჩვენ არ შევუდგებით მასზე დაწვრილებით საუბარს, რადგან ძალიან შორს წაგვიგვანს, მაგრამ შევეცდებთ, დავასაბუთოთ პატარა კახის წმინდანად აღიარების აუცილებლობა.

და მაინც, **ვინ იყო მეფე ერეკლე?**

**1. ქრისტიანი მართლმორწმუნე ხელმწიფე,** რომელიც ისე ავიდა ტახტზე, რომ სარწმუნოება არ შეუცვლია. მანამდე, თითქმის 100 წლის განმავლობაში, ქართლსა და კახეთს ქრისტიანი მეფე არ ღირსებია, რადგან ტახტზე ასული თუ ასასვლელი კანდიდატისგან კატეგორიულად მოითხოვდნენ გამაჰმადიანებას. მამაშვილი — ქართლის მეფე **თეიმურაზ მეორე** და კახეთის მეფე ერეკლე მეორე — იყვნენ პირველები, რომლებმაც გაუძლეს მრისხანე **ნადირ-შაჰის** ზემოქმედებას და შეინარჩუნეს სარწმუნოება;

**2. სარწმუნოების დამცველი.** ერეკლე II თითქმის 55 წლის განმავლობაში იბრძოდა ქვეყნისა და ქრისტიანობის დასაცავად. არადა, რა წყალობას არ ჰპირდებოდნენ. ხონთქარიც და შაჰიც მთელი კავკასიის რეგიონს „იმეტებდნენ“, ოღონდ მაჰმადიანობა მიეღო და მათ სამსახურში ჩამდგარიყო, მაგრამ ის კომპრომისზე არ წასულა არც თურქებთან და არც ირანელებთან. პატარა კახი დაუნდობლად მუსრავდა ქვეყნის მტერს და ხმალამოწვდილი იდგა სარწმუნოების სადარაჯოზე.

ისიც უნდა ითქვას, რომ ერეკლე მეფე ფულსა და ოქრო-ვერცხლს არ იშურებდა ეკლესია-მონასტრების აღსადგენად, აშენებდა ახალი მონასტრებიც. შაჰ აბასის შემოსევების შემდეგ, თითქმის ასი წლის განმავლობაში, ქართლ-კახეთში არ აშენებულა და არ შეკეთებულა იმდენი ტაძარი, რამდენიც ერეკლე II მეფობის დროს;

**3. ერის მსახური.** ერეკლეს ასზე მეტი დიდი თუ პატარა ბრძოლა აქვს გადახდილი. მართალია, მას გამარჯვების სიხარულიც განუცდია და დამარცხების სიმწარეც, მაგრამ ბრძოლა არ შეუწყვეტია. დამარცხების მიუხედავად, ძალღონე მოუკრებია და მტრისთვის სამაგიერო მიუზღავს. ასე იყო **აზატ-ხანის** ლაშქრობების შემთხვევაში. იგივე განმეორდა **აღა მაჰმად ხანის** საქართველოში შემოსევისას. ერეკლე II ვალმოხდილი წავიდა წუთისოფლიდან.

როდესაც ერეკლეს ცხედარი განბანეს და გააპატიოსნეს, ხმლისა და შუბისგან დასერილ სხეულზე ადგილი ვერ უპოვეს, რომელზეც მომხდურ მტერს „თავისი კვალი“ არ ჰქონდა დატოვებული. მაშინ შეიტყვეს, რა დიდი ტკივილისთვის გაუძლია ლეგენდარული მეფეს;

**4. მეფე ასკეტი.** ერეკლე ასკეტის ცხოვრებით ცხოვრობდა, მისი სიმდიდრე ხმალი იყო, ხოლო ავეჯ-გარდერობი — ცხენის უნაგირი. ხაზინას თუ რამე ჰქონდა, იხარჯებოდა



არა ფუფუნების საგნების შესაძენად, არამედ ქვეყნის საჭიროებისთვის. ღიმილის მომგვრელია, როდესაც ვერსალს მეფის სასახლეს ვუწოდებთ, ხოლო თბილისში, რიყეზე აგებულ შენობას დარეჯან დედოფლის „სასახლე“ ჰქვია. ერეკლეს შეეძლო, ისტორიაში შესულიყო, როგორც ერთ-ერთი მდიდარი მონარქი (ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ნადირ შაჰის ინდოეთში ლაშქრობიდან იმდენი სიმდიდრე ჩამოიტანა, რომ იმ ფულით სამ ვერსალს ააშენებდა), მაგრამ **მისი საზრუნავი არა პირადი ბედნიერება, არამედ ქვეყნის სვე-ბედი იყო და ნამდვილად არ იქნება მართებული ამაგდარი მეფის ღვაწლის დაუნახაობა და დაუფასებლობა.**

ერთ ისტორიას გავიხსენებ: უკვე სიბერეში შესულ სნეულ მეფეს თურმე თევზი მოართვეს, ერეკლე გაბრაზებულა და უთქვამს: **„ამ მძიმე მარხვაში თევზი როგორ უნდა ვჭამო. მე რა მაგალითი უნდა მივცე ხალხს?!“**

დაუსრულებლად შეიძლება საუბარი ერეკლეს პერსონის წარმოსაჩენად. შეიძლება ვინმე შემოგვედავოს, რომ ის არ აღესრულა მოწამეობრივი სიკვდილით, მაგრამ ეს არ არის ის არგუმენტი, რომელიც ჩრდილს მიაყენებს პატარა კახის სახელს. შეიძლება ჩამოთვლა უამრავი წმინდა მეფისა, რომლებსაც მოწამეობრივი სიკვდილი არ რგებიათ, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მათი ღვაწლის დაფასებისთვის.

**რა კრიტერიუმით უნდა მოხდეს წმინდანების შერჩევა საერო პირების გადასაწყვეტი ნამდვილად არ არის, მაგრამ, ზნეობასთან მწყრალად მყოფი ადამიანები წმინდანებად რომ არ უნდა იწოდებოდნენ, დამეთანხმებით.**

**უცნაურია, მაგრამ ფაქტი: წმინდა მეფეთა შორის „არ მოიძებნა“ ერეკლე მეორეს ადგილი, სამაგიეროდ, 5 ივნისს ქართული სამოციქულო ეკლესია აღნიშნავს წმინდა დამიანე (დემეტრეყოფილის) ხსენების დღეს. ჯერ ერთი, შეცდომაა ფორმულირება „დამიანე (დემეტრეყოფილი)“, ვინაიდან ის აღესრულა, როგორც ერისკაცი დემეტრე მეორე, ამიტომ უფრო მართებული იქნებოდა, მისთვის დემეტრე (დამიანეყოფილი) გვეწოდებინა.**

მათ, ვინც ისტორიასთან მწყრალადაა, მცირე ისტორიულ ექსკურსს ვტავაზობ: 1125 წელს, დავით აღმაშენებლის სიკვდილის შემდეგ, ტახტზე ავიდა მისი უფროსი ძე — **დემეტრე პირველი** (1125—1156 წწ). დემეტრე კი ავიდა ტახტზე, მაგრამ, როგორც ჩანს, დავითი მაინც უკმაყოფილო იყო უფლისწულით და ანდერძად დაიბარა, როდესაც **ცვატა** (დემეტრეს ნახევარძმა) სრულწლოვანი გახდება და დემეტრეზე უკეთესი აღმოჩნდება, ტახტზე ის ავიდესო. დემეტრეს არც უფიქრია მამის ანდერძის შესრულება და მისი ტახტზე ასვლიდან რამდენიმე წელიწადში ცვატა უფლისწულიც დაიღუპა.

უკვე ასაკში შესული დემეტრე კი ცდილობს, ტახტის მემკვიდრედ არა უფროსი ძე — **დავითი,** არამედ უმცროსი უფლისწული — **გიორგი** დატოვოს. ამის გამო დავითმა ორჯერ სცადა ტახტიდან მამის ჩამოგდება და 1155 წელს მიზანსაც მიაღწია. დემეტრემ დავითგარეჯის მონასტერს შეაფარა თავი და დამიანეს სახელით ბერად აღიკვეცა.

მიუხედავად ამისა, ყოფილი ხელისუფალი აქტიურად ერეოდა სასახლეში მიმდინარე მოვლენებში, მას არ შეუწყვეტია ბრძოლა გიორგი უფლისწულის გასამეფებლად. გამეფებიდან ექვსი თვის თავზე გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა მეფე **დავით მეხუთე.** ტახტზე ასვლა ეკუთვნოდა **დემეტრე (დემნა) დავითის ძეს**, მაგრამ, ეს რომ არ მომხდარიყო, დემეტრემ განიძარცვა ▶

## იცით თუ არა, რომ:



ძველ ბერძნებს ხომალდებზე ყოველთვის ჰყავდათ მტრედები. როდესაც მიწა არ ჩანდა, ზღვაოსნები ფრინველს ჰაერში უშვებდნენ და ისიც შეუცდომლად მიფრინავდა ხმელეთისკენ.



მიუხედავად იმისა, რომ შვეიცარია კონტინენტური სახელმწიფოა, მისი საზღვაო ფლოტი 600-ზე მეტ სხვადასხვა ზომის გემს ითვლის. ეს ქვეყანა ამზადებს მსოფლიოში საუკეთესო ქრონომეტრებსა და გემის დიზელის ძრავებს.



დედამიწაზე ყველაზე დიდი მტაცებელი ფრინველი არის კონდორი. მისი სხეულის სიგრძე 115 სმ აღწევს, ხოლო ფრთების შლილი 275 სმ-ია.

მართალი ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „საცოდავ“ ერეკლეს არც დედაეკლესია აუკლია ბილწსიტყვაობით, ასაკოვანი მეფე წირვა-ლოცვებსაც ესწრებოდა და მარხვასაც ზედმიწევნით იცავდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ვერ მოიგო ეკლესიის მესვეურთა გული. თუ მისი „დანაშაული“ ის იყო, რომ სტამბოლში წასვლასა და კუნძზე თავის დადებას ასპინძის ომში თურქების მრავალრიცხოვანი ჯარის განადგურება არჩია?! ამაზეა ნათქვამი, „ზოგისა ბამბაც ჩხრიალებს, ზოგის —კაკალიც არაო“.

ბერის სამოსი და ისევ საერო ცხოვრებას დაუბრუნდა. დავითგარეჯიდან თბილისს დაბრუნებულმა დამიანემ ხელახლა დაიდგა თავზე გვირგვინი და ისევ დემეტრე მეორედ მოგვევლინა.

ალბათ, არავის სჭირდება იმის შეხსენება, რომ **ადამიანი, რომელიც ბერის სამოსს განიძარცვავს და საერო ცხოვრებას უბრუნდება, ძალიან დიდ ცოდვაში დგამს ფეხს. ცოდვილის გაწმინდანება, ცოტა არ იყოს, „სახამუშოა“. მხოლოდ ეს რომ იყოს, კიდევ „აიტანდა“ კაცი, მაგრამ იმას რა ვუყოთ, რომ ძალიან დიდი ეჭვი და კითხვის ნიშნები არსებობს მის მიერვე თვალებდათხრილი უფლისწული ცვატასა და დავით მეფის მოულოდნელ გარდაცვალებაზე?! ბერ დამიანეს არც შვილიშვილისთვის ტახტის წართმევა მატებს ღირსებას.**

1139 წელს არანში ძლიერი მიწისძვრა მოხდა, რომელმაც დაანგრია ქალაქი განძა. ამით ისარგებლა დემეტრემ და ქალაქი ადვილად ჩაიგდო ხელში (მიწისძვრისგან შემუსრულ ქალაქს წინააღმდეგობის გაწევის თავი ნამდვილად არ ჰქონდა), მაგრამ არც უცდია მისი შენარჩუნება, განძა გაძარცვა და დიდი ალაფით დატვირთული უკან გაბრუნდა. მეფემ ქალაქის კარიბჭეც ჩამოიტანა, რომელიც გელათის მონასტერს შესწირა და ახლაც იქ ინახება.

**რა თქმა უნდა, დემეტრე იყო მეფე და მტერს მტრულად უნდა მოქცეოდა, მაგრამ არსებობს ზნეობრივი ზღვარი, რომელსაც არ უნდა გადააბიჯო. მიწისძვრამ ქალაქი მიწასთან გაასწორა, ათასობით ადამიანი ნანგრევებში მოჰყვა, ხალხს შველა და დახმარება ესაჭიროებოდა და ამ დროს კი დემეტრე რას აკეთებს? — ძარცვავს ისედაც გაჩანაგებულ ქალაქს.**

**წმინდანები ასე არ იქცევიან!**

**უცნაური ხალხი ვართ ქართველები. დალოცვილო, მეფე ერეკლე გყავდეს და წმინდანად სოლომონ მეორეს აღიარებდე, რა ლოგიკაა?!** სად ერეკლე და სად... არადა, **სოლომონი** იყო სუსტი მეფე, რომელიც, რასაც აღწევდა, სულ სხვისი დახმარებით. ის ტახტზე სახელოვანი ბაბუის — ერეკლე მეორის დახმარებით ავიდა. 1789 წელს მათხოჯთან გამართულ ბრძოლაში ერეკლესა და **გრიგოლ დადიანის** დახმარებით დავით არჩილის ძემ დაამარცხა თავისი კონკურენტი დავით მეორე და სოლომონ მეორეს სახელით იმერეთის მეფე გახდა. დავითმა 1790 წელს ისევ სცადა ტახტის დაბრუნება, მაგრამ მეფე ერეკლემ სოლომონს თავისი შვილიშვილი იოანე მიაშველა და ლომსიანთ ხევში გამართულ ბრძოლაში გამარჯვება სოლომონს დარჩა.

სოლომონ მეორე რუსეთს ერთგულებას ეფიცებოდა და, ამასთანავე, ოსმალეთშიც გაგზავნა ელჩობა დახმარების სათხოვნელად. პეტერბურგში შეიტყვეს სოლომონის ორმაგი თამაშის ამბავი და 1804 წელს რუსეთის არმიის ნაწილებმა იმერეთი დაიკავეს. მართალია, იმავე წლის 25 აპრილს სოფელ ელაზნაურში დადებული ხელშეკრულებით იმერეთი რუსეთის ქვეშევრდომად ცხადდებოდა, მაგრამ ინარჩუნებდა პოლიტიკურ დამოუკიდებლობას და მეფობა ხელშეუხებელი რჩებოდა (იმერეთის შემადგენლობაში შედიოდა გურიის სამთავროც). მიუხედავად ამისა, იმერეთის მეფე სოლომონ მეორე არ წყვეტდა ოსმალეთთან კავშირს. მან ისარგებლა რუსეთ-თურქეთის ომით (1806– 1812 წწ) და აჯანყება დაიწყო იმერეთიდან რუსების განსადევნად, მაგრამ დახმარება ვერ მიიღო ოსმალეთიდან და რუსეთის ჯართან ბრძოლაში მარცხს მარცხზე განიცდიდა. **1810 წლის 28 მარტს რუსებმა იმერეთის მეფე შეიპყრეს და სუმბათაშვილის სახლში გამოკეტეს. სოლომონმა მოახერხა გაქცევა, ის ჯერ ახალციხის ფაშას ეახლა. ფაშამ, სულეიმან ხიმშიაშვილმა, დიდი ზარ-ზეიმით მიიღო სოლომონი და, როგორც „ურჯულო“, რუსებთან დაუცხრომელი მებრძოლი, ოქროს უნაგირით აღკაზმული ცხენით დაასაჩუქრა. იმერეთის მეფე ახალციხეში დიდხანს არ გაჩერებულა, იქიდან ტრაპიზონში გაიქცა, სადაც 1815 წელს აღესრულა კიდეც.**

არ გვინდა, ეჭვი შევიტანოთ წმინდანად გამოცხადების წესის მართებულებაში, მაგრამ აშკარაა, რომ ამ საკითხში გადამწყვეტ როლს პოლიტიკური კონიუნქტურა თამაშობს: **ერეკლემ რუსებს გაუფორმა გეორგიევსკის ტრაქტატი — ესე იგი, არ ვარგა; ხოლო სოლომონი ებრძოდა რუსეთს და წმინდანია, ამას წყალი არ გაუვა (ამ ლოგიკით, ბარემ ნოე ჟორდანიაც გამოვაცხადოთ წმინდანად, ისიც „ებრძოდა“ რუსეთს და მანაც უცხოეთში დალია სული)... როგორც ჩანს, „შაბლონებს“ ვერც ჩვენი დედაეკლესია გაექცა.**

საქართველო უსახელო გმირების ქვეყანაა, მათი ამაგი ჯეროვნად არ არის დაფასებული. ამის ნათელი მაგალითია ყირიმელი თათრების საქართველოში შემოჭრა. არ მეგულება ქართველი, რომელსაც არ სმენოდეს **თევდორე მღვდლის** გმირობის ამბავი, მაგრამ მაინც დავუბრუნდებით ამ ისტორიას.

მეფე ლუარსაბ მეორე მცირე ამალით ცხირეთის ციხეში იყო დაბანაკებული. მტერმა შეიპყრო კველთელი მღვდელი თევდორე და მეგზურობა უბრძანა. მღვდელმა მტერს შეგნებულად აუბნია გზა და ცხირეთს დააშორა. თათრები გვიან მიხვდნენ ამას და მღვდელი ხმლით აკუწეს. ამ თავდადებისთვის თევდორე კველთელი ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ უცნაური ისაა, რომ, **სანამ თევდორეს გადაეყრებოდნენ, მანამდე ყირიმელმა თათრებმა ხუთ შემთხვევით შემხვედრ ქართველს უბრძანეს მეგზურობა, ხუთივემ სასტიკი უარი განაცხადა და ამის გამო ხუთივემ სიკვდილით ზღო. ისინი, რა თქმა უნდა, გმირები არიან და ნამდვილად იმსახურებენ სათანადო პატივის მიგებას, მაგრამ პატივს ვინ დაეძებს, მათი სახელებიც კი არ შემორჩენია ისტორიის ფურცლებს.**

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 12 მარტს მეფე **დემეტრე თავდადებულის** (1270—1289 წწ.) ხსენების დღეს აღნიშნავს. წმინდანად აღიარეს ადამიანი, რომელიც „ურწმუნოებისა“ და „აღვირახსნილი“ ცხოვრების გამო არაერთხელ გადასცეს ანათემას. მას კონფლიქტი ჰქონდა სასულიერო პირებთან. აი რას წერს მემატიანე: „თუმცა უწესობათა დიდად ამხილებდა ნიკოლოზ კათალიკოზი და ნიკოლოზ მაწყუერელი ჯუანშერის ძე... მაგრამ არავინ ყურად არ იღებდა სიტყუასა მათსა“. მეფესთან რომ ვერაფერს გახდა, კათალიკოსი გადადგა, ანუ „ვერ არწმუნა და დაუტევა კათალიკოზობა“.

მეფეს იმხანად განთქმული საეკლესიო მოღვაწე **ბერი ბასილ ათონელიც** ამხელდა. მან მეფეს საშინელი მომავალი უწინასწარმეტყველა და შეაჩვენა. საპასუხოდ დემეტრემ ბერ-მონაზონი ბილწი სიტყვებით გალანძღა. როდესაც დარწმუნდა, რომ მკრეხელ მეფეს ვერაფერი შეაგონა, მამა ბასილიც, ნიკოლოზ კათალიკოზის მსგავსად, საქართველოს გაეცალა.

**და მრუში, გარყვნილი მეფე უცებ წმინდანად იქცა. ამას წინ უძღოდა მონღოლთა ყაენის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულება, რომელიც არღუნ ყაენის (1284—1291 წწ.) ვაზირმა ბუღა ჩინგსანგმა მოაწყო. ბუღა სიკვდილით იქნა დასჯილი. მის შვილსა და ნათესავებს იგივე ბედი ეწია, ისევე, როგორც ამ შეთქმულების ყველა მონაწილეს.**

ვინაიდან დემეტრე ბუღასთან მეგობრობდა, ყაენთან დაიბარეს. იქ, მართალია, დემეტრე სიკვდილით დასაჯეს, მაგრამ იმის თქმა, რომ მეფემ წინასწარ იცოდა თავისი აღსასრულის შესახებ, სიბრიყვეა და მეტი არაფერი. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ყაენის გადაწყვეტილება, რომელმაც დემეტრეს შედარებით მსუბუქი სასჯელი — „არგნით ცემა“ — აკმარა (მონღოლური წესისამებრ, ვინც არგნით გაიშოლტებოდა, სიკვდილით აღარ ისჯებოდა). ალბათ, ყველაფერი ამით დასრულდებოდა, რომ არა **სადუნ მანკაბერდელის** ძის — **ხუტლუბუღას** საშინელი შურისძიება. სადუნ მანკაბერდელს ორი თანამდებობა ეკავა (იყო ათაბაგი და სპასალარი) ჯერ **დავით ულუს** (1247–1270 წწ.), ხოლო შემდეგ დემეტრეს სამეფო კარზე. სადუნის სიკვდილის შემდეგ დემეტრემ ხუტლუბუღას სპასალარობა უბოძა, ხოლო ათაბაგად (შესაბამისად — პირველ ვაზირად) **ტარსაიჭ ორბელი** დაიყენა. ორბელმა თანდათან შეავიწროვა ხუტლუბუღა და მისი გავლენა სამეფო კარზე მინიმუმამდე დაიყვანა. მეფეზე განაწყენებულმა ხუტლუბუღამ ილხანთა ყაენში იპოვა მფარველი და მისი ერთგული მსახური გახდა. შემდეგ, როგორც კი მიეცა საშუალება, დემეტრე მეფეზე შური იძია. **ყურადღება მივაქციოთ: ყაენი არ აპირებდა მეფის სიკვდილით დასჯას. უბრალოდ, მან შეასრულა ერთგული მსახურის — ხუტლუბუღას თხოვნა და განაჩენი შეცვალა.**

არავინ აკნინებს მეფე დემეტრეს თავდადებას, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ყაენი არ აპირებდა მის დასჯას და დემეტრე თავისივე „სპასალარის“ შურისძიების მსხვერპლი შეიქნა. გარდა ამისა, მართალია, მონღოლთა დიდი ლაშქარი არ შემჭრილა საქართველოში, მაგრამ იმხანად ჩვენს ქვეყანაში მონღოლთა საოკუპაციო რაზმები იდგნენ ისინი ამყარებდნენ „წესრიგს“, საქართველოს გაჩანაგებაში „ეხმარებოდნენ“ მონღოლ ბასკასებს, ანუ ხარკის ამკრეფებს და „კომპეტენციის ფარგლებში“ არც ქართველი ხალხის დაწიოკებასა და დახოცვას თაკილობდნენ. საუბედუროდ, ეს რაზმები ქვეყნის ფარგლებს გარედან შემოჭრილ ჯარზე არანაკლებ ზიანს გვაყენებდნენ, ამიტომ იმის თქმა, რომ დემეტრემ თავისი სიკვდილით ქვეყანას დიდი საფრთხე ააცილა, გადაჭარბებულია.

**„საცოდავ“ ერეკლეს არც დედაეკლესია აუკლია ბილწსიტყვაობით, ასაკოვანი მეფე წირვა-ლოცვებსაც ესწრებოდა და მარხვასაც ზედმიწევნით იცავდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ვერ მოიგო ეკლესიის მესვეურთა გული. თუ მისი „დანაშაული“ ის იყო, რომ სტამბოლში წასვლასა და კუნძზე თავის დადებას ასპინძის ომში თურქების მრავალრიცხოვანი ჯარის განადგურება არჩია?! ამაზეა ნათქვამი, „ზოგისა ბამბაც ჩხრიალებს, ზოგის — კაკალიც არაო.“**

მეფე ერეკლე რომ არ გვყოლოდა, უნდა „გამოგვეგონებინა“ და მისი ჰეროიკული ცხოვრების მაგალითზე გაგვეზარდა მომავალი თაობები. ჩვენ კი როგორ ვიქცევით?! — მის ღვაწლსა და დამსახურებას ვჩქმალავთ და აქცენტს ყალბ გმირებზე ვაკეთებთ. ვინ იქნება წმინდანი — ეს რიგითი მოქალაქეების გადასაწყვეტი ნამდილად არ არის, მაგრამ ისტორიული სამართლიანობა გვავალებს, ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ და მივაგოთ „კეისარს კეისრისა“.

მგონია, რომ ერეკლე მეორეს წმინდანად გამოცხადება, ადრე თუ გვიან, მაინც მოხდება. ეს გარდაუვალია, რადგან შეუძლებელია ამ დიდი მეფის ამაგის დავიწყება. **როგორც სულმნათი ილია ჭავჭავაძე ბრძანებდა: „ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავისდა საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს“. ამას კი არც ერთი ერი არ დაუშვებს.**

**ვანო სულორი**

**P.S.** სამწუხაროა, რომ ისტორიულ წარსულთან, მხოლოდ სასულიერო პირები კი არა, მასმედიის წარმომადგენლებიც ვცოდავთ. ჩვენი წარსულის პოპულარიზაციის ნაცვლად, ტელეეთერს ვუთმობთ თურქულ ისტორიულ სერიალებს. ამის გამო ქართველ საზოგადოებას უფრო სრული წარმოდგენა თურქეთის ისტორიაზე ექმნება, ვიდრე საკუთარი ქვეყნის წარსულზე. ერთ პარადოქსზე გავამახვილებ მკითხველის ყურადღებას: ღამით ქართველი „მორწმუნე“ ცრემლს აღვარღვარებს სერიალ „ქოსემის რისხვის“ პერსონაჟ სულთან ახმედ ხანის ტრაგიკულ ბედზე, მეორე დილით კი ეკლესიაში სანთელს უნთებს სულთან ახმედის მეომრების მიერ სიკვდილით დასჯილ წმინდან თევდორე ბერს. მსგავსი რამ მხოლოდ საქართველოში შეიძლება მოხდეს.



## არისტოტელე (ძვ. წ. 384–322 წწ.), ბერძენი ფილოსოფოსი

სადაც არა ჭრის ლოგიკის ძალა, იქ საჭიროა ძალის ლოგიკა.

* * *

**სულელს გული აკერია ენაზე, ჭკვიანს — ენა გულზე.**

* * *

არამზადის სინდისი რომ გავაღვიძოთ, სილა უნდა გავაწნათ.

* * *

**ყველამ იცის, რომ სიკვდილი გარდაუვალია, მაგრამ, რაკი შორსაა, მასზე არავინ ფიქრობს.**

* * *

ყველას მეგობარი არავისი მეგობარი არ არის.

* * *

**პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება უფრო დიდი მეგობარია.**

* * *

არაფერი ისე არ ცვეთს და ანგრევს ადამიანს, როგორც ხანგრძლივი ფიზიკური უმოქმედობა.

* * *

**შეცდომას მრავალი გზა აქვს, სწორად მოქმედებას – ერთადერთი, ამიტომ პირველი იოლია, მეორე — ძნელი. მიზანს იოლად ააცდენ, ძნელად — მოახვედრებ.**

* * *

ურიგო ჩვევიდან ვითარდება ბილწსიტყვაობაც და უმსგავსი ქცევებიც.

* * *

**ეცადე, შენი ძალაუფლება აქციო არა ქედმაღლობად, არამედ ქველ საქმეებად და სათნოებად, რომელზე აღმატებულიც ქვეყნად არაფერია. ადამიანს, ბუნებით მოკვდავს, გარდაუვალი სიკვდილის შემდეგ თავისი საქმეების წყალობით შეუძლია უკვდავი ხსოვნა მოიპოვოს.**

* * *

იმისთვის კი არ ვმსჯელობთ, რომ ვიცოდეთ, რა არის სათნოება, არამედ იმისთვის, რომ კარგი ადამიანები გავხდეთ.

* * *

**ბუნებამ ადამიანს მისცა იარაღი — გონებრივი მორალური ძალა, მაგრამ მას შეუძლია ეს იარაღი უკუღმართადაც გამოიყენოს; ამიტომ, სათანადო მორალური საფუძვლების გარეშე, ადამიანი ხდება ყოვლად უკაცური და მხეცური, მდაბალი, თავისი სქესობრივი და გემოვნების ინსტიქტების ამყოლი.**

* * *

სრულყოფილებამდე ამაღლებული ადამიანი ყველა ცხოველზე აღმატებულია, მაგრამ ყველა ცხოველზე დაბლა დგას, თუ უკანონოდ და უსამართლოდ ცხოვრობს. ჭეშმარიტად, არა არის რა შეიარაღებულ უსამართლობაზე შემზარავი.

* * *

კარგი დასაწყისი საქმის ნახევარზე მეტია.

## იცით თუ არა, რომ:



ბერძნული ზმნა „დისკოიო“ ნიშნავს „ვისვრი“. აქედან წარმოდგა სიტყვა „დისკუსია“, ანუ აზრების სროლა.

საფრანგეთის პრეზიდენტ შარლ დე გოლს 1944-დან 1966 წლამდე 30-ჯერ დაესხნენ თავს, მაგრამ ტერორისტებს ყველა ჯერზე მოეცარათ ხელი.



თემურ ლენგმა თავისი იმპერიის დედაქალაქი ცხვრის ხორცის მეშვეობით განსაზღვრა. პირსისხლიანმა მბრძანებელმა მსახურებს დააკვლევინა ცხვარი, ხორცის ნაჭრები გაგზავნა ტაშკენტში, სამარყანდსა და ბუხარაში. ხორცი ყველაზე გვიან სამარყანდში აყროლდა და ის აქცია სატახტო ქალაქად.



გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



საზღვარგარეთ მყოფი ტროცკისა და მისი მხარდამჭერების აქტიური მოქმედებით მძლავრად ამუშავდა კარგად ორგანიზებული „მეხუთე კოლონა“. ქვეყანაში გახშირდა ტერორისტული აქტები, საბოტაჟი, ჯაშუშობა, ინდივიდუალური და ჯგუფური მკვლელობები. აფეთქებდნენ შახტებს, წვავდნენ პურის საწყობებს, ხრამში ჩეხავდნენ ადამიანებითა და საქონლით სავსე სარკინიგზო ეშელონებს; მწყობრიდან გამო? ყავდათ ძვირად ღირებული მანქანა-დანადგარები, აფეთქებდნენ ჰიდროსადგურებს და სარწყავ სისტემებს, ცოცხლად მარხავდნენ და ცეცხლში წვავდნენ სოფლად და ქალაქად საბჭოთა საწარმოებში აქტიურად მომუშავე მუშებს და მათ წარმატებულ ხელმძღვანელებს.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-4 (377-380)

# რატომ იყო სტალინი ხალხის ბელადი

## ბრძოლა ტროცკისტების წინააღმდეგ

სტალინის სიკვდილის (ტერაქტის) შემდეგ ხრუშჩოვმა და მისმა ბანდამ არქივებიდან უამრავი მასალა უკვალოდ გააქრეს, ბევრი კი გაყალბებული და შეთითხნილი დოკუმენტით შეცვალეს, მაგრამ მაინც შეიქნა შესაძლებელი, ფარდა ახდოდა ბევრ საქმეს, რომლებსაც, როგორც ბევრი მკვლევარისთვის, ისე ჩემთვისაც (დილეტანტისთვის) გაუგებარია, რატომ ედო გრიფი „განსაკუთრებით საიდუმლო“, რადგან ამ მასალების ხელმისაწვდომობა წარმოაჩენდა იმ ზომების აუცილებლობას, რომლებიც გატარდა 1936—1938 წლებში.

დღეს სტალინის მოღვაწეობის ყველა მკვლევარმა იცის, რომ ბელადი შვიდი სხვადასხვა უწყებიდან იღებდა ინფორმაციას „ივანოვის“, „ნიჟარაძისა“ და სხვათა სახელზე გამოგზავნილს და თავის საქაღალდეებში აკრავდა.

სტალინისთვის ცნობილი იყო, რომ **ტროცკის** ლენინის მმართველობის პერიოდშიც ჰქონდა კავშირი რაიხსვერის (გერმანიის შეიარაღებული ძალები) მაღალჩინოსნებთან.

ტროცკის მეშვეობით **კრესტინსკი**, რომელიც იმხანად საბჭოთის ელჩის მოვალეობას ასრულებდა, ბერლინში დაუკავშირდა რაიხსვერის სარდალ **ჰანს ფონ სექტს** და მასთან მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა. გერმანიის სამხედრო დაზვერვასთან უფრო დასაახლოებლად, კრესტინსკის რჩევით, ტროცკი მკურნალობის მომიზეზებით, 1927 წელს ბერლინში გაემგზავრა. მან ჩასვლისთანავე კავშირი დაამყარა როგორც შეიარაღებული ძალების, ასევე სამხედრო დაზვერვის წარმომადგენლებთან და მათთან ერთად დაიწყო ფარული კავშირებისა და მუშაობის გეგმების დაზუსტება. ტროცკიმ ისიც განუცხადა მასპინძლებს, როგორ ემზადება **ტუხაჩევსკი** და მისი ჯგუფი სამხედრო გადატრიალების მოსაწყობად. დაგეგმილი მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენების მოსკოვში განვითარებას აღფრთოვანებით შეხვდნენ ბერლინში და ტროცკის შესაბამისი ფინანსური დახმარებაც აღმოუჩინეს, რაც მომავალში უფრო მეტი მოცულობით უნდა გაგრძელებულიყო.

მოსკოვში დაბრუნებული ტროცკი მეტი მონდომებით შეუდგა ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას. წინასწარ მომზადდა 1927 წლის 7 ნოემბერის სამხედრო გადატრიალების შემდეგ აღლუმის გაგრძელების ტუხაჩევსკისეული ვარიანტი. სტალინი იოტისოდენადაც არ ებრალებოდათ იმ ადამიანებს, რომლებსაც რამდენიმე საათის შემდეგ სტალინისა და პოლიტბიუროს წევრების ადგილები უნდა დაეკავებინათ მთავრობის ტრიბუნაზე. მაგრამ ტრიბუნაზე „უდარდელად“ მდგარმა სტალინმა პუტჩი ისე გააუვნებელყო, რომ საბჭოთა მოქალაქეების უმრავლესობისათვის მომხდარის შესახებ მხოლოდ 60 წლის თავზე, არქივების გახსნის შემდეგ, შეიქნა ცნობილი.

დააპატიმრეს და გაასამართლეს პუტჩის ფარული ლიდერები — **ზინოვიევი, კამენევი, პიატაკოვი, რადეკი,** მათი იდეური მამა და ხელმძღვანელი ტროცკი ალმა-ათაში გადაასახლეს. სტალინის ცნობილი ფრაზა: **„დამარცხებული მტერი განადგურებული არ არის“,** სწორედ ტროცკიზეა ზედგამოჭრილი. გადასახლებაში მყოფმა ტროცკიმ არათუ შეწყვიტა ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა, პირიქით — უფრო გააქტიურდა (არ არის გამორიცხული, უცხოელთა შეგულიანებით).

სტალინი იძულებული შეიქნა, 1929 წლის თებერვალში ტროცკი ქვეყნიდან გაესახლებინა. სტალინის ზებუნებრივმა ფიზიკურმა და გონებრივმა ძალამ შიშის ზარი დასცა მსოფლიოს — თანაგრძნობისა და საბჭოეთის სიძულვილის მიუხედავად (ნათქვამია, შიშს დიდი თვალები აქვსო), ევროპის არც ერთმა ქვეყანამ თავშესაფარი არ მისცა ტროცკის და მან უამრავ მცველთან ერთად შორეულ არგენტინას შეაფარა თავი. ქვეყნიდან ტროცკის გაძევების შემდეგ ოპოზიციის ლიდერი გახდა **ბუხარინი**, რომელმაც გააერთიანა საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ მებრძოლი ყველა ოპოზიციური პარტია და ჯგუფი. ოპოზიციის საერთო ხელმძღვანელობა კი კვლავ ტროცკის ჰქონდა მინდობილი.

ტროცკი ოსლოში ცხოვრობდა, როდესაც მან **ვიტოვტ პუტნას** მეშვეობით, რომელიც იმხანად გერმანიაში სამხედრო ატაშე იყო, უბრძანა ზინოვიევს, მოეკლათ კიროვი. ეს საშინელი ტერორისტული აქტი განახორციელეს კიდეც 1934 წლის 1 დეკემბერს. კიროვის მკვლელობამ ისე დააკარგვინა წონასწორობა სტალინს, რომ, როდესაც ის ჩქაროსნული მატარებლით ლენინგრადში ჩავიდა, ქალაქის უშიშროების უფროსს, რომელიც კიროვის მკვლელობაზე მოახსენებდა, მიუახლოვდა და სახეში სილა გააწნა...

პარტიიდან გარიცხულმა და სასტიკად დასჯილმა ოპოზიციამ, რომელიც სამხედრო გადატრიალების მოწყობის მცდელობაში ამხილეს, მოქმედების გეგმა შეცვალა და თვალთმაქცურად მოინდომა ხელისუფლებასთან თანამშრომლობა, პარტიისა და ქვეყნისთვის ერთგულების დასამტკიცებლად პარტიაში აღდგენაც კი მოითხოვეს. მათ „მონანიების“ საფასურად აღიდგინეს პარტიის წევრობა და ფარულად დაიწყეს პარტიულ უჯრედებში ტროცკისტული იდეების პროპაგანდა.

ტროცკის ანტისახელმწიფოებრივი და ანტისტალინური პროპაგანდა მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების უმრავლესობას მოედო. თითქმის ყველა ქვეყანაში შეიქმნა ტრიცკისტული ორგანიზაციები, რომლებიც, თავის მხრივ, დაკავშირებული იყო ცენტრალურ ოფისებთან ოსლოში, ბერლინსა და პარიზში.

1933 წელს საფრანგეთში, ერთ-ერთ ქალაქში, გაიმართა საიდუმლო შეხვედრა ტროცკისა და კრესტინსკის შორის. ეს იყო ორი შეთქმულის საპროგრამო შეხვედრა, რომელზეც განისაზღვრა მოქმედების სტრატეგია და ტაქტიკა. ტროცკი „ბელადად“ და „სწორუპოვარ მთავარსარდლად“ წარუდგა თანამოსაუბრეს და მკაცრად განუსაზღვრა საბჭოთა კავშირსა და უცხოეთში მოქმედი ტროცკისტული ორგანიზაციების უმოკლეს დროში გასატარებელი ღონისძიებები: **„ჩვენი ურთიერთობები უნდა გავაღრმავოთ არა მხოლოდ რაიხსვერთან, არამედ ფაშისტური გერმანიისა და მილიტარისტული იაპონიის მთავრობებთანაც. თუ ჩვენ ვიბრძვით ხელისუფლებისთვის, საჭიროა, რომ იმ მომენტისთვის, როდესაც გერმანია თავს დაესხმება საბჭოთა კავშირს, ყველა ძალა მზად გვყავდეს. აუცილებელია, დასაყრდენი გვქონდეს როგორც ქალაქში, ასევე სოფელშიც წვრილ ბურჟაზიასა და კულაკობასთან. მათზე გავლენა კი, ძირითადად, აქვთ მემარჯვენეებს. აუცილებელია მტკიცე დასაყრდენი წითელ არმიაში მეთაურებს შორის, რათა გაერთიანებული ძალებით საჭირო მომენტში ხელთ ვიგდოთ მნიშვნელოვანი პუნქტები და მოვიდეთ ხელისუფლების სათავეში, შევცვალოთ ამჟამინდელი მთავრობა, რომელიც უნდა დავაპატიმროთ, მის ადგილზე კი ჩვენი წინასწარ მომზადებული მთავრობა დავსვათ“.**

ამ მეტად გაბედულ და დამარწმუნებლად გამოთქმულ დავალებას ტროცკიმ დაუმატა, რომ ის (კრესტინსკი) სამშობლოში დაბრუნებისთანავე უნდა დაკავშირებოდა მის (ტროცკის) უპირველეს მეგობარსა და თანამებრძოლს, საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე ტუხაჩევსკის, დავალება ზუსტად გადაეცა მისთვის და ყოფილიყო მზად ბრძანების მიღებისთანავე სამხედრო მოქმედების დასაწყებად.

ტროცკიმ კრესტინსკის ისიც გაანდო, რომ კავშირი აქვს ევროპის რიგი სახელმწიფოების მთავრობებთან და მათი ხელისუფლებაში მოყვანის ხელშეწყობის გამო განახლებულ საბჭოთა მთავრობას გერმანიისთვის უნდა გადაეცა უკრაინა, ხოლო იაპონიისთვის — შორეული აღმოსავლეთის ზღვისპირეთი.

**1935 წლის ბოლოს ტროცკიმ ოსლოდან წერილი მისწერა რადეკს, რომელშიც დაწვრილებით წერდა „მოკლე ხანში საბჭოეთის დამხობის თაობაზე“. და ეს უნდა მომხდარიყო არაუგვიანეს 1937 წლისა.**

ტროცკი ატყობინებდა რადეკს, რომ გერმანია და იაპონია მოკლე ხანში თავს დაესხმებოდნენ საბჭოთა კავშირს, ხოლო გერმანელებისა და იაპონელების უშუალო მითითებებითა და ტუხაჩევსკის მეთაურობით ადგილებზე აქტიურად დაიწყებოდა აგრესიული მოქმედებები — ტერორისტული აქტები და დივერსიები:

**„ტუხაჩევსკიმ უნდა უზრუნველყოს ომის დაწყებისთანავე საბჭოთა ჯარის ნაწილების ტყვედ ჩაბარების ოპერაცია. ამ შემთხვევაში საბჭოეთის „თიხის ფეხები“ უმალ გადაიმტვრევა და ამით მოხდება ქვეყნის ხელისუფლებაში ჩვენი მოსვლა. ჩვენ მოგვიწევს გერმანიისთვის უკრაინის დათმობა, ხოლო იაპონიისთვის — შორეული აღმოსავლეთის, ამურისპირეთის ჩათვლით. გერმანიას სჭირდება ნედლეული და გასაღების ბაზრები. ამ მიზნით ჩვენ მას უნდა გადავცეთ რკინის, ალუმინის, სპილენძის, მარგანეცის, ტყვიის, ოქროს, აპატიტების საბადოები; მივაწოდოთ საკვები პროდუქტები და ცხიმები დაბალ ფასში. იაპონიას უნდა დავუთმოთ**



**«ჩვენ რუსეთი უნდა გადავაქციოთ თეთრი ზანგებით დასახლებულ უდაბნოდ, რომელსაც თავს ისეთ ტირანიას მოვახვევთ, როგორიც არ დასიზმრებიათ აღმოსავლეთის ყველაზე საშინელ დესპოტებს. ჩვენ სისხლის ისეთ ნაკადებს დავღვრით, რომელთა წინაშე შეძრწუნდება და გაუფერულდება კაპიტალისტური ომების ყველა ადამიანური დანაკარგი»**


ЦЕНТРАЛЬНЫЙ КОМИТЕТ.

ეს არის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის — იოსებ სტალინის მიერ 1924 წლის 20 აპრილს, ლენინის გარდაცვალებიდან 3 თვის შემდეგ, გამოცემული დადგენილება, რომელშიც ლაპარაკია ადგილობრივი სასამართლოებისთვის პოლიტიკურ საქმეებში სასჯელის უმაღლესი ზომის გამოყენების აკრძალვაზე, ანუ სტალინი მოსამართლეებს ავალდებულებდა, პოლიტიკურ საკითხებში ბრალდებულების მიმართ ჰუმანურობა გამოეჩინათ.


აარონ სიმანოვიჩი

**სტალინი იძულებული შეიქნა, 1929 წლის თებერვალში ტროცკი ქვეყნიდან გაესახლებინა. სტალინის ზებუნებრივმა ფიზიკურმა და გონებრივმა ძალამ შიშის ზარი დასცა მსოფლიოს — თანაგრძნობისა და საბჭოეთის სიძულვილის მიუხედავად (ნათქვამია, შიშს დიდი თვალები აქვსო), ევროპის არც ერთმა ქვეყანამ თავშესაფარი არ მისცა ტროცკის და მან უამრავ მცველთან ერთად შორეულ არგენტინას შეაფარა თავი. ქვეყნიდან ტროცკის გაძევების შემდეგ, ოპოზიციის ლიდერი გახდა ბუხარინი... საერთო ხელმძღვანელობა კი კვლავ ტროცკის ჰქონდა მინდობილი.**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ სახალინის ნავთობსაბადოები, ამასთანავე, მივცეთ გარანტია, რომ ამერიკასთან ომში ჩაბმის შემთხვევაში უზრუნველვყოფთ ნავთობპროდუქტებით. გერმანია-იაპონიის სამხედრო ალიანსი მხოლოდ ამ პირობების შესრულების შემთხვევაში მოიყვანს ჩვენს ბლოკს რუსეთის ხელისუფლების სათავეში“.**

ეს კი ამონარიდია გრიგოლ რასპუტინის პირადი მდივნის — **აარონ სიმანოვიჩის** „მოგონებებიდან“:

„ჩვენ რუსეთი უნდა გადავაქციოთ თეთრი ზანგებით დასახლებულ უდაბნოდ, რომელსაც თავს ისეთ ტირანიას მოვახვევთ, როგორიც არ დასიზმრებიათ აღმოსავლეთის ყველაზე საშინელ დესპოტებს. ჩვენ სისხლის ისეთ ნაკადებს დავღვრით, რომელთა წინაშე შეძრწუნდება და გაუფერულდება კაპიტალისტური ომების ყველა ადამიანური დანაკარგი. ოკეანისგაღმელი ბანკირები ჩვენთან მჭიდროდ ითანამშრომლებენ. თუ ჩვენ გავიმარჯვებთ, განვამტკიცებთ სიონისტურ ხელისუფლებას და ისეთ ძალად ვიქცევით, რომლის წინაშეც მსოფლიო მუხლებზე დაიჩოქებს. ჩვენ ვაჩვენებთ, რა არის ნამდვილი ხელისუფლება. ტერორის სისხლიანი აბანოების გზით ჩვენ მივიყვანთ რუს ინტელიგენციას სრულ დაჩლუნგებამდე, იდიოტიზმამდე, ცხოველურ მდგომარეობამდე... ჯერჯერობით კი ჩვენი ყმაწვილები (ტყავისქურთუკიანი ოდესელი და ორშელი, გომელელი და ვინიცელი ყმაწვილები), მესაათეთა შვილები თავიანთ დროს ელიან და... ო, რა მშვენივრად, რა დიდებულად სძულთ მათ ყველაფერი რუსული! როგორი განცხრომით მოსპობენ ისინი ფიზიკურად რუს ინტელიგენციას — ოფიცრებს, ინჟინრებს, მოსწავლეებს, ღვთისმსახურებს, გენერლებს, აკადემიკოსებს, მწერლებს“.

ტროცკის თავხედობას საზღვარი არ ჰქონდა, იგი დაუფარავად გაჰკიოდა, რომ ბევრი მხარდამჭერი ჰყავს, როგორც საბჭოეთში, ასევე სრულიად მსოფლიოში. ტროცკი 1936 წელს გამოცემულ წიგნში წერს თავის ფარულ არმიაზე, რომელსაც სტალინისა და საბჭოეთის წინააღმდეგ უნდა ებრძოლა. წიგნში ასევე განმარტებულია, რატომ არიან ტროცკისტები ასე ფეხმოკიდებული წითელ არმიაში, რომელიც ტროცკის დაკომპლექტებული იყო პროფესიონალი კადრებით და მას ხუთი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა, როგორც სახალხო კომისარი. წითელი არმიის ძირითად ნაწილს კი, რომელიც წინააღმდეგი იყო საბჭოთა ხელისუფლებისა და პირადად სტალინის, სათავეში ედგა მხედართმთავარი ტუხაჩევსკი.

ტროცკი თავის წიგნში ნაწილობრივ სიმართლესაც წერდა. მან ფარდ? აჰხადა იმ მებრძოლ რაზმს, რომელიც ქვეყნისა და ხელისუფლების წინააღმდეგ არ ზოგავდა ძალებს და არ ერიდებოდა უცხოეთის დაზვერვასთან აშკარა თანამშრომლობასაც კი.

საზღვარგარეთ მყოფი ტროცკისა და მისი მხარდამჭერების აქტიური მოქმედებით მძლავრად ამუშავდა კარგად ორგანიზებული „მეხუთე კოლონა“. ქვეყანაში გახშირდა ტერორისტული აქტები, საბოტაჟ, ჯაშუშობა, ინდივიდუალური და ჯგუფური მკვლელობები; აფეთქებდნენ შახტებს, წვავდნენ პურის საწყობებს, ხრამში ჩეხავდნენ ადამიანებითა და საქონლით სავსე სარკინიგზო ეშელონებს. მწყობრიდან გამოჰყავდათ ძვირად ღირებული მანქანადანადგარები, აფეთქებდნენ ჰიდროსადგურებს და სარწყავ სისტემებს, ცოცხლად მარხავდნენ და ცეცხლში წვავდნენ სოფლად და ქალაქად საბჭოთა საწარმოებში აქტიურად მომუშავე მუშებსა და მათ წარმატებულ ხელმძღვანელებს.

ადამიანები პანიკამ მოიცვა, ამასთანავე, ხალხი ომის მოახლოებასაც განიცდიდა. ქვეყანა ქაოსსა და უდისციპლინობაში იძირებოდა. ხალხის წინაშე იდგა ორი საკითხი: ან რუსეთის აყვავების სტალინური გეგმა, ან ტროცკი უმძიმესი და საშინელი მომავლით. ქვეყანა დადგა ურთულესი არჩევანის წინაშე. სტალინს სიმკაცრე და გამბედაობა არც მანამდე აკლდა, მაგრამ კატასტროფამდე მისული ქვეყნისა და ხალხის წინაშე ის მაინც თავს დამნაშავედ გრძნობდა მეტისმეტი ლოიალურობის გამოჩენის გამო. მას კარგად ახსოვდა სოფლის მეურნეობის სახალხო კომისრის — **ივანე ბენედიქტოვის** მიერ პოლიტბიუროს სხდომაზე ნათქვამი სიტყვები: „ლენინის მთავრობაში ყველაზე ლოიალური სტალინია“. ეს ბევრი მებრძოლი კომუნისტისთვის მიუღებელიც კი იყო. **სტალინი აცნობიერებდა, რომ ოპოზიციას ბევრჯერ მოექცა ლოიალურად და დაუთმო, რამაც ქვეყანა ქაოსამდე მიიყვანა. სტალინი ქვეყნის მტრებს მორალურად ანადგურებდა, მაგრამ ფიზიკურ ანგარიშსწორებაზე არასდროს გადასულა. იგი XX საუკუნის 20—30-იანი წლების დემოკრატიის შემოქმედი გახლდათ.**



**რადგან ბრალდებულები დაკითხვისას მამხილებელი დოკუმენტების საშუალებით მიიყვანეს აღიარებამდე, რომელთა ნაწილი დღესაც გასაიდუმლოებულია, სასამართლო პროცესზე, რომელიც 1936 წლის 19 აგვისტოს გაიმართა, თავის მართლება არავის უცდია. ზინოვიევსა და კამენევთან ერთად, სასამართლოს წინაშე წარდგა კიდევ თოთხმეტი ტროცკისტი, რომლებიც მათივე საიდუმლო მიმოწერების საფუძველზე ცნობილი იქნენ გერმანიის აგენტებად**



სასამართლოს შენობის წინ

## ხალხის წინაშე იდგა ორი საკითხი: ან რუსეთის აყვავების სტალინური გეგმა, ან ტროცკი უმძიმესი და საშინელი მომავლით

იმხანად ბევრი რუსი პატრიოტი დაუფარავად მიმართავდა პოლიტბიუროს და ხალხს, რომ ტროცკისტები არა მხოლოდ იდეოლოგიურად, არამედ ფიზიკურად უნდა განადგურებულიყვნენ ჯერ კიდევ 10 წლის წინათ (ესე იგი, 1927 წლის პირველი სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის შემდეგ. — გრ. ონიანი). და, როგორც ყველა ადამიანს, ალბათ, სტალინსაც ჰქონდა მოთმინების ფიალა, რომელიც ერთხელაც აივსებოდა.

**კიროვის მკვლელობის ძიების საბოლოო შედეგებმა ცხადყო, რომ საბჭოეთი სასიკვდილო სარეცელზე იწვა. თუ აქამდე სტალინი უფლებას არ აძლევდა საგამოძიებო ორგანოებს, ჩარეულიყვნენ პარტიის საქმიანობაში, ამჯერად პრინციპულად მოითხოვა ყველას შემოწმება.**

ამის აშკარა მაგალითია **სერგო ორჯონიკიძის** ბინაში ჩეკისტების გამოცხადება და ბინის გაჩხრეკა. სერგო კრემლის ტელეფონით დაუყონებლივ დაუკავშირდა სტალინს და აღშფოთებულმა მიმართა:

— კობა, რაშია საქმე, ჩემს სახლს ჩეკისტები ჩხრეკენ.

სტალინმა დინჯად უპასუხა:

— არაფერია, სერგო, ისეთი ხალხია, მალე, ალბათ, ჩემს ბინასაც გაჩხრეკენ.

ამბობენ, ჩეკისტები ისევ ორჯონიკიძის ბინაში იყვნენ, როდესაც მეორე ოთახიდან გასროლის ხმა გაისმა.

ამას მოჰყვა ზინოვიევისა და კამენევის დაპატიმრება, რამაც სათავე დაუდო იმ უბედურების გორგლის ამოხვევას, რომელიც თითქმის სამი წლის განმავლობაში გრძელდებოდა. ზინოვიევისა და კამენევის წინააღმდეგ მოპოვებულმა უტყუარმა სამხილებმა, რომელთაგან ზოგს დღესაც ადევს გრიფი „განსაკუთრებით საიდუმლო“, გამოააშკარავა ტროცკისტული მოძრაობის შიგა სამზარეულო. სწორედ ჯადოსნურ სარკეში ჩახედვის ტოლფასი იყო ზინოვიევ-რადეკის სასამართლო პროცესი, რომელსაც მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩამოსული მასმედიის, მწერლობისა და იურისპრუდენციის საუკეთესო წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

**რადგან ბრალდებულები დაკითხვისას მამხილებელი დოკუმენტების საშუალებით მიიყვანეს აღიარებამდე, რომელთა ნაწილი დღესაც გასაიდუმლოებულია, სასამართლო პროცესზე, რომელიც 1936 წლის 19 აგვისტოს გაიმართა, თავის მართლება არავის უცდია. ზინოვიევსა და კამენევთან ერთად, სასამართლოს წინაშე წარდგა კიდევ თოთხმეტი ტროცკისტი, რომლებიც მათივე საიდუმლო მიმოწერების საფუძველზე ცნობილი იქნენ გერმანიის აგენტებად.**

სასამართლოს თავმჯდომარეობდა იუსტიციის პირველი რანგის კომისარი **ვასილ ულრიხი,** ბრალმდებლად გამოდიოდა საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორი **ანდრეი ვიშინსკი.**

განსასჯელებს წაყენებული ჰქონდათ შემდეგი ბრალდებები:

**პირველი** — გაერთიანებული ტროცკისტულ-ზინოვიევური ცენტრის ორგანიზება საბჭოთა მთავრობისა და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელთა მკვლელობის მიზნით;

**მეორე** — კიროვის მუხანათური მკვლელობა 1934 წლის 1 დეკემბერს;

**მესამე** — მთელი რიგი ტერორისტული ჯგუფების მომზადება **სტალინის, ვოროშილოვის, მოლოტოვის, ჟდანოვის, კაგანოვიჩის, ორჯონიკიძისა** და სხვათა მკვლელობის მიზნით.

ყველა ბრალდებულმა აღიარა დანაშაული. სასამართლო პროცესმა დამნაშავეობის იმაზე უფრო დიდი მასშტაბი გამოკვეთა, ვიდრე სტალინი ფიქრობდა.

პროცესზე დაიკითხა გერმანელი ტროცკისტი **ოლბერგი**, გერმანიის არმიის მაღალჩინოსანი, რომელიც საბჭოთა კავშირში ტროცკიმ შემოგზავნა.

**ვიშინსკი:** — გერმანელი ტროცკისტების კავშირი გესტაპოსთან სისტემური იყო?

**ოლბერგი:** — კი. და ეს იყო ტროცკის მითითებით.

**ვიშინსკი:** — საიდან იცით, რომ ეს იყო ტროცკის მითითება?

**ოლბერგი:** — იმ ხაზთაგან ერთ-ერთი პირადად ჩემი იყო, ჩემი კავშირი თვით ტროცკისგან იყო სანქცირებული.

**ვიშინსკი:** — თქვენი პირადი კავშირი ვისთან?

**ოლბერგი:** — ფაშისტურ საიდუმლო პოლიციასთან.

**ვიშინსკი:** — ესე იგი, თქვენ აღიარებთ, რომ პირადად იყავით კავშირში გესტაპოსთან?

**ოლბერგი:** — მე ამას არ უარვყოფ. 1933 წლიდან დაიწყო გერმანელი ტროცკისტებისა და ფაშისტური პოლიციის მაღალჩინოსნების ორგანიზებული შეხვედრები.

ტროცკის ემისარმა **ნათან ლურიემ** სასამართლოს შემდეგი ჩვენება მისცა:

— გერმანიიდან გამომგზავრებისას გამომიცხადეს, რომ ვიმუშავებდი **ფრანც ვაიცის** ხელმძღვანელობით, რომელიც საბჭოთა კავშირში შეგზავნილი იყო **ჰიმლერის** მიერ და რომელსაც დავალებული ჰქონდა ტერორისტული აქტების მოწყობა.

სანამ ნათან ლურიე თავის ჩვენებას დაასრულებდა, დაკითხვაში **კამენევის** მოულოდნელმა შეჭრამ და ახალი ფაქტების დასახელებამ გადაფარა ყველაფერი.

კამენევმა განაცხადა:

— ჩავარდნის შემთხვევაში, ჩვენ შევქმნიდით ვიწრო ჯგუფს, რომელიც განაგრძობდა ტერორისტულ საქმიანობას, მის ხელმძღვანელად კი **სოკოლნიკოვს** განვიხილავდით. ჩვენ გვეჩვენებოდა, რომ ტროცკისტების მხრიდან ამ როლის შესრულებას წარმატებით გაართმევდნენ თავს **სერებრიაკოვი** და **რადეკი**... 1932—34 წლებში პირადი ურთიერთობები მქონდა **ტომსკისა** და **ბუხარინთან**, ვეცნობოდი მათ პოლიტიკურ განწყობილებებს. ისინი ჩვენ თანაგვიგრძნობდნენ. როდესაც ტომსკის შევეკითხე, როგორაა განწყობილი რიკოვი-მეთქი, მიპასუხა: „ისევე, როგორც მე“. ჩემს შეკითხვაზე, თუ რას ფიქრობს ბუხარინი, ტომსკიმ მითხრა: „ბუხარინი ფიქრობს იმასვე, რასაც მე, მაგრამ მოქმედებს განსხვავებული ტაქტიკით — არ ეთანხმება რა პარტიის მოსაზრებებს, ცდილობს თავის დამკვიდრებას მის რიგებში ხელმძღვანელობის ნდობის მოსაპოვებლად“.

**(გაგრძელება იქნება)**

**P.S.** **მასალა მომზადებული და რედაქციაში გაგზავნილი მქონდა, როდესაც ერთ-ერთ გაზეთში არასერიოზული წერილი წავიკითხე სტალინის მასონობაზე. ეს წერილი ისეთი არასერიოზულია, რომ მასზე სერიოზული პასუხის გაცემას ნამდვილად არასერიოზულად ჩამითვლიან.**

**სახალხო პოეტო, „არ გეკადრება, არ გეკადრება“!**

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მსოფლიოში ჰომოსექსუალიზმის გავრცელების იდეას არც მალავდა აშშ-ის ხელისუფლება (ხელისუფლების სათავეში დონალდ ტრამპის მოსვლამდე, აშშ-ის პირველი პირები, მათ შორის, ბარაკ ობამა, ჯონ კერი და სხვები, ამერიკაში ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინების ლეგალიზების შემდეგ მსოფლიოს ყველა ქვეყანას დაემუქრნენ, სოდომია თქვენთანაც უნდა დააკანონოთო). ყველაფერი, რაც სიმდაბლეა, ვრცელდება, როგორც ჭირი, როგორც კიბოს მეტასტაზები ორგანიზმში. უარყოფილია ზნეობის ყველა პრინციპი, ქრისტიანული დოგმები, წესიერება, ტრადიციული ოჯახი.**

# «სოდომი»

## — შემაძრწუნებელი ფილმი, რომელიც განგაშის ზარებს არისხებს




**ბიბლიაში ნათქვამია, რომ საუკუნეების წინათ იქ, სადაც ახლა მკვდარი ზღვაა, მდებარეობდა ორი ქალაქი — სოდომი და გომორა. ამ ქალაქებში მდიდარი, პატივმოყვარე, ხარბი, ცოდვილი ადამიანები ცხოვრობდნენ. ისინი უცერემონიოდ ეპყრობოდნენ მოსულებს — სცემდნენ და ართმევდნენ ქონებას, ეწეოდნენ გარყვნილებას: მამაკაცს მამაკაცთან ჰქონდა სექსუალური ურთიერთობა, ქალს — ქალთან, ზოგიერთს კი — ბავშვებთან. დღეს ასეთებს პედოფილებს უწოდებენ... ხომ არაფერი გეცნობათ? სწორედ ასეთია ამჟამად მსოფლიო. რა დაემართათ ადამიანებს? რატომ სცოდავენ ასე ხშირად? რით არის დაკავებული ადამიანური ურთიერთობების ტავისტოკის ინსტიტუტი დიდ ბრიტანეთში? რისთვის სჭირდებათ გეებს შვილები? როგორია ე.წ. ფერადი რევოლუციის თანამდევი უარყოფითი ეფექტები? — სწორედ ამ კითხვებზე პასუხის გაცემას შეეცადა რუსი ტელეჟურნალისტი და ტელეწამყვანი არკადი მამონტოვი დოკუმენტურ ფილმში „სოდომი".**

**რეალობა, რომელიც ნაჩვენებია ფილმში, შეგაძრწუნებთ, შეგაძრწუნებთ იმიტომ, რომ რეალობაა. ფილმის შემქმნელებს არაფერი შეუთხზავთ: დაუფარავად ლაპარაკობენ ე.წ. ბოიფრენდები, რომლებმაც ბიჭუნა იშვილეს; დირექტორი კლინიკისა, რომელშიც აწარმოებენ ბავშვებს „შეკვეთით"; ფილმში ნაჩვენებია კონტეინერი-მაცივარი ემბრიონებით. ლუთერანი ჰომოსექსუალი პასტორი კი ამბობს, რომ მოციქული პავლე შეცდა, როდესაც ჰომოსექსუალიზმს ცოდვა უწოდა.**

**მაგრამ იქვე ისმის სხვა მოსაზრებებიც. მრავალშვილიანი ოჯახები გვიზიარებენ ოჯახური ცხოვრებით გამოწვეულ სიხარულს. პროფესიონალი ფლორისტი ამბობს, რომ უარი თქვა, მომსახურებოდა ერთნაირსქესიანებს ქორწილში, რადგან ეს მის სინდისსა და მსოფლმხედველობას ეწინააღმდეგება. თავის ისტორიას ყვება ახალგაზრდა მამაკაცი, რომელიც ჰომოსექსუალური ვნებისგან ქრისტეს რწმენამ განკურნა.**

**ფილმი „სოდომი", რომელიც რამდენიმე ენაზე ითარგმნა და მსოფლიოში გავრცელდა, არის შოკი, ეს არის ჩხვლეტა, რომელიც საზოგადოებას გამოფხიზლებისკენ მოუწოდებს. ფილმში ნაჩვენებია, როგორ უწევენ პროპაგანდასა და პოპულარიზაციას სოდომიას...**

**ფილმი ბევრ ადამიანზე იმოქმედებს დამთრგუნველად, რადგან მასში მართლაც საშინელებებზეა ლაპარაკი:**

**ადამიანის ხელოვნურ სელექციასა და ამ სფეროში მეცნიერების „მიღწევებზე", სუროგატულ „დედობაზე", ინფანტოფილიაზე (ახალშობილების მიმართ ძალადობაზე), ბავშვებით ვაჭრობასა და დედის შეცვლაზე „ბიოლოგიური კონტეინერით"; იმაზეც, როგორ აუპატიურებდნენ რეზინის ხელკეტებით სამხედრო ტყვეებსა და პატიმრებს აშშ-ის საპყრობილეებსა და ამ ე.წ. მსოფლიოს ჰეგემონის (უკვე ყოფილის) კონტროლს დაქვემდებარებულ სახელმწიფოებში, მათ შორის, საქართველოში, უკრაინაში, ერაყში, და ეს ხდებოდა იმიტომ, რომ გაეტეხათ ადამიანების ფსიქიკა; იმაზეც, რომ სოდომიის სენი გეომეტრიული პროგრესიით ვრცელდებოდა მსოფლიოში.**

**ეს ფილმი განგაშის ზარების დარისხებაა. და არა იმიტომ, რომ პანიკა დათესოს, არამედ იმიტომ, რომ ადამიანებმა იცოდნენ, რომ ჩვენს ცხოვრებაში ასეთი რაღაცებიც ხდება. აქ სულშიჩამწვდომად ისმის პავლე მოციქულის სიტყვები: „ნუ შეეცდებით, ღმერთს ვერ შეურაცხყოფთ, რადგან, ვინც რას დათესავს, მასვე მოიმკის"** ***(გალატ. 6;7).***

**გთავაზობთ ფილმ „სოდომის" ტექსტურ ვერსიას:**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №2-3 (378-379)

### „მშობელი №1" და „მშობელი №2"

ახალი სოდომის შენება სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. ადამიანებს შთააგონებენ, რომ ოჯახი — ეს არის რაღაც ინკუბატორი, ხოლო ცნებები — „დედა" და „მამა" უკვე მოძველდა. მაგალითად, ქალაქ მილანის (იტალია) განათლების დეპარტამენტმა დაამტკიცა სასკოლო ანკეტა, რომლის შევსებისას ვალდებული ხართ, შესაბამის გრაფაში ჩაწეროთ „მშობელი №1" და „მშობელი №2".

**ბარბარა ბიანკიმ, მილანის მუნიციპალიტეტის თანამშრომელმა,** გააპროტესტა ეს გადაწყვეტილება: ანკეტაში გადახაზა წარწერები — „მშობელი №1" და „მშობელი №2".

**ბარბარა ბიანკი:** — ვამაყობ, რომ დედა ვარ და არა „მშობელი №1". ეს ანკეტა დაბეჭდეს ე.წ. ახალი ოჯახებისთვის, რომლებშიც მშობლები ჰომოსექსუალები არიან და რომლებშიც შეიძლება იყოს ორი დედა ან ორი მამა, ამით დისკრიმინაციას განიცდიან ნორმალური ადამიანები, რომლებიც დღეს უმრავლესობაა. გეების ოჯახებს კი, რომლებიც ბევრნი არ არიან, უპირატესობას ანიჭებენ, არადა, მართლაც უმცირესობას წარმოადგენენ".

**ერთი მამა, ერთი დედა — სწორედ ეს არის ნამდვილი თავისუფლება. მრავალათასიანმა დემონსტრაციამ იტალიის დედაქალაქის ქუჩები გაავსო. ეს ადამიანები გამოვიდნენ სოდომიის წინააღმდეგ, რომელიც მსოფლიოს წალეკვით ემუქრება.**

„ჩვენ ოჯახისა და ფასეულობების ნგრევის ზღურბლზე ვართ. ეს დასასრულია!" — ამბობს აქციის ერთ-ერთი მონაწილე.

საპროტესტო მარშის მონაწილეა იტალიელი მრავალშვილიანი ოჯახი. ესმერალდასა და მის ქმარს, რობერტოს, 11 შვილი ჰყავთ. ოჯახი ყოველწლიურად უერთდება მარშს სიცოცხლისთვის.

„ეს სამზარეულოა. დღეს სტუმრები გვეყოლება. ვცდილობთ, მოვასწროთ და სტუმრებს კერძი ცხელი მივართვათ", — ამბობს **ესმერალდა ბურგოსი, მრავალშვილიანი დედა.**




ჰომოსექსუალების საწინააღმდეგო აქცია რომში

ისინი საოცრად ლამაზი და მიმზიდველი ადამიანები არიან, აღზრდილნი ძველი იტალიური ტრადიციების მიხედვით. ოჯახი ქრისტიანულია.

**ესმერალდა ბურგოსი:** — ეს ადამიანები, როდესაც ხელოვნურ ოჯახებს ქმნიან, უნდა დაფიქრდნენ. ისინი თავს წარმოაჩენენ ბედნიერ ადამიანებად, ბავშვით, რომელიც გაჩნდა სხვადასხვა ტექნოლოგიით, სუროგატული დედით და ა.შ., მაგრამ, ეს ბავშვი რომ გაჩნდეს, აუცილებელია, სხვა ბავშვები — ემბრიონები — განადგურდნენ. ხომ შეიძლებოდა, მათაც ეცოცხლათ?! ეს არაბუნებრივი პროცესია.

**პატრიცია, ესმერალდა ბურგოსის შვილი:** — ჩვენი წინა თაობა მიისწრაფვოდა, ცხოვრებაში დაენერგა განქორწინებები, აბორტები. მე არ ვადანაშაულებ ჩემს თაობას, მაგრამ ვადანაშაულებ მათ, ვინც უფროსია; იმ საზოგადოებას, რომელიც არ იბრძვის კაცობრიობის გადასარჩენად. უნდა გამოვიჩინო თუ არა ტოლერანტობა? პატივი უნდა ვცე თუ არა ასეთ კანონებს? — არა! იმიტომ, რომ ვერ ვხედავ ჩემს მომავალს!"




მილანის განათლების დეპარტამენტის მიერ დამტკიცებული ანკეტა

დედამიწის სხვა კუთხეში, ამერიკის შეერთებულ შტატებში კი **ბარონელა შტუცმანმა** უარი თქვა ჰომოსექსუალების მომსახურებაზე ქორწილში. ეს ასაკოვანი ამერიკელი ქალი ნიჭიერი ფლორისტია.

ბარონელას ძველმა კლიენტმა, ვინმე **რობ ინგერსონმა,** რომელსაც სხვა სოდომისტზე უნდა ექორწინა, ქორწილის გალამაზება შეუკვეთა. ბარონელამ ცივი უარი სტკიცა.



ბარონელა შტუცმანი

**ბარონელა შტუცმანი, ყვავილების მაღაზიის მეპატრონე ვაშინგტონში:** — გამიძნელდა გარკვევა, რომელი არჩევანი იყო სწორი. რჩევისთვის მივმართე ჩემს მეუღლეს და, მიუხედავად რობისადმი ჩემი პატივისცემისა, ვერ შევძელი ამ საქმეში მონაწილეობა.



ბარბარა ბიანკი

ანკეტა

**კრისტენ ვეგონერი, ბარონელა შტუცმანის ადვოკატი:** — მთავარი პროკურორის მოქმედება ამ შემთხვევაში უპრეცედენტოა ვაშინგტონის შტატისთვის. მთავარ პროკურორს წარსულში ასეთი პოზიცია არასოდეს დაუკავებია. ახლა თავი წამოყო სამოქალაქო უფლებების დაცვის ამერიკულმა კავშირმა, ერთნაირსქესიანმა წყვილმაც უჩივლა სასამართლოში ბარონელას. მას არა მხოლოდ ბიზნესს ედავებიან, არამედ საკუთრებას, პირად ქონებას — სახლს.

**ბარონელამ, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლების განმავლობაში სიყვარულითა და პატივისცემით ემსახურებოდა თავის კლიენტებს, მხოლოდ იმიტომ, რომ არ სურს ერთნაირსქესიანთა ქორწილის ყვავილებით მორთვა-გაფორმება, შეიძლება დაკარგოს თავისი სახლიც და ბიზნესიც.**

**ბარონელა შტუცმანი:** — ქორწინება წმინდა კავშირია. თუ ყვავილები გსურთ იუბილისთვის, დაბადების დღისთვის — კი ბატონო, მაგრამ მე, უბრალოდ, არ შემიძლია, მოვემსახურო ერთნაირსქესიანთა ქორწილს".

**კრისტენ ვეგონერი:** — ირგვლივ უამრავი ფლორისტია, თუ მიმოვიხედავთ, დავინახავთ, რომ, სულ ცოტა, სამი ობიექტია, რომლებიც მზად არის ასეთ წყვილებს მოემსახუროს.

**ბარონელა შტუცმანი:** — მწამს, რომ ღმერთი დამიფარავს და მომცემს ცოდნას, სიბრძნეს, ძალას, რათა დავიცვა ჩემი პოზიცია. მომცემს შესაძლებლობას, გავაცნობიერო, რა არის მოკ- ▶

**მადონა პირველი სიმღერებიდანვე ცდილობდა, ჩაენერგა საზოგადოებაში წინააღმდეგობრივი ტენდენციები: აჩვენებდა, რომ შეიძლება იყო მორწმუნე და, ამასთანავე, მოიქცე ვულგარულად; შეიძლება მოიხმარო ნარკოტიკი, სექსი გქონდეს, ვისთანაც მოგესურვება, შემდეგ კი დემონსტრაციულად ილოცო და თავი წარმოაჩინო უმანკოდ; შეიძლება გწამდეს ღმერთის და დაიცვა ეკლესიის დოგმატები, მაგრამ იცხოვრო ამორალურად.**

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უზნეობა დემოტრაკიის სახელით

## რას გვასწავლის ლუიზა ჩიკონეს სიმღერები

**უხამსობის, ნარკოტიკებისა და გარყვნილების პროპაგანდა დღეს ვარსკვლავურ ოლიმპოზე ასული ბევრი შემსრულებლის კომპოზიციაშია. ეს არის ანარეკლი იმ რეალური, ოღონდ არააფიშირებული, მიზნებისა, რომლებამდე მისაღწევადაც მუშაობენ მუსიკალური პრემიების თანამედროვე ინსტიტუტები.**

**მადონა (ლუიზა ჩიკონე)** ერთ-ერთია იმ პიროვნებებს შორის, რომლებსაც მედია ყველაზე ხშირად მოიხსენიებს. მომღერლის ანგარიშზე MTV Video Music Awards-ის სტატუეტის სარეკორდო რაოდენობაა — 20, აგრეთვე, „გრემის" 7 პრემია და სხვა უამრავი ჯილდო. მისი წარმატების ისტორია სამაგალითოა ბევრი წამყვანი და უკვე პოპულარული ზოგი შემსრულებლისთვის. მაგრამ საინტერესოა, რატომ, რისთვის უყვართ ეს მომღერალი დასავლეთში და არამხოლოდ დასავლეთში; რატომ არ არქმევენ საგნებს თავის სახელს მუსიკალური პრემიების ინსტიტუტები და კრიტიკოსები, რომლებიც ამ მომღერლის შემოქმედების მიზნების შეფასებისას ცდილობენ, ბუნდოვანი ფორმულირებები გამოიყენონ.

მადონას მოღვაწეობის სფერო სულაც არ არის შემოსაზღვრული მხოლოდ ამ დესტრუქციული ქცევებითა და პროგრამებით, რომლებიც თანამედროვე შოუბიზნესში თავის დასამკვიდრებლად საჭირო ბილეთია.

იმ ძირითადი იდეის გასაგებად, რომელსაც მადონას დახმარებით, აგერ უკვე 30 წელზე მეტია, წარმატებით ახვევენ თავს საზოგადოებრიობას, საკმარისია, გავაანალიზოთ ამ მომღერლის შემოქმედება და ყურადღება მივაქციოთ ორ ტენდენციას, რომლებმაც მისი სახე და ამპლუა ჩამოაყალიბა. ესენია: **მოჩვენებითი რელიგიურობა და საჩვენებელი უზნეობა.**

**მადონა პირველი სიმღერებიდანვე ცდილობდა, ჩაენერგა საზოგადოებაში ეს წინააღმდეგობრივი ტენდენციები: აჩვენებდა, რომ შეიძლება იყო მორწმუნე და, ამასთანავე, მოიქცე ვულგარულად; შეიძლება მოიხმარო ნარკოტიკი, სექსი გქონდეს, ვისთანაც მოგესურვება, შემდეგ კი დემონსტრაციულად ილოცო და თავი წარმოაჩინო უმანკოდ; შეიძლება გწამდეს ღმერთის და დაიცვა ეკლესიის დოგმატები, მაგრამ იცხოვრო ამორალურად.**

სწორედ ასეთია მადონას გზავნილი საზოგადოებისადმი და მისი გარეგნობაც. ლუიზა ჩიკონეს პოპულარიზაციით მასების ცნობიერებაში სახე ქალწული მარიამისა, რომელიც ქრისტიანობაშიც და ისლამშიც სიწმინდისა და სისუფთავის სიმბოლოა, შეცვალეს მადონას, გარყვნილი მეძავის, სახით.

დღეს უკვე ნიღაბი ჩამოგლეჯილია. **მადონა თავის ბოლო ალბომში ხოტბას ასხამს ილუმინატებს, ახალ მსოფლიო წესრიგს და ჯვარზე ცეკვავს მონაზვნებთან ერთად. აი ამისთვის იღებს ის ახალ-ახალ ჯილდოებს. ეს ურტყამს არა მხოლოდ ქრისტიანებსა და მუსლიმანებს, რომლებიც 30 წლის განმავლობაში წინ ვერ აღუდგნენ აშკარა საინფორმაციო აგრესიას, არამედ, საერთოდ, ყველა ადამიანს, რომლებიც ზნეობის პრინციპების დაცვას ცდილობენ.**

მადონასა და მისი მსგავსი შემსრულებლების წყალობით, ზნეობრივ დეგრადაციას განიცდის მილიონობით ადამიანი, როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში. მათ შორის არიან მორწმუნეებიცა და ათეისტებიც, მაგრამ ყველა, ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად, მიდის იმ „ღმერთისკენ", რომელსაც დღეს უმღერის ეს ქალბატონი.

მადონას შემოქმედება მიმართულია:

*** უხამსობისა და ავხორცობის პროპაგანდისკენ;**

*** ნარკოტიკების პროპაგანდისკენ;**

*** გარყვნილების პროპაგანდისკენ;**

*** სატანიზმის პროპაგანდისკენ.**

ყოველთვის, როცა ელექტრონულ მასმედიაში წააწყდებით მადონას ახალ ტრეკს ან მორიგ დადებით სტატიას მის შემოქმედებაზე, გახსოვდეთ, ამ მედიასაშუალების მფლობელებს სამიზნეში ჰყავხართ ამოღებული თქვენ და თქვენი შვილები...
















ჰილარი კლინტონი მოხსენებით გამოდის ჟენევაში

◀რძალება და რას ნიშნავს, ემსახურებოდე ქრისტეს. გულხელდაკრეფილი ჯდომა არ შეიძლება.

### სექსგანათლების გაკვეთილები

გერმანიის კანონების მიხედვით, თუ თქვენ, მშობელი, შვილს აუკრძალავთ სექსგანათლების გაკვეთილზე დასწრებას, შეიძლება ციხეში ამოჰყოთ თავი.

**ევგენი მარტენსმა** 24 საათი გაატარა პოლიციის განყოფილებაში. როდესაც განყოფილება დატოვა, გარეთ მხარდამჭერების მანიფესტაცია დახვდა, მათ პატივი მიაგეს მარტენსს, როგორც გმირს. რა თქმა უნდა, პოლიციის განყოფილებაში 24 საათის გატარება ხანგრძლივი პატიმრობა არ არის, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. დღეს — 24 საათი, 5 წლის შემდეგ კი, ვინ იცის, 24 წელი გაატაროს ციხეში.

მარტენსების ოჯახში უმცროსი 11 თვისაა, სწორედ ამან იხსნა ოჯახის დედა ციხისგან.

**ასეთი ოჯახი გერმანიაში უამრავია. ისინი აწყობენ დემონსტრაციებს, აპროტესტებენ, ხმას იმაღლებენ გარყვნილების პროპაგანდის წინააღმდეგ. გარყვნილები კი თვალს არ აშორებენ ნორმალურ ოჯახებს და, როგორც კი მათი საპროტესტო აქციის გამართვის შესახებ შეიტყობენ, მყისვე აწყობენ კონტრაქციას.**

გარყვნილები სპეციალურად უწვებოდნენ ფეხებში საპროტესტოდ გამოსულ კოლონებად მიმავალ მშობლებს და სატელევიზიო კამერების წინ თავს წარმოაჩენდნენ დამცირებულად და შეურაცხყოფილად.

**ევგენი მარტენსი, მრავალშვილიანი ოჯახის მამა (გერმანია):**

— ეს გლობალური პრობლემაა, მაგრამ ჩვენ ვიბრძვით ჩვენი შვილებისთვის, რომელთა დაღუპვაც სურთ. ჩვენ შეგვიძლია ბუნებისგან ავიღოთ მაგალითი, აბა, ვინმე შეეცადოს, მიუახლოვდეს დედა დათვს, რომელსაც პატარა ბელები ჰყავს — ნაფლეთებად აქცევს! ჩვენც ასე ვართ. არ გვინდა, ვიღაცას საჯიჯგნად მივუგდოთ ჩვენი შვილები.

**კაბრიელა კუბი, სოციოლოგი (გერმანია):**

— 2011 წელს, ადამიანის უფლებების დაცვის დღეს, **ჰილარი კლინტონი** ჟენევაში, ნაციის სასახლეში, მოხსენებით გამოვიდა ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ. მან თქვა, რომ ეს ყველაფერი შესანიშნავია და აუცილებლად უნდა გავაფართოვოთ ლგბტ-პირების უფლებები.

**ჰილარი კლინტონი:** „დღეს მსოფლიოს ელიტის ლოზუნგი — ჰომოსექსუალების უფლებები — ეს არის სწორედ ადამიანის უფლებები".

**მაგრამ, რატომ ითელება ფეხქვეშ ყველა სხვა ადამიანის უფლებები ჰომოსექსუალი უმცირესობის სასარგებლოდ?**

**გაბრიელა კუბი:** „ისინი აძლევენ გარკვეულ მითითებებს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოებს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, თუ როგორ შეიძლება შეცვალო კულტურა; რა არის საჭირო იმისათვის, რომ შეიცვალოს ფასეულობების სისტემა. და ეს ხდება სრულიად მსოფლიოში. ამის უკან დგას ჩვენი პლანეტის მილიარდერების დიდძალი ფული. ამ ყველაფერს ისინი უწყობენ ხელს".

მსოფლიოში ჰომოსექსუალიზმის გავრცელების იდეას არც მალავდა აშშ-ის ხელისუფლება (ხელისუფლების სათავეში დონალდ ტრამპის მოსვლამდე, აშშ-ის პირველი პირები, მათ შორის, ბარაკ ობამა, ჯონ კერი და სხვები, ამერიკაში ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინების ლეგალიზების შემდეგ მსოფლიოს ყველა ქვეყანას დაემუქრნენ, სოდომია თქვენთანაც უნდა დააკანონოთო — ნ.კ.). დაცემული კულტურის იდეოლოგია, ყველაფერი რაც სიმდაბლეა, ვრცელდება, როგორც ჭირი, როგორც კიბოს მეტასტაზები ორგანიზმში. უარყოფილია ზნეობის ყველა პრინციპი, ქრისტიანული დოგმები, წესიერება, ტრადიციული ოჯახი.

**(დასასრული შემდეგ ნომერში)**

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**


სექსუალური განათლების გაკვეთილი გერმანიის ერთ-ერთ სკოლაში

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**იანვარში კანადურმა ტელექსელმა CBC-მა მოამზადა რეპორტაჟი კვებეკში ულტრამემარჯვენე, ანტიმუსლიმანური დაჯგუფებების მხარდამჭერთა რაოდენობის მომატებაზე, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ თეთრ რასას უპირატესობა უნდა ჰქონდეს სხვა რასებზე. რეპორტაჟში, კერძოდ, მოხსენიებული იყო ნეოფაშისტური დაჯგუფება ATALANTE QUEBEC, რომელიც მხოლოდ ფრანკოფონებისგან შედგება. დაჯგუფება ხშირად აწყობს დემონსტრაციას ლოზუნგით: „სიკვდილი ტერორისტებს! არა ისლამს!“**

# 5 წლის შემდეგ რეგულარული წყალმომარაგება მიუწვდომელი ფუფუნება იქნება მილიონობით ამერიკელისთვის



**ქვეყანაში განუხრელად იმატებს წყლის გადასახადი, ეს კი, უწინარესად, აშშ-ის ღარიბ ფენას დაარტყამს, — წერს The Huffington Post-ი.**

ცოტა ხნის წინათ ჩატარებული კვლევის შედეგებით დადასტურდა, რომ რიგი მიზეზების გამო, ძირითადად, მოძველებული ინფრასტრუქტურის შეკეთების აუცილებლობიდან გამომდინარე, ბევრ შტატში წყალმომარაგების საფასურმა რამდენიმეჯერ მოიმატა და ეს ტენდენცია, დიდი ალბათობით, უახლოეს წლებშიც გაგრძელდება.

მიჩიგანის უნივერსიტეტის სპეციალისტების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, მომავალი 5 წლის განმავლობაში ამერიკაში ოჯახების მესამედი შეეჯახება წყალმომარაგების გადასახადის გადახდის პრობლემას.

**მკვლევართა შეფასებით, დღეს 13,8 მლნ ამერიკული ოჯახი, ანუ მოსახლეობის 11,9% უკვე იხდის სახელმწიფოს მიერ წყალზე დაწესებულ ნორმაზე, შემოსავლების 4,5%-ზე, მეტს.**

წყალმომარაგებისა და მისი საფასურის გადახდის პრობლემა აქვთ აშშ-ის სამხრეთ შტატებში — ლუიზიანაში, მისისიპიში, ალაბამაში, კენტუკსა და არკანზასში, აგრეთვე, დიდ ქალაქებში — დეტროიტში, ფილადელფიასა და ფინიქსში მცხოვრებთ, ბოლო 10 წლის განმავლობაში წყლის ტარიფი ბალტიმორში 120%-ით გაიზარდა. უახლოეს 3 წელიწადში ქალაქის ხელისუფლება ისევ გეგმავს წყალმომარაგებაზე ტარიფის გაძვირებას.

**The Huffington Post**

# რუსეთი თავისი გავლენის აღდგენას ცდილობს ავღანეთში



**ავღანეთი შეიძლება იქცეს კიდევ ერთ თეატრად, სადაც ტრამპის ადმინისტრაცია მხარს დაუჭერს მოსკოვის ძალისხმევას, თუნდაც ეს „თალიბანთან“ თანამშრომლობა იყოს, — ვარაუდობს The American Interest-ი.**

ავღანეთში ამერიკის მრავალწლიანმა ყოფნამ საკმაოდ ბევრი გამარჯვება მოიტანა. ამჟამად „თალიბანთან“ ურთიერთობით მოსკოვი ცდილობს, გადამწყვეტი ზომები გაატაროს ავღანეთის არამდგრადი ხელისუფლების მხარდასაჭერად, რაც აშშ-ს მოქმედების არეალს უზღუდავს.

იანვარში მოსკოვმა გაასაჯაროა თალიბებთან თავისი კონტაქტების დეტალები, როდესაც განაცხადა, რომ ინფორმაციას აწვდის ამ რადიკალურ დაჯგუფებას ავღანეთის აღმოსავლეთ პროვინცია ნანგარჰართან (პაკისტანის საზღვართან) მოქმედი „ისლამური სახელმწიფოს“ დაჯგუფებასთან საბრძოლველად. მოსკოვის ეს მოქმედება, სპეციალისტების აზრით, მიმართულია აშშ-ის გავლენის შესასუტებლად როგორც ავღანეთში, ასევე, ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში.

ავღანეთის ამჟამინდელი პრეზიდენტი **აშრაფ განი** საჯაროდ გმობს „თალიბანისთვის“ გაწეულ ნებისმიერ დახმარებას, მაგრამ განის წინამორბედი **ჰამიდ კარზაი**, რომელსაც დიდი გავლენა აქვს ავღანეთში, მხარს რუსეთის მოქმედებებს უჭერს. „საქმე ის არის, რომ ავღანეთში ამერიკელთა ყოფნას ჩვენთვის უსაფრთხოება არ მოუტანია. ამერიკელთა ყოფნამ გამოიწვია ექსტრემიზმის დონის მატება. აქ ძალები და გავლენა უნდა გათანაბრდეს“, — განუცხადა კარზაიმ The Wall Street Journal-ს.

პრეზიდენტ ტრამპს ჯერ კიდევ არ დაუკავებია მკვეთრი პოზიცია ავღანეთის მიმართ, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რომ ის გააძლიერებს აშშ-ის ძალისხმევას ამ ქვეყნის საშინაო საქმეებში 15-წლიანი ჩარევის შემდეგ, რაც წინასაარჩევნო კამპანიისას სრულ კატასტროფად შეაფასა.

**ავღანეთი შეიძლება იქცეს კიდევ ერთ თეატრად, სადაც ტრამპის ადმინისტრაცია მხარს დაუჭერს მოსკოვის ძალისხმევას, თუნდაც ეს „თალიბანთან“ თანამშრომლობა იყოს.**

**The American Interest**

# აშშ სავიზო მოთხოვნებს კიდევ უფრო ამკაცრებს




**აშშ-ის მთავრობამ ერთი თვის შემდეგ შეიძლება გაამკაცროს მოთხოვნები და დამატებითი ცვლილებები შეიტანოს დონალდ ტრამპის „იმიგრაციულ“ განკარგულებაში.**

აშშ-ის ნაციონალური უშიშროების სამინისტროს მიერ რამდენიმე დღის წინათ გამოქვეყნებული განცხადების თანახმად, აშშ-ში შესვლაზე აკრძალვა ვრცელდება მხოლოდ 7 მუსლიმანური ქვეყნის (ირანი, სირია, სუდანი, იემენი, ლიბია და სომალი) მოქალაქეებზე და აშშ-ის ხელისუფლება ჯერჯერობით არ აპირებს, სხვა სახელმწიფოებიც შეიყვანოს ამ სიაში.

მიუხედავად ამ განცხადებისა, განკარგულება შეიძლება გადაიხედოს უახლოესი ერთი თვის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც აშშ-ის შესაბამისი უწყებები მონიტორინგის ჩატარების შედეგებს ახალი განკარგულების ეფექტიანობაზე დონალდ ტრამპს მოახსენებენ.

აშშ-ის ნაციონალური უშიშროების მინისტრის — **ჯონ კელის** განცხადებით, საუბარია დამატებითი პუნქტების შეტანაზე ანკეტაში, რომელიც „იმიგრაციის“ შესახებ განკარგულებაში მითითებული ქვეყნების მოქალაქეებმა უნდა შეავსონ.

**P.S. სასამართლომ დროებით შეაჩერა ტრამპის განკარგულება 7 მუსლიმანური ქვეყნის მოქალაქეებისთვის აშშ-ში შესვლის აკრძალვის თაობაზე.**




# კანადაში ულტრამემარჯვენე და რასისტული ორგანიზაციების მხარდამჭერები მომრავლდნენ

**გამოცემა AlterNet-ი წერს, რომ კვებეკში, მეჩეთზე მოწყობილი თავდასხმა მხოლოდ ერთ-ერთია კანადაში მუსლიმებზე განხორციელებული შეტევების გრძელ სიაში.**

ბევრ ამერიკელს კანადა წარმოუდგენია, როგორც პროგრესული ქვეყანა, რასიზმისა და ქსენოფობიისგან თავისუფალი, მაგრამ კანადელი მუსლიმანები ამბობენ, რომ ქვეყანას აქვს მემარჯვენე ფანატიზმის პრობლემები.

იანვარში კანადურმა ტელექსელმა CBC-მა მოამზადა რეპორტაჟი კვებეკში ულტრამემარჯვენე, ანტიმუსლიმანური დაჯგუფებების მხარდამჭერთა რაოდენობის მომატებაზე, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ თეთრ რასას უპირატესობა უნდა ჰქონდეს სხვა რასებზე. რეპორტაჟში, კერძოდ, მოხსენიებული იყო ნეოფაშისტური დაჯგუფება Atalante Quebec-ი, რომელიც მხოლოდ ფრანკოფონებისგან შედგება. დაჯგუფება ხშირად აწყობს დემონსტრაციას ლოზუნგით: „სიკვდილი ტერორისტებს! არა ისლამს!“

თეთრი რასისტების ერთ-ერთი დაჯგუფების ყოფილმა ლიდერმა CBC-ს განუცხადა, რომ დღეს „იდენტიტარისტების“ მოძრაობას დიდი წარმატება აქვს.

რამდენიმე დღის წინათ კი VICE News-მა აჩვენა დოკუმენტური ფილმი ულტრამემარჯვენე, ანტიმუსლიმანურ დაჯგუფება Soldats d’Odin-ზე, რომელიც ცნობილია ნეონაცისტებსა და თეთრი რასის უპირატესობის მომხრეებთან კავშირით. ამ ორგანიზაციის განყოფილებები კანადის თითქმის ყველა დიდ დასახლებულ პუნქტში მუშაობს.

მიუხედავად იმისა, რომ კანადის ხელისუფლებამ და მასმედიამ **ალექსანდრე ბისონეტის,** რომელიც ეჭვმიტანილია კვებეკის ერთ-ერთ მეჩეთში სალოცავად შეკრებილი მუსლიმანების დახოცვაში, „მარტოხელა მგელი“ უწოდეს, მისი ტერორისტული შეტევა მხოლოდ ერთი რგოლია ბოლო პერიოდში განხორციელებული ექსტრემისტული და რასისტული თავდასხმების ჯაჭვში.

**AlterNet**




# კალიფორნიას სეცესია სურს? ვაშა! ყველა ლიბერალი სხვა ქვეყანაში აღმოჩნდება

**კალიფორნიაში მცხოვრებთ შეუძლიათ, ხელი მოაწერონ პეტიციას აშშ-დან ამ შტატის გამოყოფის შესახებ, მაგრამ რა უნდა ქნას დანარჩენი 49 შტატის მოსახლეობამ? ჩემი აზრით, ჩვენ დიდ სარგებელს მივიღებთ, თუ კალიფორნია დატოვებს კავშირს, — წერს გამოცემა The American Thinker-ის მიმომხილველი რონალდ ტინელი.**

დაფიქრდით აი ამაზე: **ამომრჩეველთა კოლეგიიდან წავა დემოკრატების 55 ხმა. დაგვტოვებს ორი სენატორი და ბევრი დემოკრატი წარმომადგენლობათა პალატიდან. სანფრანცისკოს, ლოს-ანჯელესისა და კალიფორნიის კოლეჯებიდან გავრცელებული გიჟური ინფორმაციები ძალიან აღარ შეგვაწუხებს, რადგან ის, რაც მოხდება, მოხდება უკვე სხვა ქვეყანაში.**

ჰოლივუდი და ლიბერალები სხვა ქვეყანაში აღმოჩნდებიან, ამიტომ, თუკი ვინმე იცნობთ შეერთებული შტატებიდან კალიფორნიის გასვლის პეტიციის მექანიზმს, აალებინეთ მას სტარტი. შესაძლოა, სჯობს, შუამდგომლობა გაუგზავნოთ ქვეყნის ხელისუფლების საკანონმდებლო, სასამართლო და აღმასრულებელ შტოებს, რათა არა მხოლოდ დათანხმდნენ კალიფორნიელთა სურვილს, დაგვიტოვონ ჩვენ, არამედ აქტიურად შეუწყონ ხელი და ყველაფერი გააკეთონ პროცესის შესამსუბუქებლად და დასაჩქარებლად, გაძევების მექანიზმიც კი გამოიყენონ, თუკი კალიფორნია დარჩენას გადაწყვეტს.

ვიცი, რომ, შესაძლოა, არც ისე კომფორტული იყოს ჩვენს დასავლეთ საზღვარზე ახალი ვენესუელის ჩამოყალიბება, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ეს შეიძლება არც ისე ცუდი აღმოჩნდეს. შესაძლოა, როდესაც ისინი საკუთარ თავთან მარტო დარჩებიან, მანამდე გამოფხიზლდებიან, სანამ მაღაზიების დახლებიდან გაქრება ტუალეტის ქაღალდი, სურსათ-სანოვაგის საწყობების დაცვას კი ჯარისკაცები დაიწყებენ.

ვიცი, რომ ეს მკაცრი განაჩენი იქნება იმ კალიფორნიელებისთვის, რომლებიც არ არიან ლიბერალი მეოცნებეები, მაგრამ ვეჭვობ, მათი უმრავლესობა გონიერებას გამოიჩენს და აღმოსავლეთში გადმობარგდება, სანამ საზღვრებს ჩავკეტავთ.

*** სეცესია — სახელმწიფოს (როგორც წესი, ფედერაციულის) შემადგენლობიდან მისი რომელიმე ნაწილის (როგორც წესი, ფედერაციის სუბიექტის) გასვლა.**

**ნატოს ქვეყნების 8 ხომალდი, რომლებიც ოპერატიულ ჯგუფს შეადგენს სახელწოდებით STANDING MARITIME GROUP 2, შავ ზღვაში რუმინეთის სანაპიროსკენ გაემართა სწავლება „ზღვის ფარში“ მონაწილეობისთვის. ბალტიის ზღვის მსგავსად, ბოლო პერიოდში შავი ზღვაც ხშირადაა ხოლმე რუსეთისა და ნატოს დაპირისპირების ადგილი.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ნატო რუსეთის საზღვრებთან იარაღს აჟღარუნებს

**„სი-ენ-ენი“ აღმოსავლეთ ევროპაში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ბოლო მასშტაბურ მანევრებზე წერს.**

ნატოს წევრები თავიანთი სამხედრო შესაძლებლობების დემონსტრირებას რუსეთის საზღვრებთან ახლოს ცდილობენ — სამხედრო ხომალდები შავი ზღვის აკვატორიაში გამოჩნდნენ, პოლონეთის ველებზე კი ამერიკული ტანკებიდან გასროლილი ჭურვების აფეთქების ხმა გაისმა.

ნატოს ქვეყნების 8 ხომალდი, რომლებიც ოპერატიულ ჯგუფს შეადგენს სახელწოდებით Standing Maritime Group 2, შავ ზღვაში რუმინეთის სანაპიროსკენ გაემართა სწავლება „ზღვის ფარში“ მონაწილეობისთვის. ბალტიის ზღვის მსგავსად, ბოლო პერიოდში შავი ზღვაც ხშირადაა ხოლმე რუსეთისა და ნატოს დაპირისპირების ადგილი.

„ეს არის დემონსტრაცია ალიანსის გადაწყვეტილებისა, დაიცვას თავისი მოკავშირეები ნებისმიერი საფრთხისგან, აგრეთვე, გააძლიეროს უსაფრთხოება ამ რეგიონში“, — განაცხადა ნატოს ოფიციალურმა წარმომადგენელმა. ალიანსის ოფიციალური პირების განცხადების თანახმად, „ზღვის ფარი“ ტექნიკურად არ არის ნატოს ოპერაცია, მაგრამ მასში მონაწილეობს ამ ორგანიზაციის წევრი ბევრი ქვეყანა, მათ შორის — **ბულგარეთი, კანადა, საბერძნეთი, რუმინეთი, ესპანეთი, აშშ** და **თურქეთი.**

ამერიკული ტანკები და სამხედროები, აგრეთვე, მონაწილეობდნენ პოლონეთის ქალაქ ჟაგანშთან ახლოს გამართულ სამხედრო მანევრებში. ტრამპმა იანვარში განაცხადა, რომ ნატო მოძველდა და სურს ურთიერთობის გაუმჯობესება რუსეთთან, რომელიც სიმტკიცეზე ამოწმებს ცივი ომის შემდეგ ჩამოყალიბებულ ევროპის საზღვრებს. ამ განცხადებამ ძალიან შეაშფოთა ევროპელები, მაგრამ თავდაცვის მინისტრად ცოტა ხნის წინათ დანიშნულმა გადამდგარმა გენერალმა **ჯეიმს მატისმა**, რომელიც ადრე ნატოს გაერთიანებულ სამხედრო ძალებს მეთაურობდა, ერთმნიშვნელოვნად დაუჭირა მხარი ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს და განაცხადა, რომ ამის შესახებ ტრამპს უკვე მოახსენა.

ამერიკული სამხედრო ძალები, რომლებიც მონაწილეობდნენ იანვრის ბოლოს გამართულ სწავლებაში, 4000-იანი შენაერთის ნაწილია, რომელიც წლის დასაწყისში განლაგდნენ ევროპაში.

**P.S. რუსეთის თავდაცვის მინისტრმა, არმიის გენერალმა სერგეი შოიგუმ განაცხადა, რომ რუსეთის სამხედრო ქვედანაყოფები აკონტროლებენ სიტუაციას შავ ზღვაში და ნატოს ხომალდების გადაადგილებას ყურადღებით აკვირდებიან.**



# ყეფს, მაგრამ ვერ კბენს — მაკკეინი უძლურია, ხელი შეუშალოს ტრამპს რუსეთის მიმართ ახალი პოლიტიკის გატარებაში

**ოდიოზურ ამერიკელ პოლიტიკოსს აქამდე ერთხელაც კი ვერ გამოუხატავს სურვილი, დაპირისპირებოდა თეთრი სახლის ახალ ადმინისტრაციას რუსეთთან ახლებური ურთიერთობის საკითხზე, — წერს The New Republic.**

ჯონ მაკკეინი ყეფს, მაგრამ კბენას ვერ ახერხებს, როდესაც საუბარია პრეზიდენტ ტრამპის ახალ პოლიტიკაზე რუსეთის მიმართ. **დონალდ ტრამპისა** და რუსეთის პრეზიდენტ **ვლადიმერ პუტინის** პირველ სატელეფონო საუბრამდე სენატორმა არიზონიდან — ჯონ მაკკეინმა განაცხადა, რომ დასაგმობია ყველა ნაბიჯი, რომლებიც აშშ-ს მიიყვანს რუსეთისთვის დაწესებული სანქციების გაუქმებამდე.

**„ამერიკისა და ჩვენი მოკავშირეების რაციონალური უსაფრთხოებისთვის, ვიმედოვნებ, პრეზიდენტი ტრამპი ბოლოს მოუღებს ამ სპეკულაციებს და უარს იტყვის უაზრო კურსზე. თუ ასე არ მოიქცევა, ჩემს კოლეგებთან ერთად ვიბრძოლებ, რომ რუსეთისთვის დაწესებულ სანქციებს კანონის სტატუსი მიეცეს.**

**ბოლო სამი პრეზიდენტიდან თითოეული იმედოვნებდა რუსეთის ხელისუფლებასთან პარტნიორული ურთიერთობის აწყობას. ყოველი მცდელობა წარუმატებელი იყო, იმიტომ კი არა, რომ აშშ-ს არ ჰქონდა კეთილი ნება, არამედ იმიტომ, რომ პუტინს სურს ჩვენი მტრობა. ჩვენ მას ვჭირდებით, როგორც მტერი. ის არასოდეს იქნება ჩვენი პარტნიორი, მათ შორის, „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ბრძოლაში. მას მიაჩნია, რომ რუსეთის გაძლიერება ნიშნავს ამერიკის დასუსტებას. პრეზიდენტმა ტრამპმა ეს უნდა გაიხსენოს, როდესაც ვლადიმერ პუტინს დაელაპარაკება“,** — განაცხადა ჯონ მაკკეინმა.

მიუხედავად იმისა, რომ მაკკეინის განცხადება საკმაოდ კატეგორიული იყო, ამ განცხადებას სუსტი ძალა აქვს. სენატორს აქამდე არ გამოუხატავს მზადყოფნა, დაპირისპირებოდა ტრამპს. მაგალითად, მაკკეინი აშშ-ის სახელმწიფო მდივნის პოსტზე მხარს დაუჭერს **რექს ტილერსონის** კანდიდატურას, რომელიც პუტინმა მეგობრობის ორდენით დააჯილდოვა.

შეასრულებს თუ არა მაკკეინი თავის მუქარას ანტირუსული სანქციებისთვის კანონის სტატუსის მინიჭების შესახებ?

**რონალდ რეიგანის სიტყვების** პერიფრაზით, შეიძლება ითქვას:

**„არ დაიჯერო, სანამ თვითონ არ დარწმუნდები“.**

# ალიანსისთვის ცვლილებების პერიოდი დადგა

**გამოცემა The American Conservative-ს აზრით, ალიანსის ბევრი წევრი თავს არიდებს თავდაცვითი ვალდებულებების შესრულებას.**

დადგა დრო, წევრმა სახელმწიფოებმა ცვლილებები შეიტანონ ჩრდილოატლანტიკურ ხელშეკრულებაში, 70-წლიანი ისტორიის მქონე დოკუმენტში, რომელსაც ხელი ცივი ომის დასაწყისში მოაწერეს.

ყველაზე თავგამოდებული ატლანტისტებისთვის იმის თქმა, რომ ნატოს ძირითადი დოკუმენტი უნდა გადაიხედოს, მსოფლიოში ყველაზე მძლავრი სამხედრო ალიანსის, როგორც წარსულის გადმონაშთის, განადგურების მცდელობას ნიშნავს, მაგრამ ეს თვალსაზრისი სწორი არ არის.

**თუ ნატოს სურს, გადარჩეს, მან უნდა შემოიღოს პასუხისმგებლობის ახალი ფორმები იმ წევრებისთვის, რომლებიც ამცირებენ სამხედრო ხარჯებს. ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად, თავდაცვაზე ნატოს მხოლოდ 5 წევრი ქვეყანა ხარჯავს მთლიანი შიგაპროდუქტის 2%-ს. ამ საკითხზე ალიანსის პოლიტიკურმა ლიდერებმა კარგა ხნის წინათ მოილაპარაკეს.** აღნიშნული 4 ევროპული ქვეყნიდან მხოლოდ დიდი ბრიტანეთის გამოყოფა შეიძლება. ევროპის სხვა წამყვანი ქვეყნები — გერმანია, საფრანგეთი და ესპანეთი განაგრძობენ სამხედრო ხარჯების შემცირებას. მაგალითად, ესპანეთი თავდაცვაზე მთლიანი შიგაპროდუქტის 1%-ზე ნაკლებს ხარჯავს.

ეს ქვეყნები დიდად აზარალებენ ალიანსს, როდესაც ვაშინგტონის დახმარებას იღებენ. ობამას ადმინისტრაციის მიერ მიმდინარე წლის დასაწყისში 3,4 მლრდ დოლარის გამოყოფა შეკავების ევროპული ინიციატივის განსახორციელებლად ნაწილობრივ წარმოადგენს პასუხს ევროპელების სურვილის უქონლობაზე, დახარჯონ იმდენი, რამდენიც თვითონ ივალდებულეს.

ამერიკის კონგრესსაც უნდა დაეკისროს თავისი წილი პასუხისმგებლობა. 2016 წელს სენატის საერთაშორისო ურთიერთობების კომიტეტმა განსახილველად გამოიტანა საკითხი ალიანსისთვის ჩერნოგორიის მიერთების შესახებ. მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ **„ჩერნოგორიას აქვს პოტენციალი, ნატოს წევრობის შემთხვევაში წვლილი შეიტანოს ალიანსის განვითარების საქმეში. და ჩერნოგორიის წევრობა სტიმულს მისცემს მშვიდობისა და დემოკრატიის განვითარებას რეგიონში, აგრეთვე, გაზრდის ნატოს რესურსებს“. არადა,**



**ჩერნოგორია არის ქვეყანა, რომლის მთლიანი შიგაპროდუქტი დაახლოებით 1,4 მლრდ დოლარია, ამ თანხიდან კი თავდაცვაზე მხოლოდ 1,6% იხარჯება. ამ ქვეყნის არმიაში მხოლოდ 2000 მოქმედი სამხედრო მოსამსახურეა. ჩერნოგორიის მთავრობასა და სპეცსამსახურებში ფართოდ არის გავრცელებული კორუფცია. ამას გარდა, ნატოს კარის გაღებამ ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთში მდებარე კიდევ ერთი ქვეყნისთვის შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ რუსეთმა საპასუხო ნაბიჯები გადადგას.**

აშშ-ის ახალმა ადმინისტრაციამ, ისევე, როგორც კონგრესის წევრებმა, თუკი ისინი მართლა შეშფოთებულნი არიან ნატოს ბედით, უნდა შეიმუშავონ ახალი პუნქტი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება წევრობის შეჩერება ან, საერთოდ, ჩრდილოატლანტიკური ალიანსიდან გაძევება იმ სახელმწიფოებისა, რომლებიც არ იცავენ დემოკრატიულ პრინციპებს და უარს ამბობენ თავდაცვისთვის აუცილებელი თანხის დახარჯვაზე. ნატო უნდა შეიცვალოს.



# პენტაგონი: აშშ არ გეგმავს სამხედრო კონტინგენტის გაძლიერებას ახლო აღმოსავლეთში

**აშშ-ის ადმინისტრაციაში არ განიხილავენ სამხედრო კონტინგენტის რაოდენობის მომატებას ახლო აღმოსავლეთში ირანის მოქმედების გამო, — განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა ჯეიმს მეტისმა.**

„დღეს მე ვერ ვხედავ რეგიონში ჩვენი სამხედრო ძალების რაოდენობის მომატების აუცილებლობას. ჩვენ ყოველთვის გვექნება ამის შესაძლებლობა, მაგრამ არ მიმაჩნია, რომ ამჟამად ეს აუცილებელია“, — მოჰყავს სააგენტო Reuters-ს პენტაგონის ხელმძღვანელ **ჯეიმს მეტისის** ფრაზა.

ამასთანავე, მეტისი დასძენს, რომ „მსოფლიო თვალს ვერ დახუჭავს ირანის არასწორ საქციელზე“. აშშ-ის თავდაცვის მინისტრს მხედველობაში ჰქონდა თეირანის მიერ ცოტა ხნის წინათ საშუალო სიშორის ბალისტიკური რაკეტის გამოცდა.

მოზაიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ერთ-ერთი პირობა, რომლის დაცვის შემთხვევაში „რუსული ბარათი“ გაიცემა სხვა სახელმწიფოს წარმომადგენელზე, არის მტკიცებულება პირდაპირი ნათესაობისა რუსებთან ან სსრკ-ის მოქალაქეებთან, ანუ „რუსული ბარათის“ მიღების კანდიდატის მამა, დედა, ბებია ან ბაბუა უნდა იყოს საბჭოთა კავშირის მოქალაქე ან თვითონ კანდიდატს წარსულში უნდა ჰქონდეს საბჭოთა კავშირის მოქალაქეობა.**




# რუსეთი საბჭოთა კავშირში დაბადებულთათვის «გრინ-ქარდის» შემოღებას აპირებს

**რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში (პარლამენტში) ამზადებენ კანონპროექტს, რომლის მიხედვითაც სსრკ-ის ყოფილი მოქალაქეები მიიღებენ ამერიკული „გრინ-ქარდის“ ანალოგს — ე.წ. რუსულ ბარათს.**

კანონპროექტმა, რუსი კანომდებლების აზრით, უნდა გააერთიანოს რუსები, რომლებიც რუსეთის საზღვრებს გარეთ აღმოჩნდნენ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, აგრეთვე, გაამყაროს ენობრივი, ნათესაური კავშირები და დაიცვას რუსი ხალხის ფასეულობები უცხოეთში.

ყოფილი თანამემამულეები, რომლებსაც გადაეცემათ ასეთ ბარათი, სავარაუდოდ, მიიღებენ დამატებით შესაძლებლობებს რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე: ქვეყანაში უვიზოდ შესვლის, უფასო განათლების, სამედიცინო დახმარების უფლებას და სხვ.

**ერთ-ერთი პირობა, რომლის დაცვის შემთხვევაში „რუსული ბარათი“ გაიცემა სხვა სახელმწიფოს წარმომადგენელზე, არის მტკიცებულება პირდაპირი ნათესაობისა რუსებთან ან სსრკ-ის მოქალაქეებთან, ანუ „რუსული ბარათის“ მიღების კანდიდატის მამა, დედა, ბებია ან ბაბუა უნდა იყოს საბჭოთა კავშირის მოქალაქე ან თვითონ კანდიდატს წარსულში უნდა ჰქონდეს საბჭოთა კავშირის მოქალაქეობა.**

კიდევ ერთი პირობაა რუსული ენის კარგად ცოდნა. ამასთანავე, კანდიდატი არ უნდა ეწეოდეს ისეთ მოღვაწეობას, რომელიც მიმართული იქნება რუსეთისა და რუსი ხალხის წინააღმდეგ.

აღსანიშნავია, რომ ანალოგიური კანონი არის სხვა ქვეყნებშიც, მაგალითად, მსგავსი კანონი მიიღეს პოლონეთის, სლოვაკეთისა და სხვა ქვეყნების საკანონმდებლო ორგანოებმა.

თუ რუსეთის პარლამენტი კანონპროექტს დაამტკიცებს, პირველი „რუსული ბარათი“ უკვე 2018 წლიდან გაიცემა.



# საფრანგეთში მშობლებს ბავშვების გალახვის ნება დართეს

**საფრანგეთის საკონსტიტუციო კონტროლის ორგანომ უარი თქვა კანონპროექტზე, რომელიც პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდის ერთ-ერთ წინასაარჩევნო დაპირებად მიიჩნეოდა. აღნიშნულმა ორგანომ, მიუხედავად საგარეო თუ საშინაო პოლიტიკური წნეხისა, კანონიერად მიიჩნია ფიზიკური დასჯა, სხვა სიტყვებით, „აღზრდის ტრადიციული მეთოდები“.**

გაზეთი Le Monde იუწყება, რომ იანვრის მიწურულს საფრანგეთის საკონსტიტუციო საბჭომ უარყო რამდენიმე პუნქტი კანონპროექტისა „მოქალაქეების თანასწორობის შესახებ, კერძოდ, მუხლი 222-ე, რომელიც კრძალავდა „ფიზიკურ ძალადობას“ ბავშვებზე. ეს იყო პარლამენტის მიერ შეტანილი შესწორება წამოტყაპუნებისა და გაწკეპვლის აკრძალვაზე. ამ კანონპროექტის წინააღმდეგ ხმა მისცა დეპუტატთა უმრავლესობამ მთავრობის ჩუმი მოწონების ფონზე.

დოკუმენტი, სახელწოდებით „კანონპროექტი თანასწორობისა და მოქალაქეობის შესახებ“, 2016 წლის 22 დეკემბერს მიიღოს საფრანგეთის პარლამენტმა. კანონი კრძალავდა ბავშვის მიმართ დამამცირებელ და სასტიკ მოპყრობას, მათ შორის ფიზიკურად დასჯას.

ოჯახის, ბავშვებისა და ქალთა უფლებების საკითხთა მინისტრმა **ლორანს როსინიოლმა** „ღრმა იმედგაცრუება“ გამოხატა კენჭისყრის შედეგების გამო.

„შოკირებული ვარ, რომ კანონმდებლებმა ეს კანონპროექტი მსხვერპლად შესწირეს საკონსტიტუციო საბჭოს... ადრე პარლამენტარებს გაუგებრად და არაეთიკურად მიაჩნდათ, მშობლებს რომ ბავშვების გალახვის უფლება ჰქონოდათ“.

პრობლემა არის ის, რომ ტერმინში „ძალადობა“, ბევრი მშობლის გაგებით, არ იგულისხმება წამოტყაპუნება ან ლოყაში გარტყმა. ბავშვებზე ფიზიკური ზემოქმედება სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად ისჯება, მაგრამ სინამდვილეში მხოლოდ სხეულის მძიმე დაზიანებას ითვალისწინებს.

# რომელია მსოფლიოში ყველაზე პოპულარული ავტომობილი

**2016 წელს მსოფლიოში 93 მლნ ავტომობილი გაიყიდა, 4,6 პროცენტით მეტი, ვიდრე 2015 წელს. დედამიწაზე მცხოვრები ადამიანების უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს კომპაქტურ ჰეჩბეკებს, საოჯახო სედანებს და საშუალო ზომის კროსოვერებს.**

შარშან ყველაზე მეტი მანქანა **ჩინელებმა** შეიძინეს, ამ მხრივ, რეკორდიც კი დამყარდა — გაიყიდა 28 მლნ ავტომობილი (12% მეტი 2015 წელთან შედარებით). პლანეტის ოდესღაც პირველი საავტომობილო ბაზარი — **აშშ** — ამჟამად მეორე ადგილზეა, თუმცა ჩინეთს მნიშვნელოვნად ჩამორჩება.

2016 წელს **ევროპაში** 15 მლნ ავტომობილი გაიყიდა (+6%), და ეს საუკეთესო შედეგია ბოლო 9 წლის განმავლობაში. მაგალითად, **სამხრეთ ამერიკის** ყველა ქვეყანაში ერთად მხოლოდ 2,6 მლნ ავტომობილი გაიყიდა.

სედანი **TOYOTA COROLA,** უკვე მესამე წელიწადია, ლიდერობას ინარჩუნებს გაყიდვის რაოდენობის მხრივ — 2016 წელს 1 316 383 Toyota Corola გაიყიდა. შარშან ამ მოდელმა თავისი 50 წლის იუბილე იზეიმა. სულ კი ამ მანქანის 43 მლნ-ზე მეტი მოდელია გაყიდული.

2016 წელს გაყიდვების მხრივ მეორე იყო ამერიკული პიკაპი **FORD F-SERIES**-ი, ამ ავტომობილმა სარეიტინგო სიაში **VOLKSWAGEN COLF**-ს გადაუსწრო.

ორივე მოდელი ძალიან პოპულარულია, მაგრამ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში: F-Series-ი — აშშ-სა და კანადაში, Colf-ი კი — ევროპაში.

**2016 წლის ყველაზე პოპულარული ავტომობილების ათეული:**

1. Toyota Corola — გაიყიდა 1 336 383 ერთეული;
2. Ford F-Series — 993 779;
3. Volkswagen Golf — 991414;
4. Hyndai Elanttra — 788 081;
5. Honda CR-V — 752 463;
6. Ford Focus — 734 935;
7. Toyota Rav4 — 724 198.
8. Volkswagen Polo — 704 062;
9. Honda Civic — 668 707;
10. Toyota Camry — 660 868.


TOYOTA COROLA


VOLKSWAGEN GOLF


FORD F-SERIES

**საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი 9M317M „БУК-М3“-ის დივიზიონს შეუძლია 2,5-დან 70 კმ-მდე მანძილზე გაანადგუროს 35 კმ-ის სიმაღლეზე წამში 3 კმ-ის სიჩქარით მოძრავი 36 მიზანი.**

მოზაიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ინა გუდავაძე დიდი ბრიტანეთის უმდიდრესი ადამიანების სიაში მოხვდა



**ინა გუდავაძე, აწ განსვენებული ქართველი მილიარდერის, ბადრი პატარკაციშვილის, მეუღლე გამოცემა Sundy Times-ის შედგენილ დიდი ბრიტანეთის უმდიდრესი ქალების სარეიტინგო სიაში მოხვდა.**

გამოცემამ ინა გუდავაძის ქონება 650 მლნ გირვანქა სტერლინგად შეაფასა, ამასთანავე, აღნიშნა, რომ ინა გუდავაძემ თავისი ქმრისგან, 9 წლის წინათ გარდაცვლილი ბადრი პატარკაციშვილისგან, მემკვიდრეობით მიიღო კომერციული უძრავი ქონება, ტელეარხი, კაზინო და ოქროს საბადოები.

Sundy Times-ის სარეიტინგო სიაში, რომელშიც 31 ქალბატონია, პირველია მომღერალი **კრისტი ბერტარელი**, მეუღლე შვეიცარიაში ყველაზე მდიდარი ადამიანისა, რომლის ქონებაც 9,7 მლრდ გირვანქა სტერლინგადაა შეფასებული.

ბადრი პატარკაციშვილი 2008 წლის 12 თებერვალს გულის შეტევით დიდ ბრიტანეთში გარდაიცვალა.

# მსოფლიოში პირველი მილიარდერი

**დღეს მსოფლიოში პოპულარულია ისეთი ცნებები, როგორიცაა მილიარდერი და ოლიგარქი. უმდიდრესი ადამიანების სახელები არანაკლებ პოპულარულია კინოსა და სპორტის ვარსკვლავების სახელებზე. საინტერესოა, ვინ იყო პირველი მილიარდერი.**

პირველი ადამიანი, რომელმაც 1 მლრდ დოლარის ქონების შეგროვება შეძლო, იყო ამერიკელი **ჯონ როკფელერი.** და ეს მოხდა დაახლოებით 101 წლის წინათ — 1916 წლის 29 სექტემბერს.

ჯონ როკფელერი დაიბადა 1839 წლის 8 ივლისს ქალაქ რიჩფორდში (ნიუ იორკთან ახლოს). მისი მამა — **უილიამ როკფელერი** ახალგაზრდობაში მეტყევე იყო, შემდეგ მიატოვა მძიმე ფიზიკური სამუშაო და დაიწყო სამკურნალო ელექსირის გაყიდვა, რომელიც, მისი აზრით, სხვადასხვა დაავადებას კურნავდა. უილიამს ამ საქმიანობამ საკმაო მოგება მოუტანა და მან მიწის ნაკვეთები იყიდა.

**ჯონმა, როკფელერების 6-ბავშვიან ოჯახში მეორე შვილმა, სამეწარმეო საქმიანობა 7 წლისამ დაიწყო — ზრდიდა ინდაურებს და ჰყიდდა, თან რვეულში გულმოდგინედ იწერდა თავის კომერციულ წარმატებებს.**

რამდენიმე წლის შემდეგ მოზარდი ჯონი უკვე კრედიტებს გასცემდა ფერმერებზე — ფულს ასესხებდა პროცენტებით.

16 წლის ჯონმა მუშაობა დაიწყო კომპანიაში, რომელიც დაკავებული იყო უძრავი ქონების გაყიდვითა და საზღვაო გადაზიდვებით. მოკლე ხანში ჯონმა კომპანიის მმართველის თანამდებობამდე მიაღწია, მაგრამ მალე დატოვა, რადგან ხელფასმა არ დააკმაყოფილა. ამის შემდეგ ჯონ როკფელერი მხოლოდ საკუთარი თავისთვის მუშაობდა.

აშშ-ის სამოქალაქო ომის პერიოდში როკფელერი ამერიკის არმიას სურსათ-სანოვაგით ამარაგებდა, შედეგად საწყისი კაპიტალი რამდენიმეჯერ გაზარდა, შემდეგ კი დაიწყო როკფელერის, როგორც ნავთობის მაგნატის, ერა.

1870 წელს შექმნა კომპანია „სტანდარტ ოილი“, რომელიც არა მხოლოდ ნავთობის გადამუშავებით იყო დაკავებული, არამედ ნავთობსაბადოების დაზვერვით სამუშაოებსაც ეწეოდა. რამდენიმე წლის შემდეგ „სტანდარტ ოილი“ აშშ-ის ნავთობმოპოვების 90%-ს აკონტროლებდა.

**სანავთობე კომპანიების გარდა, ჯონ როკფელერი ფლობდა 16 სარკინიგზო, 6 მეტალურგიულ და 6 სანაოსნო კომპანიას, 8 ბანკსა და უძრავი ქონებით მოვაჭრე რამდენიმე ფირმას.**



1916 წლის 29 სექტემბერს ჯონ როკფელერი ოფიციალურად გამოაცხადეს მილიარდერად.

მსოფლიოში უმდიდრესი დინასტიის შემქმნელმა 97 წელი იცოცხლა და 1937 წელს გარდაიცვალა. გარდაცვალების მომენტში მისი ქონება 1,4 მლრდ დოლარს შეადგენდა, ანუ აშშ-ის მთლიანი შიგა პროდუქტის 1,54%-ს. The New York Times-მა, ინფლაციის გათვალისწინებით, ჯონ როკფელერის ქონება 192 მლრდ დოლარად (2006 წ.) შეაფასა.

# პირდაპირი გზა «ოსკარისკენ»

**4 თებერვალს ლოს-ანჯელესში გამოაცხადეს ამერიკელი რეჟისორების პრესტიჟული პრემიის — Direcrors Cuild Awards (DGA)-ის მფლობელები.**

საუკეთესო სარეჟისორო დებიუტისთვის დაჯილდოვდა ავსტრალიელი **გარტ დევისი**, რეჟისორი ფილმისა „ლომი“ (მსახიობები სანი პავარი და ნიკოლ კიდმანი).



გარტ დევისი

რეჟისორების გილდიამ წლის საუკეთესო ფილმად **„ლა ლა ლენდი“** დაასახელა.

ამერიკელი რეჟისორების გილდიის ჯილდოების გადაცემა რეჟისორებისა და მსახიობებისთვის კრიტიკოსებისა და ექსპერტების განწყობის მაჩვენებელია პრესტიჟული კინოპრემიის — „ოსკარის“ გადაცემის წინ. ფილმები, რომლებმაც ამერიკელი რეჟისორების ყურადღება დაიმსახურა, დიდი ალბათობით, ოსკარის ოქროს სტატუეტს მოიპოვებს.

# საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არ აქვს

**სახმელეთო ჯარების საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი „Бук-М3“, რომლითაც რუსეთის არმია 2016 წელს შეიარაღდა, ტაქტიკურ-ტექნიკური მახასიათებლებით გაცილებით სჯობს წინამორბედებს.**



სამხედრო სპეციალისტების აზრით, საშუალო სიშორის მოქმედების მობილურ კომპლექსებში „Бук-М3“-ს ვერც ერთი ვერ შეედრება. პარალელების გავლება შეიძლება მხოლოდ ფრანგულ-იტალიურ კომპლექს SAMP-T-ის მახასიათებლებთან. კომპლექსის გაუმჯობესება მოხდა რამდენიმე მიმართულებით. გადასატანი საბრძოლო მასალების მოცულების გაზრდამ გამოიწვია მასირებული თავდასხმების მოგერიებისას კომპლექსის ეფექტიანობის გაზრდა. თითოეულ თვითმავალ საცეცხლე მოწყობილობაზე განთავსებულია 6 რაკეტა (Бук-М2-ზე 4 ასეთი რაკეტაა), ხოლო სატრანსპორტო-გამშვებ მოწყობილობაზე — 12 (6-ის ნაცვლად).

**გამშვები მოწყობილობის მახასიათებლები გაუმჯობესებულია მუხლუხიანი შასის ხარჯზე, მომატებულია ტვირთამწეობა და გამავლობა. რაკეტებისთვის სატრანსპორტო-გამშვები კონტეინერების გამოყენებით გამარტივდა დანადგარის ექსპლუატაცია. მნიშვნელოვნად გაფართოვდა კომპლექსის მოქმედების ზონა, ამასთანავე, ყველა სახეობის მიზნისთვის — აეროდინამიკურისა და ბალისტიკურისთვისაც, მათ შორის, ტაქტიკური და ფრთოსანი რაკეტისთვის. ამაღლებულია მედეგობა რადიოელექტრონული ზემოქმედების მიმართ.**

სამხედროებმა კომპლექსისთვის შეიმუშავეს ახალი რაკეტა 9M317M-ი, რომელიც „Бук-М2“-ის რაკეტა 9M317-სგან ბალისტიკური და ფრთოსანი რაკეტების განადგურების მაღალი მაჩვენებლით განსხვავდება, ამასთანავე, შენარჩუნებულია რაკეტა 9M317-ის გამოყენების შესაძლებლობაც.

საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი 9M317M „Бук-М3“-ის დივიზიონს შეუძლია 2,5-დან 70 კმ-მდე მანძილზე გაანადგუროს 35 კმ-ის სიმაღლეზე წამში 3 კმ-ის სიჩქარით მოძრავი 36 მიზანი.

**ცნობისთვის:** აშშ-ის ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების სამართვი რაკეტა MGM-140 ATACMS-ს წამში 1,5 კმ სიჩქარით მოძრაობა შეუძლია.



# მცურავი კუნძულები — «ნოეს კიდობანი უოლ სტრიტის ფულისთვის»

**ე.წ. კაჟის ველის მილიარდერების პროექტის განხორციელება რეალური ხდება. სისტეიდინგის (თავისუფალი საზოგადოების ცხოვრება სპეციალურ ნაგებობაში, რომელიც ცურავს ღია ზღვაში, არ ექვემდებარება რომელიმე კონკრეტული ქვეყნის იურისდიქციას) ინსტიტუტის წარმომადგენლებმა საფრანგეთის პოლინეზიის მთავრობასთან ხელი მოაწერეს მემორანდუმს, რომლის მიხედვითაც მშენებლობა 2019 წელს უნდა დაიწყოს, მაგრამ ამ ინიციატივას კუნძულებზე მცხოვრებნი სკეპტიკური განწყობით შეხვდნენ.**

სისტეიტინგის ინსტიტუტისა და ფრანგული პოლინეზიის მთავრობის შეთანხმება მილიარდერებს კუნძული-სახელმწიფოების ქსელის შექმნის შესაძლებლობას მისცემს.

პროექტი ჯერჯერობით საწყის ეტაპზეა. სისტეიდინგის ინსტიტუტის თანამშრომლები შეიმუშავებენ საკანონმდებლო ბაზას პროექტის სარეალიზაციოდ და გამართავენ მოლაპარაკებებს სუვერენიტეტზე. პროექტის პირველ ვარიანტს 2018 წლის ბოლოს წარმოადგენენ და, თუ მოიწონებენ, მშენებლობა 2019 წელს დაიწყება.

სისტეიდინგის ინსტიტუტი ჩამოაყალიბეს ე.წ. კაჟის ველის (სანტა-კლარა, კალიფორნია — ელექტრონული ტექნოლოგიების შემუშავებისა და დანერგვის უდიდესი ცენტრი) მილიარდერებმა, პირველ რიგში, პიტერ ტილმა.

პროექტის განსახორციელებლად უნდა დაიხარჯოს 225 მილიონი, შემდეგ კი მომსახურებაზე ყოველწლიურად — 8 მილიონი.

ინსტიტუტის წარმომადგენლების განცხადებით, მცურავი კუნძულები საფუძველს ჩაუყრის დამოუკიდებელ საზოგადოებას საკუთარი მთავრობით. პოლინეზიელები კი ამ იდეას სკეპტიკურად უყურებენ და ამბობენ, რომ ეს მილიარდერთა კიდევ ერთი ახირებაა. ადგილობრივმა ჟურნალისტმა აღნიშნულ პროექტს „უოლ-სტრიტის ფულისთვის განკუთვნილი ნოეს კიდობანი“ უწოდა.




# ლე პენმა ევროზონიდან და ნატოდან საფრანგეთის გასვლა დააანონსა

**საფრანგეთის ეროვნული ფრონტის ლიდერმა წინასაარჩევნო პროგრამა გამოაქვეყნა. მარინ ლე პენი პირობას დებს, რომ პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში ევროზონიდან ქვეყნის გამოყვანას შეეცდება და ევროს ფრანკით ჩაანაცვლებს. მის გეგმებში ნატოდან გასვლა და იმიგრაციის შეზღუდვაც შედის.**

მარინ ლე პენის განცხადებით, ევროკავშირი სიცოცხლისუუნარო ორგანიზაციაა. „ევროკავშირი მკვდარია, თუმცა მან ჯერ არ იცის ამის შესახებ. ის ჩაფლავდა ყველა მიმართულებით: ეკონომიკური (ძალიან მცირე და ნელი ტემპით ზრდა), სოციალური (იზრდება უმუშევრობა, სიღარიბის დონე) და უსაფრთხოების (ევროკავშირს არ შესწევს უნარი დაიცვას თავისი საზღვრებიც კი), ეს ექსპერიმენტი ჩაფლავდა, და საერთოდ უნდა შეწყდეს“, — განაცხადა ლე პენმა გერმანულ გამოცემასთან ინტერვიუში.

„ევროკავშირი უკვე სიცოცხლისუნარიანი აღარ არის. ის ემსგავსება ერთგვარ სექტას, რომელიც დიქტატით, ტვინის გამორეცხვითა და შანტაჟით არის დაკავებული“, — თქვა მარინ ლე პენმა. ის თვლის, რომ ევროკავშირი სულ მალე ჩამოიშლება. **„ორივე საყრდენი, რომლებზეც დგას — ევრო და შენგენი, უკვე ინგრევა. ევრო წვრილ ნაწილებად იმსხვრევა და ისინი დროს აჭიანურებენ, რომ ეს სტრუქტურა შეინარჩუნონ, რაც მილიარდები ჯდება, მაგრამ ევროკავშირი ჰგავს მკვდარი ვარსკვლავის სხივს“**, — განაცხადა ლე პენმა.

**„სავალუტო სუვერენიტეტი ნიშნავს საკუთარი ეროვნული ვალუტის შექმნას. ევროს სისტემა კრახით სრულდება. ევროს შემოღებამ ევროკავშირის ქვეყნებში ფასების ზრდა გამოიწვია. მაგრამ, პირველ რიგში, ევრო ძლიერი მუხრუჭი გახდა“**, — დასძინა მარინ ლე პენმა.

საპრეზიდენტო არჩვნების პირველი ტური საფრანგეთში 23 აპრილს ჩატარდება.



# გრიპის ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ყველაზე დიდი თაღლითობაა

**აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა რადიო Sirius XM-ის ეთერში განაცხადა, რომ გრიპის ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ყველაზე დიდი თაღლითობაა მედიცინის მთელი ისტორიის განმავლობაში. მისი თქმით, კომპანიები სწორედ ასეთი გაიძვერული მეთოდით შოულობენ ფულს და ამით რიგითი მოქალაქეები ზარალდებიან.**

ტრამპმა განაცხადა, რომ ვაქცინაცია უზარმაზარი ფულის გაკეთების საშუალებაა, ის ორგანიზმის იმუნიტეტს აქვეითებს და ამის შედეგად ადამიანები ვირუსების მიმართ კიდევ უფრო დაუცველები ხდებიან. მსგავს ვაქცინაციას მან „სრულიად უეფექტო“ უწოდა და თქვა, რომ მას ის არასდროს გაუკეთებია.

**„მე არასოდეს გამიკეთებია ვაქციანაცია. დღემდე არ მქონია მსგავსი ვირუსი. მე არ მომწონს თვითონ იდეა ინიექციური პროცედურის, როდესაც პერსონალს თქვენს სხეულში შეჰყავს გაურკვეველი ვაქცინა. სწორედ ეს არის ის, რასაც ისინი შვრებიან. და ეს (ბოლო გრიპის ვაქცინაც) უეფექტო იყო. მე მყავს რელიგიური მეგობრები, რომლებსაც სჯერათ ამ აფიორის, ისინი იკეთებენ ვაქცინას და ცუდად ხდებიან. იცით, მე რა მეხმარება სწორ აზროვნებაში? მე ვხედავ ვაქცინაციის პროცესის უეფექტობას და იმასაც, რა დგას მის უკან“**, — განაცხადა ტრამპმა.

ექსპერტთა აზრით, ტრამპი მართალია — ვაქცინაცია მართლაც უდიდესი აფიორაა სამედიცინო სფეროს ისტორიაში. კომპანიების მიერ სწორი მარკეტინგული სვლები აიძულებს მოსახლეობას, ირწმუნოს მოსალოდნელი საფრთხის შესახებ და ჯანმრთელ სხეულში შეიყვანოს ისეთი ინიექციები, რომლებიც სინამდვილეში არ აუმჯობესებს იმუნურ სისტემას, შეიძლება ადამიანი ამ პროცედურამ ცუდად გახადოს.

ვაქციანაცია წელიწადში რამდენჯერ ხდება?— რამდენჯერაც გინდათ. ამერიკის კინომატოგრაფიაშიც არის უამრავი ფილმი, რომლებშიც უფრო დრამატიზებულად არის გადმოცემული არსებული სიტუაცია, როგორი სქემით მოქმედებენ თაღლითი კომპანიები, რათა იშოვონ ფული ამ ხერხით. მეტიც, ისინი თვითონ ქმნიან ვირუსებს და ანტივირუსული ვაქცინაციის ფორმულის შემუშავების შემდგომ მოსახლეობაში ავრცელებენ.



# მოსამართლეებს საყვარელიძე «უმაღლეს თანამდებობრივ კარიერას» დაჰპირდა



**მთავარი პროკურატურის მიერ გავრცელებული მასალების მიხედვით, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს — ბესარიონ ალავიძესა და პაატა ქათამაძეს წერილობითი შეტყობინებების ავტორი „ხელშეუხებლობასა“ და „უმაღლეს თანამდებობრივ კარიერას“ დაჰპირდა.**

„თქვენ ხელშეუხებელი გმირები გახდებით და მომავლის უმაღლესი თანამდებობრივი კარიერაც გარანტირებული გექნებათ“, — ნათქვამია წერილში, რომელიც, უწყების ინფორმაციით, აღნიშნულმა მოსამართლეებმა „დ. საყვარელიძის სახელით მიიღეს“.

წერილში, რომელიც მოსამართლის საქმიანობაში უხეშად ჩარევის საქმეზე დაწყებული გამოძიებისთვის ერთ-ერთი მტკიცებულებაა, ასევე აღნიშნულია, რომ მოსამართლეებმა „ღიად უნდა ისაუბრონ ზეწოლასა და წნეხზე, რომელიც მათ მიმართ ხორციელდება“.

„გვარამიასგან ვიცით, რომ შენ და პაატა ქათამაძე ხართ ჩვენი დასაყრდენი. ასევე ისიც ვიცით, რა სირთულეებიც არის, თუმცა ცოტაც და ამათი პარპაში დამთავრდება. მაგათი საქმე წასულია. თქვენც აუცილებლად დაგიფასდებათ ყველაფერი. იურიდიული მიმართულების სათავეებთან დადგებით ჩვენი დაბრუნებისთანავე და ეს პოზიცია გადახედვას არ ექვემდებარება. ახლა ვხვდები, რომ თქვენნაირ სანდო ხალხზე უნდა მდგარიყო სასამართლო. ახლა კი მთავარი: მიშა აფასებს თქვენს ასეთ ერთგულებას და ვფიქრობ, რომ უკვე საჭიროა შიგნიდან ამ თემის „ხელოვნურად გახეთქვა“ და, მასთან შეთანხმებით, მინდა, გთხოვოთ შემდეგი: ეცადეთ, ნებისმიერი, თუნდაც უმნიშვნელო საკითხი გაასკანდალოთ. არ აქვს მნიშვნელობა, დამაჯერებელი იქნება თუ არა.

ნამდვილად ჯობია, გამოხვიდეთ საჯაროდ და ღიად თქვათ, რომ წარმოუდგენელი წნეხის ქვეშ გიწევთ მუშაობა, გემუქრებიან, გატერორებენ, გითვალთვალებენ და, რაც გინდათ, ის თქვით. თქვენ უკეთესად მოიფიქრებთ. დანარჩენი უკვე ნიკამ იცის, ისეთ შავ პიარს ააგორებს, რომ საბოლოოდ განადგურდება ეგ საქმე. თქვენ ხელშეუხებელი გმირები გახდებით და მომავლის უმაღლესი თანამდებობრივი კარიერაც გარანტირებული გექნებათ. რაც მთავარია, უცხოელებიც ნახავენ — აი, რა ხდება თურმე მართლა და დანარჩენები საბოლოოდ ჩაირეცხებიან. სწორედ ეს სჭირდება ამ სიტუაციას. სხვა ყველაფერი უკვე ტექნიკის საქმეა. თქვენთვისაც გაადვილდება საქმე და საბოლოოდ დავანგრევთ მაგათ. მიხარია, რომ თქვენნაირი ხალხი გვეგულება და გვეყოლება საქართველოში“, — ნათქვამია წერილში, რომელიც, პროკურატურის მტკიცებით, დ. საყვარელიძის სახელით მოსამართლეებმა ერთდროულად მიიღეს.

რაც შეეხება სატელეფონო შეტყობინებას, გამოძიების ინფორმაციით, მოსამართლეებმა შეტყობინებები უკრაინული ნომრიდან მიიღეს.

„წერილს, ალბათ, მიიღებდი. დარწმუნებული ვართ, რომ თქვენი აქტიურობით ვითარება დალაგდება. გაჭიანურება არ ივარგებს“, — ნათქვამია სატელეფონო შეტყობინებაში, რომელიც პროკურატურამ გაავრცელა.

ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპაროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი

საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894
9 772233 389009